ამელი ნოტომი

WWW.FACEBOOK.COM/GROUPS/ELLIB

WWW.FACEBOOK.COM/GROUPS/ELLIB

* * *

ბატონი ჰანედა ბატონი ომოჩის უფროსი იყო; ბატონი ომოჩი - ბატონი საიტოსი; ბატონი საიტო - ქალბატონი მორისა; ქალბატონი მორი კი - ჩემი. მე თვითონ არავისი უფროსი არ ვყოფილვარ.

ამის თქმა სხვაგვარადაც შეიძლებოდა. მე ქალბატონი მორის ხელქვეითი ვიყავი, ქალბატონი მორი ბატონი საიტოს ხელქვეითი იყო, და ასე შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ დაღმა წამოსულ ბრძანებებს იერარქიული საფეხურების გამოტოვებაც ხელეწიფებოდათ.

მოკლედ, „იუმიმოტოს“ კომპანიაში ყველას შეეძლო, ჩემთვის ბრძანებები ეძლია.

1990 წლის 8 იანვარს ლიფტმა „იუმიმოტოს“ უზარმაზარი შენობის ბოლო სართულზე გადმომისროლა. ჰოლის სიღრმიდან ფანჯარამ ისე მიმიტაცა, როგორც თვითმფრინავის ჩამსხვრეულმა ილუმინატორმა. შორს, ქვემოთ, ქალაქი მოჩანდა - იმდენად შორს, რომ აღარც მჯეროდა, იქ ოდესმე ფეხი თუ დამედგა.

სულ გადამავიწყდა, მისაღებში რომ უნდა გამოვცხადებულიყავი. თავში აზრის მსგავსი აღარაფერი მიჭაჭანებდა, ისეთი მომნუსხველი სიცარიელე გადაშლილიყო შემინული ღიობიდან.

ვიღაცის ხრინწიანმა ხმამ, როდის-როდის, ჩემი სახელი წარმოთქვა და უკან მიმახედა. ორმოცდაათს მიტანებული პატარა, გამხდარი, შეუხედავი მამაკაცი უკმაყოფილო სახით მომჩერებოდა.

- რატომ მორიგეს არ შეატყობინეთ თქვენი მოსვლა?

პასუხად ვერაფერი მოვიფიქრე, თავი დავღუნე და მხრებში მოვიხარე, თან იმავე წამს გავაცნობიერე, რომ „იუმიმოტოს“ კომპანიაში სამუშაოდ გამოცხადების პირველსავე დღეს, ხმის ამოღებამდე, უკვე ცუდი შთაბეჭდილება მოვახდინე.

ეს მამაკაცი ბატონი საიტო აღმოჩნდა. წამიყვანა და დარბაზები დამატარა, უთვალავი და ყველა უკიდეგანო. გზადაგზა ჯგრო ხალხი გამაცნო, სახელები იმავე თანმიმდევრობით მავიწყდებოდა, როგორითაც იგი წარმოთქვამდა.

კაბინეტში შემიყვანა, სადაც მისი უფროსი, ბატონი ომოჩი იჯდა, უშველებელი და შიშის მომგვრელი კაცი, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ იგი ვიცე-პრეზიდენტი უნდა ყოფილყო.

მერე სხვა კაბინეტის კართან შემაჩერა და საზეიმო იერით გამომიცხადა, ამ კარს მიღმა ბატონ ჰანედას საბრძანისი გახლავთო. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ შიგ შესვლაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

ბოლოს ერთ უზარმაზარ ოთახში შემიძღვა, სადაც ორმოცამდე კაცი მუშაობდა და ჩემი უშუალო უფროსის, ქალბატონი მორის პირისპირ, უფრო სწორად, მისი მაგიდის პირისპირ ადგილი მომიჩინა. თვითონ ქალბატონი მორი თათბირზე ყოფილიყო წასული და მხოლოდ შესვენების შემდეგ დაბრუნდებოდა.

ბატონმა საიტომ მოკლედ ამცნო იქ მყოფთ ჩემი ვინაობა. მერე მეკითხა, გამოწვევები თუ მიყვარდა. აშკარა იყო, არავითარი უფლება არ მქონდა, უარით მეპასუხა.

დიახ-მეთქი, მივუგე.

ეს იყო პირველი სიტყვა, რომელიც ამ კომპანიაში წარმოვთქვი. აქამდე თავის დახრას ვჯერდებოდი.

„გამოწვევა“, რომელსაც ბატონი საიტო მთავაზობდა, ეპისტოლარული ხასიათის დავალება აღმოჩნდა. ვინმე ადამ ჯონსონს იგი გოლფის სათამაშოდ მიეწვია და მე თანხმობის წერილი უნდა დამეწერა ინგლისურ ენაზე.

- ვინ არის ადამ ჯონსონი? - ვიკითხე გულუბრყვილოდ.

ჩემმა უფროსმა ერთი ღრმად ამოიოხრა და პასუხის ღირსად არ ჩამაგდო. ნუთუ უვიცობას ნიშნავდა იმის არცოდნა, ვინ იყო ადამ ჯონსონი? ან იქნებ შეკითხვა მიიჩნია უტაქტობად? მე ეს ვერასოდეს შევიტყვე, ისევე როგორც ვერასოდეს შევიტყვე, ვინ იყო ადამ ჯონსონი.

დავალება სულ ადვილი მეჩვენა. დავჯექი და გულთბილი წერილი დავწერე: ბატონი საიტო თავს ბედნიერად რაცხს, რომ მომავალ კვირას ბატონ ჯონსონთან თამაშის სიამოვნება მოელის, იქამდე კი გულითად მოკითხვას უთვლის-მეთქი. წერილი ჩემს უფროსს მივუტანე.

ბატონმა საიტომ თვალი გადაავლო, მოკლე, ზიზღნარევი ხავილი ამოუშვა და წერილი დახია.

- ხელახლა დაწერეთ.

ვიფიქრე, ეტყობა, საჭირო დისტანცია ვერ დავიცავი, ზედმეტი სიახლოვე გამოვხატე-მეთქი, და ამჯერად უფრო ცივი და თავშეკავებული ტექსტი შევადგინე: ბატონი საიტო გაეცნო ბატონი ჯონსონის გადაწყვეტილებას და, მისი სურვილის შესაბამისად, გოლფის სათამაშოდ ეწვევა.

ჩემმა უფროსმა თვალი გადაავლო, მოკლე, ზიზღნარევი ხავილი ამოუშვა და წერილი დახია.

- ხელახლა დაწერეთ.

მინდოდა მეკითხა, რისი გათვალისწინება მმართებდა, მაგრამ უკვე ვიცოდი, რომ ჩემი უფროსი შეკითხვებს ვერ იტანდა, აკი ვნახე, როგორ გაღიზიანდა, როცა

ადრესატის ვინაობის დადგენა მოვიწადინე. რაღა გზა იყო, ისევ ჩემით უნდა მიმეგნო, როგორ მიმემართა საიდუმლოებით მოცული ადამ ჯონსონისათვის.

საათები მოვანდომე უსტრების წერას. ბატონი საიტო ერთიმეორის მიყოლებით ხევდა ჩემგან შედგენილ ბარათებს ყოველგვარი კომენტარის გარეშე, თუ არ ჩავთვლით ზიზღიან ამოხავლებას, რომელიც მისამღერის მოვალეობას ასრულებდა.

ამ თამაშში ჩემს სავარჯიშოს ერთი სხვა მხარეც აღმოაჩნდა, დაახლოებით, ასეთი: „მშვენიერო მარკიზა, თქვენმა ლამაზმა თვალებმა სიყვარულით გამგმირეს“. გასაღიმებლის მონახვა აქაც შეიძლებოდა. გადავწყვიტე, გრამატიკული კატეგორიების ურთიერთმონაცვლეობას ჩავღრმავებოდი. „რა იქნება, ადამ ჯონსონი რომ ზმნად იქცეს, მომავლი კვირა - ქვემდებარედ, ხოლო ბატონი საიტო - გარემოებად? მაშინ წერილი ასეთი გამოვიდოდა: „მომავალი კვირა ფრთაშესხმული მოისწრაფვის, რომ საბატონსაიტოვედ გოლფი იადამჯონსონოს. და თვალიც დავუყენოთ არისტოტელეს!“

ის იყო, ფრთები საბოლოოდ უნდა გამეშალა, ჩემმა უფროსმა მუშაობა შემაწყვეტინა, წაუკითხავად გადამიხია მორიგი უსტარი და ქალბატონი მორის მობრძანება მაუწყა.

- შესვენების შემდეგ მასთან ერთად იმუშავებთ, ახლა კი წადით და ყავა მომიტანეთ.

უკვე ორი საათი გამხდარიყო. ჩემმა ეპისტოლარულმა თავსატეხმა ისე ჩამითრია, შესვენება არც კი გამხსენებია.

ფინჯანი ყავა ბატონი საიტოს მაგიდაზე დავდგი და გამოვტრიალდი. იაპონური საომარი მშვილდივით მაღალი ახალგაზრდა ქალი ჩემკენ მოემართებოდა.

ყოველთვის, როცა კი ფუბუკის ვიგონებ, თვალწინ ეს საომარი იაპონური მშვილდი წარმომიდგება ხოლმე, მაღალ მამაკაცზე მაღალი. სწორედ ამიტომ შევარქვი ამ კომპანიას „იუმიმოტო“, ანუ „მშვილდ-ისრების საქმენი“.

ამგვარი მშვილდის დანახვაზე კი ყოველთვის ფუბუკი გამახსენდება, მაღალ მამაკაცზე მაღალი.

- თქვენ ბრძანდებით ქალბატონი მორი?

- ფუბუკი დამიძახეთ.

აღარ ვუსმენდი, რას მეუბნებოდა. ტანად, სულ ცოტა, მეტრი და ოთხმოცი მაინც იქნებოდა. ამ სიმაღლის იაპონელი მამაკაცებიც კი იშვიათობაა. კეთილაღნაგი იყო და მომხიბლავად გრაციოზული, მიუხედავად თავისი ნიპონური[1] გახევებულობისა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ვერა და ვერ მოეცილებინა. მაგრამ რამაც მართლა საძრაობა დამაკარგვინა, მისი სახის ელვარება იყო.

რაღაცას მელაპარაკებოდა, ყურში ჩამესმოდა მისი ნაზი და ჭკვიანური ხმის საამო ბგერები. დოსიეებს მიჩვენებდა, მიხსნიდა მათ დანიშნულებას, მიღიმოდა. თავადაც ვერ ვამჩნევდი, რომ არ ვუსმენდი.

დოსიეები წასაკითხად გამიმზადა, თვითონვე გადმომიწყო მაგიდაზე. მერე დაჯდა, თავის საქმეს შეუდგა. მორჩილად ვფურცლავდი მისგან გადმოცემული ქაღალდების დასტას. რაღაც წესდებები იყო, რაღაც ნუსხები.

ერთმანეთისაგან ორად ორი მეტრი გვაშორებდა. მოჯადოებულმა თვალი ვეღარ მოვწყვიტე მის სახეს. წამწამები ციფრებზე დაეხარა და ვერ ხედავდა, როგორ ვსწავლობდი მის თითოეულ ნაკვთს. მთელ ქვეყანაზე ულამაზესი ცხვირი ჰქონდა, განუმეორებელი იაპონური ცხვირი, ნაზნესტოებიანი, ათასთაგან გამოსარჩევი. ყველა იაპონელს არა აქვს ასეთი ცხვირი, მაგრამ თუ ვინმეს აქვს, შეუძლებელია, იაპონური წარმოშობისა არ იყოს. კლეოპატრას რომ ასეთი ცხვირი ჰქონოდა, დედამიწა დღეს სულ სხვანაირად იქნებოდა გადანაწილებული.

მართლა ჩაწვრილმანებული ვინმე უნდა ვყოფილიყავი, რომ საღამოთი გულდაწყვეტილს მეფიქრა, ჩემი ცოდნა და უნარი, ის, რის გამოც სამსახურში ამიყვანეს, არაფრად გამომდგომია-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, სხვა რა მინდოდა, იაპონურ ფირმაში მსურდა მუშაობის დაწყება, ჰოდა, ვმუშაობდი კიდევაც.

პირველი დღისგან მშვენიერი შთაბეჭდილება გამომყვა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ეს შთაბეჭდილება არც მომდევნო დღეებში შემცვლია.

ოღონდ ერთი რამ ვერა და ვერ გავიგე: ამ დაწესებულებაში რა საქმეს ვაკეთებდი; თუმცა, ეს ჩემთვის სულერთი იყო. ბატონი საიტო, მგონი, შერეკილადაც მთვლიდა. ეს მით უმეტეს სულერთი იყო. აღფრთოვანებული ვიყავი ჩემი კოლეგით. მარტო მისი მეგობრობაც კმაროდა, „იუმიმოტოს“ კომპანიაში ყოველდღიუ რად გატარებული ათ-ათი საათი დაკარგულად რომ არ ჩამეთვალა.

მისი სახის ფერი ერთდროულად თეთრიც იყო და მქრქალიც, ზუსტად ისეთი, ტანიძაკი რომ აღწერს. ფუბუკი სრულყოფილად განასახიერებდა ნიპონურ სილამაზეს, თუ, რა თქმა უნდა, უჩვეულო სიმაღლეს არად ჩავაგდებდით. მისი ლამაზი თავი „ძველი იაპონიის მიხაკს“ მოგაგონებდათ, გარდასულ ჟამთა დიდგვაროვანი ასულის სიმბოლოს: ამ მაღალ სილუეტზე შემოდგმული, იგი თითქოს იმისათვის იყო შექმნილი, ქვეყნიერებისათვის ზემოდან ეცქირა.

„იუმიმოტო“ ერთ-ერთი უდიდესი კომპანია იყო მსოფლიოში. ბატონი ჰანედა იმპორტ-ექსპორტის განყოფილებას განაგებდა, ყიდულობდნენ და ყიდდნენ ყველაფერს, რაც კი რამ მოიპოვება დედამიწის ზურგზე.

„იუმიმოტოს“ იმპორტ-ექსპორტის კატალოგი პრევერისეულის[2] გიგანტურ ვერსიას წარმოადგენდა: ფინური ემანტალით[3] დაწყებული და სინგაპურული სოდით

დამთავრებული, ყველაფერი აღენუსხათ, კანადური ოპტიკური ბოჭკო, ფრანგული საბურავები თუ ტოგოური ჯუთი[4], არაფერი გამორჩენოდათ.

„იუმიმოტოს“ თანხები ადამიანურ წარმოდგენას აღემატებოდა. საერთო შემოსავალი ნულების მწკრივთა გარკვეული რაოდენობის დამატების შემდეგ რიცხვების სფეროს სცილდებოდა და აბსტრაქტული ხელოვნების სფეროში გადადიოდა. ჩემს თავს ვეკითხებოდი, ერთი ადამიანი მაინც თუ მოიძებნებოდა მთელ ამ კომპანიაში, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენილი ექნებოდა იმის უნარი, ასი მილიონი იენის მოგება-წაგებით გახარებულიყო ან დამწუხრებულიყო.

„იუმიმოტოს“ თანამშრომლები, ნულების მსგავსად, თავიანთ მნიშვნელობას წინამავალი ციფრების მიხედვით იძენდნენ. ყველანი, ჩემ გარდა. მე ნულადაც ვერ ვივარგე.

დღე დღეს მისდევდა, საქმე კი არა და არ მიჩნდებოდა. ეს ამბავი დიდად არც მანაღვლებდა. ვფიქრობდი, სულაც მიმივიწყეს-მეთქი, რაც აგრეთვე უსიამოვნო რამ არ იყო. ვუჯექი ჩემს მაგიდას და, ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობდი ფუბუკისაგან გადმობარებულ საბუთებს. ყველა მათგანი საოცრად უინტერესო იყო, გარდა იმ ერთისა, რომელშიც „იუმიმოტოს“ თანამშრომელთა სია ჩამოენუსხათ: გვარები, სახელები, დაბადების თარიღი და ადგილი, გრაფა სავარაუდო ცოლ-შვილისა თუ ქმარ-შვილისათვის, მათი დაბადების თარიღებისათვის.

ან ამ მონაცემებში რა შეიძლებოდა ყოფილიყო მიმზიდველი, მაგრამ, როცა ძალიან გშია, პურის ყუაც გემრიელი გეჩვენება: უმოქმედობისგან დამშეული ჩემი გონება ამ სიას ისე მიეტანა, როგორც სკანდალურ ქრონიკას. მთელ ამ საბუთებში ეს ქაღალდი ერთადერთი იყო, საიდანაც აზრის გამოტანა შევძელი.

საქმიანი იერი რომ მქონოდა, გადავწყვიტე, სია ზეპირად დამესწავლა. შიგ ასამდე გვარი ეწერა, უმეტესნი ოჯახის პატრონები, დედები ან მამები იყვნენ, რაც ჩემს სამუშაოს კიდევ უფრო ართულებდა.

დაზეპირებას შევუდექი: ხან ფურცელზე დავიხრებოდი, ხანაც თავს ავწევდი და გუნებაში ვიმეორებდი წაკითხულს. თავის ყოველ აწევაზე ფუბუკის სახეს ვხედავდი.

ბატონი საიტო წერილების წერას აღარ მავალებდა, აღარც ადამ ჯონსონთან და აღარც არავისთან. ჩემი ერთადერთი მოვალეობა ყავის მიტან-მოტანა იყო.

როცა იაპონურ ფირმაში იწყებ მუშაობას, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია ჯერ „ოშაკუმი“ - „საპატიო ჩაის ჩამოტარება“ - დაგასიკრონ. ამ მოვალეობის შესრულებას მით უფრო მეტი გულმოდგინებით შევუდექი, რომ მის გარდა მე სხვა არაფერი მომეკითხებოდა.

სულ მალე თითოეულის ჩვევა ზეპირად ვიცოდი: უკვე ცხრის ნახევარზევე - შავი ყავა ბატონი საიტოსათვის; ათზე - რძიანი ყავა ბატონი უნაჯისათვის, შაქრის ორი

ნატეხითურთ; ყოველ ერთ საათში - თითო ჭიქა კოკა-კოლა ბატონი მიძუნოსათვის; ხუთ საათზე - რძით ოდნავ შეფერილი ყავა ბატონ ოკადოსათვის; ფუბუკისათვის ცხრაზე - მწვანე ჩაი, თორმეტზე - შავი ყავა, სამზე- ისევ მწვანე ჩაი, შვიდზე - ბოლო ფინჯანი შავი ყავა. იგი ყოველ ჯერზე მომხიბვლელი თავაზიანობით მიხდიდა მადლობას.

ეს მოკრძალებული მოვალეობა ჩემი დაღუპვის პირველი იარაღი გამოდგა.

ერთ დილას ბატონმა საიტომ გამაფრთხილა, რომ ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტში მეგობარი ფირმის ფრიად საპატიო დელეგაციასთნ შეხვედრა იმართებოდა.

- ყავა ოცი კაცისთვის.

დიდი სინით ხელში გამოვცხადდი ბატონ ომოჩისთან და უზადო სრულყოფილებით შევასრულე ჩემი მოვალეობა.

ხაზგასმული თავმოდრეკით ჩამოვარიგე ყო ველი ფინჯანი, ლამის ლექსად ვდუდუნებდი ასეთ შემთხვევაში წარმოსათქმელ ყველაზე დახვეწილ ფორმულებს, თვალებს ვხრიდი და წელში ვიხრებოდი. „ოშაკუმის“ ღირსების ორდენი რომ არსებულიყო, ნამდვილად დავიმსახურებდი.

რამდენიმე საათის შემდეგ დელეგაცია წავიდა. ვეება ომოჩის გამაყრუებელმა ძახილმა იქაურობა შეაზანზარა:

- საიტო-სან!

დავინახე, როგორ წამოხტა გაფითრებული ბატონი საიტო და ვიცე-პრეზიდენტის ბუნაგისაკენ გაქანდა. კედელს იქით გაბმული ღმუილი გაისმა. ვერ გაარჩევდით, რას ამბობდა, მაგრამ ცხადი იყო, სასიკეთოს არაფერს.

ბატონი საიტო სახეშეშლილი დაბრუნდა. მის მიმართ უცებ სულელური სინაზე ვიგრძენი იმის გაფიქრებაზე, რომ, თავის მტარვალთან შედარებით, სამჯერ ნაკლებს იწონიდა. სწორედ ამ დროს დამიძახა მრისხანე ხმით.

ცარიელ კაბინეტში შევყევი. ისეთი გაცოფებული იყო, ენა ებმოდა.

- თქვენ იცით, რა საქმე ჩაიდინეთ? მეგობარი ფირმის დელეგაციასთან ნდობა დაგვაკარგვინეთ! ყავის ჩამორიგებისას ისეთი მიმართვები იხმარეთ, აშკარად ჩააგონებდით, იაპონურს სუფთად ვლაპარაკობო.

- არადა, ცუდადაც არ უნდა ვლაპარაკობდე, საიტოსან.

- გაჩუმდით! რა უფლებით ბედავთ თავის მართლებას? ბატონი ომოჩი ძალიან გამწყრალია თქვენზე. ყოვლად უსიამოვნო გარემო შექმენით. რა ნდობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა წინ თეთრკანიანი ქალი დაუდიოდათ, რომელსაც მათი ესმოდა? გიბრძანებთ, ახლავე დაივიწყოთ იაპონური!

თვალებგაფართოებულმა შევხედე.

- რა ბრძანეთ?

- დღეიდან იაპონური აღარ იცით. გასაგებია?

- კი მაგრამ, „იუმიმოტოში“ თქვენი ენის ცოდნისათვის ამიყვანეს.

- ეგ მე არ მეხება. მე გიბრძანებთ, აღარ გესმოდეთ იაპონური.

- შეუძლებელია. ქვეყანაზე ვერავინ შეასრულებს მაგ ბრძანებას.

- ბრძანების შესასრულებლად გზა ყოველთვის გამოინახება. ეს უნდა შეიგნონ დასავლურმა ტვინებმა.

„ვაი, ჩვენი ბრალი“, - გამიელვა გუნებაში, პასუხად კი ესღა ვუთხარი:

- იქნებ ნიპონურ ტვინს შესწვდეს უნარი, თავს შეუძახოს და ენა დაივიწყოს. დასავლურ ტვინს ამის უნარი არ შესწევს.

ეს ყოვლად შეუსაბამო არგუმენტი ბატონი საიტოსათვის მისაღები აღმოჩნდა.

- თქვენ თქვენი სცადეთ. ბოლოს და ბოლოს, თავი მაინც მოიკატუნეთ, ვითომ დაგავიწყდათ. თქვენთან დაკავშირებით ზომების მიღება მებრძანა. მოკლედ, შევთანხმდით?

ტონი მშრალი იყო და შეუვალი.

როცა ჩემს ბიუროში დავბრუნდი, ეტყობა, ცხვირპირი ისე ჩამომტიროდა, რომ ფუბუკი თანაგრძნობითა და შეშფოთებით მომაჩერდა.

დიდხანს რეტდასხმული ვიჯექი. აღარ ვიცოდი, რა გადაწყვეტილება მიმეღო.

ყველაზე ლოგიკური იქნებოდა, განცხადება დამეწერა და წავსულიყავი. არადა, მაგის გადაწყვეტაც მიჭირდა. იქიდან წასვლით დასავლელის თვალში საძრახისს არაფერს ჩავიდენდი, მაგრამ იაპონელის თვალში ღირსება ამეყრებოდა. ჯერ თვეც არ გასულიყო, რაც აქ მუშაობა დავიწყე, კონტრაქტი კი მთელი წლით მქონდა დადებული. ასეთი ნაუცბათევი წასვლით მათსა და ჩემს თვალში თავს მოვიჭრიდი.

თან ეგეც იყო, წასვლის არავითარი სურვილი არ მქონდა. მით უფრო, რომ ამ კომპანიაში მუშაობის დასაწყებად დიდი ჯაფა დამადგა: საგანგებოდ შევისწავლე ტოკიოური საკანცელარიო ენა, გავიარე ტესტირებები. ცხადია, თავში არასოდეს ამვარდნია და საერთაშორისო კომერციის საჭეთმპყრობელობაზე არასდროს მიოცნებია, მაგრამ ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა, მეცხოვრა ამ ქვეყანაში, რომლის თაყვანისცემაც სულ ადრეული ბავშვობის პირველი იდილიური მოგონებებიდან გამომყვა.

არა, გადავწყვიტე, აუცილებლად დავრჩენილიყავი. ჰოდა, ბატონი საიტოს ბრძანების შესასრულებლადაც რაღაც საშუალება უნდა გამომენახა. დიდი გულმოდგინებით შევუდექი ჩემი ტვინის ხვეულთა გამოკვლევას, რომ იქ ამნეზიის ხელშემწყობი გეოლოგიური შრე აღმომეჩინა: ვითომ რატომაც არ შეიძლებოდა, ჩემს ნეირონულ ციხესიმაგრეში დავიწყების ჯურღმული არსებულიყო? ვაგლახ, ნაგებობა შეიცავდა გამაგრებულ და გაუმაგრებელ უბნებს, სათვალთვალო კოშკებსა და ღრმულებს, გვირაბებსა და წყლით სავსე თხრილებს, მაგრამ ისეთს ვერაფერს მივაკვლიე, შიგ რომ მთელი ის ენა ჩამარხულიყო, რომელიც ჩემ გარშემო განუწყვეტლივ ისმოდა.

რაკიღა დავიწყება შეუძლებელი იყო, ეგებ ის მაინც მეცადა, ცოდნა რითიმე გადამეფარა. მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ ენა მართლა ტყე არის, მაშინ ჩემი ფრანგული წიფლებით, ინგლისური ცაცხვებით, ლათი ნური მუხებით, ბერძნული ზეთისხილის ხეებით როგორ უნდა გადამეფარა ეს ამდენი იაპონური კრიპტომერია[5], რომლის სახელწოდებაც, თითქოს საგანგებოდ, სწორედ ამ შემთხვევას ესადაგებოდა?

მორი, ფუბუკის გვარი, „ტყეს“ ნიშნავდა. იქნებ ეგეც იყო მიზეზი, სწორედ მასზე რომ შეჩერდა ამ წუთას ჩემი გაფანტული მზერა? შევამჩნიე, ისიც თვალმოუშორებლად მიყურებდა, თითქოს რაღაცას მეკითხებოდა. ფეხზე წამოდგა, მანიშნა, უკან გავყოლოდი. ბუფეტში შევედით. სკამზე მოწყვეტით დავეშვი.

- რაო, რა გითხრათ? - შემეკითხა.

გული გადავუხსენი. მოგუდული ხმით ვლაპარაკობდი, ცოტაც, და ცრემლები მომერეოდა. სახიფათო სიტყვებისაგან თავი ვერ შევიკავე.

- მეჯავრება. რეგვენია და ნაძირალა.

ფუბუკიმ ოდნავ გაიღიმა:

- ცდებით.

- რა თქმა უნდა, ვცდები. თქვენ კი როგორი კეთილი ხართ. არ გინდათ, ცუდი დაინახოთ. არადა, ვისაც ასეთი ბრძანების გაცემა შეუძლია...

- დაწყნარდით. ბრძანება მისგან არ მოდიოდა. ბატონი ომოჩის მითითება შეასრულა. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

- მაშინ თვითონ ბატონი ომოჩი ყოფილა...

- ბატონი ომოჩი განსაკუთრებული შემთხვევაა, - გამაწყვეტინა ფუბუკიმ, - რას იზამ. ვიცე-პრეზიდენტია.

ჩვენ არაფერი შეგვიძლია.

- იქნებ თავად პრეზიდენტს, ბატონ ჰანედას, დავლაპარაკებოდი? რა კაცია?

- ბატონი ჰანედა გამორჩეული პიროვნებაა. ძალიან ჭკვიანია და თან უზომოდ კეთილი. მაგრამ მასთან საჩივლელად მისვლა გამორიცხულია, ამგვარი ამბებისგან შორსა დგას.

ფუბუკი მართალი იყო, მე ეს ვიცოდი. იერარქიულ კიბეზე ერთი ზემო საფეხურის გამოტოვებაც კი დაუშვებლად ითვლებოდა, არათუ რამდენიმესი. მე მხოლოდ ჩემი უშუალო უფროსისთვის შემეძლო მიმემართა, ანუ ფუბუკისათვის.

- ერთადერთი თქვენა ხართ, ფუბუკი, ვისაც შემიძლია გავენდო. ვიცი, ბევრით ვერაფრით დამეხმარებით, მაგრამ მაინც მადლობა მინდა გადაგიხადოთ. თქვენმა გულისხმიერებამ ძალა შემმატა.

ფუბუკიმ გაიღიმა.

ვკითხე, რა იყო მისი სახელის იდეოგრამა. მან სავიზიტო ბარათი გამომიწოდა. დავხედე თუ არა, წამოვიძახე: „კანჯი!“[6]

- თოვლიანი ქარბუქი! ფუბუკი თოვლიან ქარბუქს ნიშნავს! რა ლამაზი სახელი გქონიათ!

- ქარბუქიან ამინდში დავბადებულვარ. ჩემმა მშობლებმა ამაში ზეგარდმო ნიშანი დაინახეს.

გონებაში „იუმიმოტოს“ თანამშრომელთა სია წამომიტივტივდა. „მორი ფუბუკი, დაბადებული ქალაქ ნარაში 1961 წლის 18 იანვარს“. ზამთარში ყოფილა დაბადებული, ზამთრის ასული იყო. უცებ თვალწინ დამიდგა უმშვენიერესი ქალაქი ნარა, მისი ურიცხვი სამრეკლო და ქალაქის თავზე, მაღალ სამრეკლოებს ზემოთ ამდგარი ქარბუქი, თოვლიანი გრიგალი. განა მართლა ზეგარდმო ნიშანი არ იყო, რომ ეს ტანადი, ეს თვალადი ახალგაზრდა ქალი სწორედ იმ დღეს გაჩნდა ქვეყანაზე, როცა მიწისეულ სილამაზეს თავს ციური სილამაზე დაატყდა?

ფუბუკი კანზაიში გატარებულ თავის ბავშვობაზე მელაპარაკა. ცოტა რამ მეც მოვუყევი ჩემს ბავშვობაზე, რომელიც იმავე პროვინციაში, ნარას მახლობლად, სოფელ ჩუკუგავაში გავატარე, კაბუტოს მთის ძირას. ამ მითოლოგიური ადგილების გახსენებაზე ცრემლი მომადგა.

- რა ბედნიერებაა, რომ ორივენი კანზაის შვილები ვართ! სწორედ იქ ფეთქავს ძველი იაპონიის გული.

ჩემი გულიც იქ ფეთქავდა იმ დღიდან მოყოლებული, როცა ხუთი წლისამ იაპონური მთიანეთი ჩინურ უდაბნოზე გავცვალე. ამ პირველმა განშორებამ ისეთი ნაიარევი დამიტოვა, რას არ გავიღებდი, ოღონდ კვლავაც ჩემს ძველ ადგილს დავბრუნებოდი, რომელიც ამდენი ხანი ნამდვილი სამშობლო მეგონა.

როცა ისევ ჩვენ-ჩვენს მაგიდებს მივუსხედით ერთმანეთის პირისპირ, ჩემი საქმისა ჯერაც არაფერი მქონდა გადაწყვიტილი. უწინდელზე კიდევ უფრო ბუნდოვნად ვიცოდი, „იუმიმოტოს“ კომპანიაში რა ადგილი მეკავა ან ოდესმე რა ადგილს დავიკავებდი. მაინც განუზომელ შვებას ვგრძნობდი, რადგან ფუბუკი მორის კოლეგა ვიყავი.

მოკლედ, საქმიანი სახე უნდა მიმეღო და თავი ისე დამეჭირა, ვითომ იაპონურისა არაფერი გამეგებოდა; ვითომ სიტყვაც არ მესმოდა, რასაც ჩემ გარშემო ლაპარაკობდნენ. ჩაისა და ყავის ფინჯნები ისე მიმომქონდა, ზრდილობის ფორმულები კი არა, მადლობასაც უპასუხოდ ვტოვებდი. თანამშრომლებმა არ იცოდნენ, რა ამბავი დატრიალდა ჩემს თავს და გაოცებულნი იყვნენ, თავაზიანობით აღსავსე ეს თეთრი გეიშა ასე რამ გაათევზა და გაატლანქა, როგორც ნამდვილი იანკიო?

მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ოშაკუმი დიდ დროს არ საჭიროებდა. გადავწყვიტე, ფოსტა ჩამომეტარებინა, თუმცა არავისთვის ნებართვა არ მითხოვია.

რკინის უშველებელ ურიკას დარბაზ-დარბაზ დავაგორებდი და წერილებს ვარიგებდი. სამუშაო სწორედ რომ საჩემო იყო. ჯერ ერთი, ლინგვისტურ ცოდნას მოითხოვდა. მისამართების დიდი ნაწილი იდეოგრამებით იყო დაწერილი. იაპონურის ცოდნას კი, თუ ბატონი საიტო იქვე არ იმყოფებოდა, უკვე აღარ ვმალავდი. ამას გარდა, როგორც გამოირკვა, „იუმიმოტოს“ თანამშრომელთა სია ტყუილად არ მიზეპირებია: არათუ ყველა თანამშრომელი ვიცოდი დიდიან-პატარიანად, არამედ უკლებლივ ყველა თანამშრომლისა და მათი ცოლ-შვილის დაბადების დღეებიც კი მახსოვდა. ჩემი ახალი საქმიანობა კი საშუალებას მაძლევდა, თითოეულისთვის მიმელოცა მათი თუ მათი თანამეცხედრისა და ნაშიერთა დაბადების დღეები.

გავუღიმებდი, თავს მდაბლად დავუკრავდი და ვეტყოდი: „აი, თქვენი წერილები, ბატონო შირანაი, ბედნიერ დაბადების დღეს ვუსურვებ თქვენს პატარა იოშიროს, რომელიც დღეს სამი წლისა შესრულდა“.

ჩემი მილოცვის პასუხად პირდაღებულები შემომაცქერდებოდნენ ხოლმე.

ამ ახალ სამუშაოს საკმაოდ დიდი დრო მიჰქონდა. მთელი კომპანია უნდა შემომევლო. კმაყოფილი და თავდაჯერებული დავაგორებდი ჩემს ურიკას ორ სართულზე. ხშირად მიწევდა ლიფტის გამოძახება, რაც ერთობ სასიამოვნო საქმედ მექცა, რადგან სწორედ იმ ადგილას, სადაც ლიფტს ვუცდიდი ხოლმე, უშველებელი შემინული ღიობი იყო. ლიფტის მოლოდინში ვიდექი და ჩემებურად ვერთობოდი. ერთი თამაში გამოვიგონე, „სივრცეში გადაშვებას“ ვეძახდი. მინაზე ცხვირმიბჯენილი, ფიქრით ძირს გადავეშვებოდი ხოლმე. ჩემ ქვემოთ ქალაქი ისე შორს იყო, სანამ მიწაზე დავენარცხებოდი, ათასი რამის დანახვას ვასწრებდი.

ერთი სიტყვით, ჩემი მოწოდება ნაპოვნი მქონდა. სანამ ამ უბრალო, სასარგებლო, ადამიანურ და მჭვრეტელობით საქმიანობას ვეწეოდი, სული ჩემი ნეტარებდა. თანახმა ვიყავი, მთელი ცხოვრება სხვა აღარაფერი მეკეთებინა.

ბატონმა საიტომ თავის კაბინეტში შემიხმო და შავი დღე მაყარა: თურმე, ნუ იტყვი და მძიმე დანაშაული ჩამიდენია ინიციატივის გამოჩენის სახით. სამუშაო ისე მივისაკუთრე, ჩემს უშუალო უფროსებს არ დავკითხებივარ.

ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენი თანამშრომელი, ვისაც ფოსტის ჩამოტარება ევალებოდა და სამუშაოზე მხოლოდ ნაშუადღევს ცხადდებოდა, მოსულა და კინაღამ გულის შეტევა დამართვია, ჰგონებია, სამუშაოდან მითხოვენო.

- უღირსი საქციელია, კაცს სამუშაო ადგილი ხელიდან ქურდულად გამოაცალო, - სრულიად სამართლიანად მითხრა ბატონმა საიტომ.

ძალიან დამაღონა ჩემი მრავლისაღმთქმელი კარიერის ასეთმა ნაადრევმა დასასრულმა. თან ისიც იყო, ჩემი დასაქმება ისევ პრობლემად რჩებოდა.

ერთი აზრი დამებადა, რომელიც ჩემი გულუბრყვილობით ბრწყინვალე მეჩვენა: დარბაზ-დარბაზ ჩემი გა უთავებელი ხეტიალისას, ყოველ კაბინეტში უამრავ კალენდარს ვხედავდი, საჭირო დღეზე რომ არასოდეს ეყენა. ხან პატარა წითელი სანიშნებელი იყო გადაუწეველი, ხან გვერდი იყო გადასაფურცლი.

ამჯერად ნებართვის აღება არ დამვიწყებია.

- ბატონო საიტო, შეიძლება, კალენდრები საჭირო დღეზე დავაყენო?

თავი ისე დამიქნია, არც დაფიქრებულა, რაზე მთანხმდებოდა. ჩემი ჭკუით, საქმე გავიჩინე.

დილაობით ოთახებს შემოვივლიდი და პატარა წითელ სანიშნებელი საჭირო თარიღზე ვაყენებდი. მოკლედ, თანამდებობა მეც მქონდა: მეკალენდრეობა.

„იუმიმოტოს“ თანამშრომლები ნელ-ნელა მიხვდნენ ოთახ-ოთახ ჩემი ბორიალის მიზეზს და, შესაბამისად, მათმა მხიარულებამაც იმატა.

როგორც კი დამინახავდნენ, მაშინვე მეკითხებოდნენ ხოლმე:

- ჯანზე როგორა ხართ? ასეთმა მძიმე სამუშაომ გადაღლილობა იცის.

მეც ღიმილით ვპასუხობდი:

- ნუღარ მკითხავთ, აბებს ვყლაპავ, რომ ცოტა მოვსულიერდე.

მიყვარდა ჩემი მძიმე სამუშაო, ოღონდ ერთი რამ არ მომწონდა: ცოტა დრო სჭირდებოდა. სამაგიეროდ, ლიფტით ავდიოდი და ჩამოვდიოდი, რაც საშუალებას

მაძლევდა, „სივრცეში გადავშვებულიყავი“. ამას გარდა, ჩემი ეს საქმიანობა ხალხს ართობდა.

მხიარულებამ მწვერვალს მიაღწია, როცა თებერვლის თვიდან მარტზე გადავინაცვლეთ. ამ დღეს წითელი სანიშნებლის გადაწევა არ კმაროდა: მთელი გვერდი იყო მოსახევი.

ყველა ოთახში თანამშრომლები ისე მხვდებოდნენ, როგორც სპორტსმენ-ტრიუმფატორს. მეც სამურაის ეფექტური მოძრაობით ვგმირავდი თებერვლის თვეებს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვამარცხებდი ვეება ფოტოზე აღბეჭდილ თოვლიან ფუძიამას, რომელიც იუმიმოტოსეულ კალენდარში ხსენებულ გვერდს განასახიერებდა. მერე დაღლილი სახითა და გამარჯვებული მეომრის თავშეკავებული სიამაყით ვტოვებდი ბრძოლის ველს და უკან კომენტატორთა აღფრთოვანებული შეძახილები მომყვებოდა.

ჩემი დიდების ხმამ ბატონი საიტოს ყურამდე მიაღწია. მეგონა, მასხარაობის გამო ქარცეცხლი არ ამცდებოდა, ამიტომ თავის დაცვა ვცადე და სანამ რამეს მეტყოდა, დავასწარი:

- აკი ნება დამრთეთ, კალენდრები გადამეწია?

მას კი გაბრაზება აზრადაც არ მოსვლია, ოდნავ უკმაყოფილი ხმით მიპასუხა:

- კი ბატონო, გადასწიეთ, ოღონდ სპექტაკლებს ნუ გამართავთ. თანამშრომლებს დროს აკარგვინებთ.

გამიკვირდა, ასე იოლად რომ გადავრჩი. ბატონმა საიტომ კი განაგრძო:

- ამის ქსეროასლი გადამიღეთ.

A4-ის ფორმატის უშველებელი დასტა გამომიწოდა, ათასამდე ფურცელი.

დასტა ქსეროქსის ბუნკერში მოვათავსე და მანაც თავისი დანიშნულება სწრაფად და პირნათლად შეასრულა.

დედანიცა და ასლებიც ჩემს უფროსს მივუტანე. ცოტა ხანში ისევ დამიძახა:

- თქვენი ასლები ოდნავ დაცერებულია, - და ერთი ფურცელი მაჩვენა, - ხელახლა გააკეთეთ.

ვიფიქრე, გვერდები ცუდად ჩამიდია-მეთქი, და ქსე როქსის მანქანას მივუბრუნდი. ამჯერად ყველაფერი დიდი ყურადღებით გავაკეთე. შედეგი უზადო იყო. ჩემი ნამოღვაწარი ბატონ საიტოს მივართვი.

- მაინც დაცერებულია, - მითხრა მან.

- არა ხართ მართალი! - წამოვიძახე.

- დიდი უზრდელობაა, უფროსს ასე მიმართოთ.

- მაპატიეთ. ცდა არ დამიკლია, რომ ასლები უნაკლო გამომსვლოდა.

- უნაკლო მაინც არ გამოგივიდათ, აი, ნახეთ.

მან ერთი ისეთი ფურცელი გამომიწოდა, წუნი არ დაედებოდა.

- ვერ ვხვდები, რა არ მოგწონთ.

- აგერ, ამ სტრიქონებს შეხედეთ, კიდეებთან სრული პარალელურობა არ არის დაცული.

- ასე გგონიათ?

- რაკი გეუბნებით, ესე იგი, ასეა!

მთელი დასტა სანაგვე კალათაში ჩაყარა და ისევ მომიბრუნდა:

- ბუნკერით მუშაობთ?

- რა თქმა უნდა.

- ახლა ყველაფერი გასაგებია. ბუნკერით არ უნდა იმუშაოთ. მთლად ზუსტი არ გამოდის.

- ბატონო საიტო, უბუნკეროდ საათები დასჭირდება მაგდენი ასლის გადაღებას.

- ეგ რა პრობლემაა, - გაიღიმა მან, - თქვენ ხომ სწორედ საქმე გაკლიათ.

მივხვდი, რომ კალენდრების გამო ვისჯებოდი.

ქსეროქსის მანქანას კატორღამისჯილივით მივუჯექი. ყოველი ფურცლის ჩადებაზე თავსახური უნდა ამეწია, ფურცელი გულმოდგინედ გამესწორებინა, ღილაკისთვის თითი დამეჭირა, მერე შედეგი მენახა. სამი სა ათი სრულდებოდა, რაც ამ დილეგში შემოვედი; შვიდ საათზე სამუშაო ჯერ კიდევ არ მქონდა დამთავრებული. დროდადრო სხვა თანამშრომლები მოდიოდნენ. ათ ასლზე მეტი თუ ჰქონდათ გადასაღები, მოკრძალებულად ვთხოვდი, მეორე ქსეროქსი ეხმარათ, დერეფნის იქითა ბოლოში რომ იდგა.

ჩავხედე, რის ასლებს ვამზადებდი. სიცილი წამსკდა, როცა ვნახე, რომ არც მეტი, არც ნაკლები, გოლფ-კლუბის წესდება ყოფილიყო: ბატონი საიტო ხომ მისი წევრი ბრძანდებოდა.

მაგრამ წამის შემდეგ ტირილი მომინდა: მხოლოდ იმისათვის, რომ მე დავესაჯე, ჩემი უფროსი უცოდველ ხეებს იმეტებდა. თვალწინ დამიდგა ჩემი ბავშვობისჟამინდელი

იაპონური ტყეები - ნეკერჩხლები, კრიპტომერიები, გინგკოები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ იჩეხებოდა, რომ ჩემისთანა უმნიშვნელო არსება დასჯილიყო. გამახსენდა, რომ ფუბუკის გვარი ტყეს ნიშნავდა.

სწორედ ამ დროს შემოვიდა ბატონი ტენში, რძის ნაწარმის განყოფილების გამგე. ზუსტად ისეთივე თანამდებობა ეკავა, როგორიც ბატონ საიტოს, რომელსაც ფინანსთა განყოფილება ებარა. გაოცებულმა შევხედე: ნუთუ ამ თანამდებობის კაცმა ასლების გადამღები სხვა ვერავინ იპოვა?

ჩემს უხმო შეკითხვაზე მან მიპასუხა:

- უკვე რვა საათია. განყოფილებაში ჩემ მეტი აღარავინ დარჩა. ერთი ეს მითხარით, რატომ ბუნკერით არ მუშაობთ?

მოკრძალებული ღიმილით ავუხსენი, რომ ბატონი საიტოსაგან სპეციალური მითითება მქონდა.

- ვხვდები, ვხვდები, - ისე ჩამიქარგა, როგორც ჩანს, მართლა ხვდებოდა.

წამით რაღაცაზე ჩაფიქრდა, მერე მკითხა:

- თქვენ ბელგიელი ხართ, არა?

- დიახ.

- ჩინებული დამთხვევაა. ძალიან საინტერესო პროექტი მაქვს თქვენს ქვეყანასთან დაკავშირებით. თანახმა ხართ, ერთი მცირე სამუშაო შემისრულოთ?

ისე შევხედე, როგორც მესიას. მან ამიხსნა, რომ ერთმა ბელგიურმა კოოპერატივმა ახალი მეთოდით დაიწყო კარაქის ცხიმიანობის შემცირება.

- მე მსუბუქი კარაქის მომხრე ვარ. აი, ეს არის კარაქის მომავალი.

იქვე შევთხზე ჩემი შეხედულება:

- მეც მუდამ ეგ აზრი მიტრიალებდა.

- ხვალ ჩემს კაბინეტში გელოდებით.

ასლები წამში მოვითავე, წინ დიდებული მომავალი მელოდა. A4-ის ფურცლების დასტა ბატონ საიტოს მაგიდაზე დავდე და ოთახიდან გამარჯვებული სახით გამოვედი.

მეორე დღეს, როცა „იუმიმოტოს“ კომპანიაში მივედი, შეშინებულმა ფუბუკიმ მითხრა:

- ბატონმა საიტომ დაიბარა, რომ ერთხელ კიდევ უნდა გადაიღოთ ასლები, ფურცლის კიდეზე სტრიქონები ცოტათი გამრუდებული ყოფილა.

მე სიცილი წამსკდა და ავუხსენი, რა თამაშსაც მეთამაშებოდა ჩვენი უფროსი.

- დარწმუნებული ვარ, არც დაუხედავს ამ ახალი ასლებისთვის. სულ თითო-თითოდ მაქვს გადაღებული და მილიმეტრობით გაზომილი. არ ვიცი, რამდენი საათი მოვანდომე და, თურმე ნუ იტყვით, მისი გოლფკლუბის წესდება ყოფილა.

აღშფოთებულმა ფუბუკიმ გულით მითანაგრძნო:

- თქვენი წვალება გადაუწყვეტია.

მე დავამშვიდე:

- მაგაზე ნუ იღელვებთ. ეს ამბავი კიდევაც მართობს.

კვლავ ქსეროქსს მივაშურე, რომელსაც უკვე ზედმიწევნით ვიცნობდი, და სამუშაო ისევ ბუნკერს მივანდე: დარწმუნებული ვიყავი, ბატონი საიტო განაჩენს ისე გამოიტანდა, ჩემს ნამუშევარს თვალსაც არ შეავლებდა. გულაჩუყებული ღიმილით გავიფიქრე ფუბუკიზე: „როგორი გულისხმიერია! რა ბედნიერებაა, გვერდით ასეთი ადამიანი გეგულებოდეს-მეთქი!“

ბატონი საიტოს ეს ახალი მანევრი, სინამდვილეში, ხელსაყრელი სწორედ ჩემთვის გამოდგა: წინა დღეს ფოტოფირებს შვიდ საათზე მეტი მოვანდომე, ათასი ასლი სულ თითო-თითოდ გადავიღე. დღეს ამ საათებს ბატონ ტენშის კაბინეტში გავატარებდი და მშვენიერი ალიბიც მექნებოდა. ბუნკერმა ჩემი დავალება ათიოდე წუთში მოამთავრა. ქაღალდების დასტა ადგილზე მივიტანე და მერძევეობის განყოფილებისაკენ გავქანდი.

ბატონმა ტენშიმ ბელგიური კოოპერატივის კოორდინატები მომცა.

- რაც შეიძლება დეტალური ანგარიში გამიკეთეთ ამ ახალ კარაქზე. შეგიძლიათ, ბატონ საიტამას კაბინეტში იმუშაოთ. იგი მივლინებაშია წასული.

ტენში „ანგელოზს“ ნიშნავს. გავიფიქრე, ბატონი ტენში მართლა ანგელოზია-მეთქი, - სამუშაო ხომ გამიჩინა და გამიჩინა, თან არავითარი მითითებებით არ მზღუდავდა, ანუ ნებას მრთავდა, თავისუფლად მემოქმედა, რაც იაპონიაში ძალზე იშვიათად ხდება. გარდა ამისა, ეს ყველაფერი ისე წამოიწყო, არავისთან არაფერი შეუთანხმებია, რითაც დიდი რისკი გასწია.

მე კარგად მესმოდა ეს ყველაფერი და მის მიმართ იმთავითვე ისეთი უსაზღვრო ერთგულებით გავიმსჭვალე, თითოეულ იაპონელს რომ უნდა ჰქონდეს თავისი უფროსის მიმართ; მე კი აქამდე ეს გრძნობა არც ბატონ საიტოსა და არც ბატონ ომოჩის მიმართ არ გამჩენია. ბატონი ტენში უცებ გახდა ჩემი წინამძღოლი, ჩემი

მთავარსარდალი: მზად ვიყავი, სამურაის მსგავსად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მებრძოლა მისი გულისთვის.

და ჩავები გაწმენდილი კარაქისთვის ბრძოლაში. ეს იყო, მაშინვე ვერ დავრეკე ბელგიაში, სადაც სამუშაო დღე ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო, სამაგიეროდ მოხმარების ადგილობრივ ცენტრებსა და ჯანმრთელობის სამმართველოებს დავუკავშირდი იმის დასადგენად, თუ რა მიმართულებით იცვლებოდა მოსახლეობაში კარაქის საკვებად გამოყენების ჩვევები და რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილება ქოლესტოროლის საერთოეროვნულ პროცენტულ მაჩვენებელზე. დავასკვენი, რომ იაპონელები სულ უფრო და უფრო მეტ კარაქს მიირთმევდნენ, რის გამოც სიმსუქნე და გულ-სისხლძარღვების დაავადებები განუხრელად იზრდებოდა ამომავალი მზის ქვეყანაში.

ამასობაში იმ დრომაც მოატანა, როცა ბელგიაში დარეკვა უკვე შეიძლებოდა, და იქ ერთ პატარა ფირმას დავუკავშირდი. ჩვენებური აქცენტის გაგონებაზე, პირველად მოხდა, რომ გული ამიჩქროლდა. ჩემი თანამემამულე, დიდად ნასიამოვნები, რომ სატელეფონო ხაზზე იაპონიას ესაუბრებოდა, ფრიად კომპეტენტურიც გამოდგა. ათი წუთის შემდეგ ოცგვერდიანი ფაქსი მივიღე, სადაც ფრანგულ ენაზე დაწვრილებით იყო გადმოცემული ცხიმისაგან კარაქის გაწმენდის ახალი ტექნოლოგია, რომელიც ამ ფირმას ჰქონდა დაპატენტებული.

დავჯექი და ისეთი ანგარიში დავწერე, ქვას გახეთქდა. დავიწყე ბაზრის განხილვით: კარაქის მოხმარება იაპონელების მიერ; ევოლუცია 1950 წლის შემდეგ; ცხიმის გადაჭარბებულ მიღებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დარღვევათა პარალელური ევოლუცია. შემდეგ აღვწერე კარაქის გაწმენდის უწინდელი ტექნოლოგიები, ბელგიური ახალი მეთოდი, მისი მნიშვნელოვანი უპირატესობები და ა. შ. სამუშაო ინგლისურ ენაზე იყო შესასრულებელი, ამიტომაც შინ წავიღე: სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლექსიკონი დამჭირდებოდა. მთელ ღამეს არ მიძინია.

მეორე დღეს „იუმიმოტოს“ კომპანიაში ორი საათით ადრე მივედი. ანგარიში უნდა გადამებეჭდა და ბატონი ტენშისათვის ჩამებარებინა, თან ბატონი საიტოს განყოფილებაშიც დროზე უნდა მივსულიყავი.

ჩემმა უფროსმა მაშინვე თავისთან მიმიხმო:

- გადავსინჯე თქვენი ქსეროასლები, გუშინ რომ მაგიდაზე დამიტოვეთ. პროგრესი აშკარად დაგტყობიათ, თუმცა, ჯერჯერობით მთლად უნაკლოც არ არის. განაგრძეთ მუშაობა.

და დასტა ისევ სანაგვე ყუთში მოისროლა.

მორჩილების ნიშნად თავი დავხარე. სიცილს ძლივს ვიკავებდი.

ბატონმა ტენშიმ ქსეროქსის მანქანასთან მომაგნო. თბილად შემაქო, რამდენადაც ჩვეული ზრდილობა და თავდაჭერილობა ამის ნებას აძლევდა.

- თქვენი ანგარიში ჩინებულია, თან რა გასაოცარი სისწრაფით შეგისრულებიათ. თუ გნებავთ, კრებაზე გამოვაცხადებ, ვინ არის ავტორი.

ბატონი ტენში უაღრესად კეთილშობილი ადამიანი იყო. ალბათ, პროფესიულ შეცდომასაც არ დაერიდებოდა, ძალიან რომ მეთხოვა.

- არავითარ შემთხვევაში, ბატონო ტენში. თქვენთვისაც საზიანო იქნება და ჩემთვისაც.

- მართალი ხართ, მაგრამ უახლოეს თათბირებზე იქნებ ნელ-ნელა შევაპარო ბატონ საიტოსაც და ბატონ ომოჩისაც, რომ ჩემს განყოფილებაში უფრო საჭირო ხართ. როგორ გგონიათ, ბატონ საიტოს ხომ არ ეწყინება?

- პირიქით. შეხედეთ, რა ყოვლად უაზრო საქმეს მაკეთებინებს. ეს ამოდენა დასტა სულ იმისთვის შემომაჩეჩა გასამრავლებლად, რომ თავის ბიუროს, რაც შეიძლება, მეტი ხნით გამარიდოს: ცხადია, მიზეზს ეძებს. ჩემი თავიდან მოშორება უნდა. გარწმუნებთ, დიდად კმაყოფილი დარჩება, თუ ამის შესაძლებლობას მისცემთ. აშკარად თვალში ეკლად ვესობი.

- მაშ, გული ნამდვილად არ დაგწყდებათ, თქვენი ანგარიშის ავტორობა რომ მე მივისაკუთრო?

განმაცვიფრა ამგვარმა დამოკიდებულებამ. არაფერი ავალდებულებდა, ჩემისთანა წვრილფეხა თანამშრომლისთვის შეეთანხმებინა ეს ამბავი.

- როგორ გეკადრებათ, ბატონო ტენში, ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ ჩემს ანგარიშს თქვენი სახელით წარადგენთ.

ურთიერთპატივისცემით აღსავსენი დავშორდით ერთმანეთს. მომავალს იმედით შევყურებდი. სულ მალე ბატონ საიტოს აბსურდულ გამოხდომებს - ქსეროასლების გადაღებებსა და ჩემს მეორე ენაზე ლაპარაკის აკრძალვას - ბოლო მოეღებოდა.

დრამა რამდენიმე დღის შემდეგ დატრიალდა. ბატონმა ომოჩიმ თავისთან გამომიძახა: ყოველგვარი ავი წინათგრძნობის გარეშე გავეშურე მისი კაბინეტისაკენ, ეჭვადაც არ ვიცოდი, რა უნდოდა.

როცა ვიცე-პრეზიდენტის მისაღებში შევედი, იქ ბატონი ტენში დამხვდა, სკამზე იჯდა. მე რომ შევედი, ჩემკენ მოტრიალდა და გამიღიმა: ჩემთვის ასე თბილად ცხოვრებაში ჯერ არავის გაუღიმია. „საზარელი გამოცდა გველის, მაგრამ ჩვენ მას ერთად გადავიტანთ“, - იკითხებოდა ამ ღიმილში.

მეგონა ვიცოდი, „შავი დღე მაყარეს“ რასაც ერქვა, მაგრამ იმან, რაც მაშინ თავს გადამხდა, დამანახა, რომ მიახლოებითაც არ მცოდნია. ბატონ ტენშისა და მე ჩვენი

უფროსი გიჟური ღრიალით შეგვხვდა. ახლაც ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს, რა უფრო უარესი იყო, ფორმა თუ შინაარსი.

შინაარსი წარმოუდგენლად შეურაცხმყოფელი იყო. მეც და ჩემს ჭირთამოზიარესაც რა აღარ გვიწოდა: მოღალატეები, არარაობები, ასპიტები, თაღლითები და, ლანძღვა-გინების მწვერვალი რაც იყო, ინდივიდუალისტები.

ფორმა კი დამაჯერებლად გვიხსნიდა იაპონიის ისტორიაში მომხდარი მრავალი მოვლენის მიზეზს: ოღონდ ეს საზარელი ღრიალი შემწყდარიყო, და მზად ვიყავი, ყველაფერი მეკისრა: დამეპყრო მანჯურია, ამეყარა ათასობით ჩინელი, თავი მომეკლა იმპერატორისთვის, ჩემი თვითმფრინავი ამერიკული გემისათვის შემეხეთქებინა, და გამორიცხული არც ის მგონია, ერთდროულად „იუმიმოტოს“ ორ კომპანიაში მუშაობაზეც კი დავთანხმებულიყავი.

ყველაზე გაუსაძლისი მაინც ის იყო, რომ ჩემ გამო ჩემი კეთილისმყოფელი ასეთ დამცირებას იტანდა. ბატონი ტენში გონიერი და კეთილსინდისიერი კაცი იყო: ჩემ გამო დიდ რისკზე წავიდა და კარგად იცოდა, რაზეც მიდიოდა.

მისი საქციელი არავითარი პირადი ინტერესით არ იყო გამოწვეული. მას მხოლოდ ალტრუიზმი ამოძრავებდა. სიკეთის სანაცვლოდ კი ლაფში ამოსვარეს.

ვცდილობდი, მაგალითი მისგან ამეღო: დროდადრო თავს დაბლა ხრიდა და წელში იდრიკებოდა. მისი სახე მორჩილებასა და სირცხვილს გამოხატავდა. მეც ყველაფერში ვბაძავდი. მაგრამ ის წუთიც დადგა, როცა ზონზროხამ უთხრა:

- თქვენ მუდამ ერთადერთი მიზანი გამოძრავებდათ: კომპანიისათვის საბოტაჟი მოგეწყოთ.

თავში უეცრად რაღაც გადამიბრუნდა: არ უნდა დამეშვა, რომ ამ ინციდენტს ჩემი მფარველი ანგელოზის მომავალი წინსვლა შეეფერხებინა. ვიშვირე ფეხი და ვიცეპრეზიდენტის საზარელი ღრიალის აბობოქრებულ მორევში გადავეშვი:

- ბატონ ტენშის არავითარი საბოტაჟის მოწყობა არ სურდა. შევეხვეწე, ჩემთვის რაიმე საქმე მოენდო. ყველაფერი ჩემი ბრალია.

იმავე წამს ჩემი ჭირთამოზიარის შეშინებულ მზერას წავაწყდი და მით თვალებში ამოვიკითხე: „გემუდარებით, გაჩუმდით“. მაგრამ, ვაი, რომ ძალზე გვიან იყო.

ბატონი ომოჩი ერთი წამით პირდაღებული შემომყურებდა, მერე მომიახლოვდა და პირში შემომღრიალა:

- თავის მართლებასაც ბედავთ?!

- არა, პირიქით, თავს ვიდანაშაულებ, ვაცხადებ, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია და მხოლოდ მე უნდა დავისაჯო.

- ამ გველის დაცვასაც ბედავთ!

- ბატონ ტენშის დაცვა არ სჭირდება. მის მიმართ თქვენი ბრალდებები უსაფუძვლოა.

დავინახე, როგორ დახუჭა თვალები ჩემმა კეთილისმყოფელმა, და მივხვდი, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი.

- იმის თქმასაც ბედავთ, რომ მას უსაფუძვლოდ ვადანაშაულებ?! თქვენი უზრდელობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება!

- ვერასოდეს გავბედავ, ამგვარი რამ განვაცხადო. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ თვითონ ბატონი ტენში უსაფუძვლოდ ამტკიცებდა ჩემს უდანაშაულობას.

ჩემმა ჭირთამოზიარემ, ეტყობა, გაიფიქრა, ამაზე უარესი რაღა უნდა დაგვემართოსო, და ხმა ამოიღო. მის ხმაში მთელი სამყაროს დამცირება ისმოდა.

- გემუდარებით, ნუ გაუწყრებით, თვითონაც არ იცის, რას ამბობს. ახალგაზრდაა, თანაც დასავლელი და არავითარი გამოცდილება არ გააჩნია. მე გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი. სირცხვილით ვიწვი.

- თქვენი დანაშაული მართლაც უპატიებელია, - ისევ დაიღრიალა ზორზოხამ.

- რა დიდიც უნდა იყოს ჩემგან დაშვებული შეცდომა, არ შემიძლია, ქებით არ მოვიხსენიო ამელი-სანის ჩინებული ანგარიში და მისი შესრულების განსაცვიფრებელი სისწრაფე.

- მთავარი სულ სხვა რამეა: სამუშაო ბატონ საიტამას უნდა შეესრულებინა.

- ბატონი საიტამა მივლინებაშია.

- მის დაბრუნებას უნდა დალოდებოდით.

- ამ ახალ კარაქზე, ჩვენ გარდა, სხვებიც ნადირობენ. სანამ ბატონი საიტამა მივლინებიდან დაბრუნდე ბოდა და ანგარიშს დაწერდა, ვშიშობდი, სხვებმა არ დაგვასწრონ-მეთქი.

- შემთხვევით ეჭვი ხომ არ გეპარებათ ბატონი საიტამას კომპეტენტურობაში?

- სრულებითაც არა. მაგრამ ბატონმა საიტამამ ფრანგული არ იცის და არც ბელგიას იცნობს. იგი ბევრად მეტ დაბრკოლებას წააწყდებოდა, ვიდრე ამელი-სანი.

- გაჩუმდით. ასეთი საზიზღარი პრაგმატიზმი მხოლოდ დასავლელს ეკადრება.

ცოტა არ იყოს, გადამლაშებული მეჩვენა, ამას ჩემ ცხვირწინ ასე უბოდიშოდ რომ ამბობდნენ.

- ვწუხვარ, თუ ჩემი საქციელი უღირსი გამოდგა, ისეთი, მხოლოდ დასავლელს რომ ეკადრება. დიახ, ჩვენ შეცდომა მოგვივიდა, მაგრამ თუკი ეს დანაშაული კომპანიას რაიმე სარგებელს...

ბატონი ომოჩი მომიახლოვდა და თვალები ისე დამიბრიალა, სიტყვა პირზე შემეყინა.

- თქვენ კი გაფრთხილებთ: ეს თქვენი პირველი და უკანასკნელი ანგარიშია. თავი თვითონვე ჩაიყენეთ უმძიმეს მდგომარეობაში. ახლა გადით, აღარ მსურს თქვენი დანახვა.

სასწრაფოდ გავეცალე, სანამ ისევ აღმუვლდებოდა. უკვე დერეფენში ვიყავი, როცა ამ ზვინადშედგმული ხორცის ხელახალი ღრიალი და პასუხად მსხვერპლის მავედრებელი დუმილი მომესმა. მერე კარიც გაიღო და ბატონი ტენში გამოჩნდა. ორივენი ერთად გავემართეთ სასადილოსაკენ, რადგან მთელი შეურაცხყოფა, რომელიც ჩვენმა უფროსმა გვაგემა, ყელში გვქონდა გაჩხერილი.

- ბოდიშს გიხდით, რომ ასეთ საქმეში გაგხვიეთ, - მითხრა მან, როცა, როგორც იქნა, კვლავ ენა ამოიდგა.

- ძალიან გთხოვთ, ბოდიშს ნუ მიხდით! მთელი სიცოცხლე თქვენი მადლიერი ვიქნები. ერთადერთი ადამიანი ბრძანდებით, ვინც ხელი გამომიწოდა. ამისთვის დიდი გამბედაობა და დიდი კეთილშობილება იყო საჭირო. ეს თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ ახლა კიდევ უკეთ ვიცი, როცა ჩემი თვალით ვნახე, რაც გადაგხდათ. ეს ადამიანები თქვენს ნდობას არ იმსახურებენ. არ უნდა გეთქვათ, რომ ანგარიში ჩემი დაწერილი იყო.

მან გაოცებით შემომხედა.

- მე არ მითქვამს. გაიხსენეთ ჩვენი საუბარი: უფრო მაღალ ინსტანციაში, ბატონ ჰანედასთან ვაპირებდი ამაზე ლაპარაკს, ფრთხილად, მოიარებით. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა, რამეს გავმხდარიყავი. ბატონ ომოჩისათვის მაგის გამხელა კატასტროფას ნიშნავდა.

- ეტყობა, ბატონმა საიტომ ჩაუკაკლა. ო, ეს რეგვენი და ნაძირალა! რა უნდოდა, თვითონაც მოისვენებდა და მეც საქმეს ვეწეოდი. მაგრამ არა, თურმე საჭირო იყო...

- ნუ ამბობთ ამდენ აუგს ბატონ საიტოზე. ბევრად უკეთესი ადამიანია, ვიდრე თქვენ გგონიათ. მას არ დავუსმენივართ. დასმენის ბარათი ჯერ ისევ ბატონ ომოჩის მაგიდაზე იდო. ბარათიც დავინახე და ისიც გავარჩიე, ხელს ვინ აწერდა.

- ბატონი საიტამა?

- არა. მართლა აუცილებელია, იცოდეთ?

- ყოვლად აუცილებელია.

მან ამოიოხრა.

- ბარათს ფუბუკი მორი აწერს ხელს.

თავში თითქოს კეტი ჩამარტყეს.

- ფუბუკი? შეუძლებელია.

ჩემი ჭირთამოზიარე ხმას არ იღებდა.

- ვერ დავიჯერებ! - წამოვიწყე ისევ, - ცხადია, იმ ქვეშქვეშა საიტომ უბრძანა ბარათის დაწერა. იმდენი ვაჟკაცობაც არ ეყო, თვითონვე დავესმინე, სხვისი ხელით გააკეთა.

- ბატონ საიტოზე არასწორი აზრისა ხართ: ბატონი საიტო დათრგუნული კაცია, დაკომპლექსებული, ცოტათი გონებაჩლუნგიც, მაგრამ ბოროტი ნამდვილად არ არის. ვიცე-პრეზიდენტის რისხვისათვის არამც და არამც არ გაგვიმეტებდა.

- ფუბუკი ამას ვერ ჩაიდენდა!

ბატონი ტენში იმით დაკმაყოფილდა, რომ ერთხელ კიდევ ამოიოხრა.

- რისთვის უნდა ჩაედინა ასეთი რამ? სძულხართ?

- ო, არა, ჩემ გამო არ ჩაუდენია. ამ ამბავმა, საბოლოო ჯამში, ზიანი მე კი არა, თქვენ მოგიტანათ. კაცმა რომ თქვას, მე არაფერს ვკარგავ. თქვენ კი დაწინაურებას დიდხანს ვერ ეღირსებით.

- არაფერი მესმის. თითქოს მეგობრები ვიყავით.

- დიახ, იქამდე, სანამ თქვენი ერთადერთი მოვალეობა კალენდრების გადაწევა და საგოლფე წესდების გადაქსეროქსება იყო.

- წარმოუდგენელია, მის ადგილზე მე ვინ დამსვამდა!

- მართალი ხართ. მაგის შიში არც ჰქონია.

- მაშ, რისთვისღა დამასმინა? თქვენთან თუ გადმოვიდოდი, ამით რა დაუშავდებოდა!

- წლები გავიდა, სანამ დააწინაურებდნენ. თქვენ არ იცით, მაგ ადგილისათვის რა წვალება გადახდა. ეტყობა, ვერ აიტანა თქვენი შესაძლო უეცარი დაწინაურება, ჯერ ხომ ათი კვირა ძლივს არის გასული, რაც „იუმიმოტოში“ მოხვედით.

- ვერ დამიჯერებია. ასეთი სულმდაბლობა როგორ უნდა ეკადრა.

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მართლაც დიდი, ძალიან დიდი ჯაფა დაადგა აქ მუშაობის პირველ წლებში.

- ჰოდა, მოწადინებულია, მეც იგივე გადამხდეს? მართლა სავალალო ამბავია. უნდა დაველაპარაკო.

- გგონიათ, უკეთესი იქნება?

- რა თქმა უნდა. სხვაგვარად საქმე როგორ უნდა დალაგდეს?

- აგერ, ეს წუთია, ბატონ ომოჩის ელაპარაკეთ, რომელმაც თავზე ამოდენა ლანძღვა-გინება დაგვაბერტყა. როგორ ფიქრობთ, ამით რამე დალაგდა?

- მაგრამ პრობლემის მოგვარება დაულაპარაკებლად რომ არასოდეს ხერხდება?

- მე კი მგონია, რომ საქმის გარჩევა ხშირად კიდევ უფრო ამწვავებს ვითარებას.

- დამშვიდდით, თქვენ არაფერში ჩაგრევთ. მაგრამ ფუბუკის აუცილებლად უნდა დაველაპარაკო, თორემ გავგიჟდები.

ჩემს წინადადებაზე, თან გამომყოლოდა, ქალბატონმა მორიმ თავაზიანი გაკვირვება გამოხატა, მაგრამ მაინც ადგა და გამომყვა. სხდომათა დარბაზი ცარიელი იყო და იქ შევედით. დინჯად, აუღელვებლად, წყნარად ვუთხარი:

- მეგონა, მეგობრები ვიყავით. ვერაფერი გამიგია.

- მაინც რა ვერ გაგიგიათ?

- უარყოფთ, რომ დამაბეზღეთ?

- მე არაფერსაც არ უარვყოფ. ის გავაკეთე, რასაც წესი მავალებდა.

- თქვენთვის წესია მთავარი თუ მეგობრობა?

- მეგობრობა, ცოტა არ იყოს, მაღალფარდოვნად არის ნათქვამი. უფრო შესაფერისი იქნებოდა „კოლეგიალობა“.

ეს ამაზრზენი სიტყვები მშვიდად, უწყინარი სახით წარმოთქვა.

- ვატყობ. ჰოდა, თუკი კვლავაც მაგ აზრზე დარჩებით, როგორ გგონიათ, ჩვენი ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება?

- რატომაც არა. თუ ბოდიშს მომიხდით, გულში ბოღმას არ ჩავიხვევ.

- იუმორი არ გაკლიათ, ფუბუკი.

- პირდაპირ გაოცებული ვარ. ისე იქცევით, თითქოს თავმოყვარეობა შეგელახათ, არადა, დამნაშავე თვითონვე ხართ.

შევცდი, ენამწარობაზე გადავედი:

- საოცარია. მე მეგონა, იაპონელები და ჩინელები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდით.

შემომხედა, მაგრამ ნათქვამი ვერ გაიგო. მე განვაგრძე:

- დიახ, მაბეზღარობაზე მოგახსენებთ. ეს თვისება ჩინელებს კომუნიზმამდეც მოსდგამდათ. ჩინელები, ვთქვათ, იმავე სინგაპურში ბავშვებს თავიდანვე ერთმანეთის დაბეზღებას ასწავლიან. მეგონა, იაპონელებს ღირსების გრძნობა გაგაჩნდათ.

ცხადია, გასაღიზიანებლად ვუთხარი, რაც სტრატეგიული შეცდომა იყო.

ფუბუკიმ გაიღიმა:

- მაგ დღეში მყოფი, ზნეობაზე არ უნდა ლაპარაკობდეთ.

- თქვენი აზრით, ფუბუკი, რისთვის წამოვიწყე ეს საუბარი?

- დაუფიქრებლად.

- იქნებ შერიგება მსურდა?

- კი ბატონო, ბოდიში მომიხადეთ და შევრიგდებით.

მე ამოვიოხრე.

- არც ჭკუა გაკლიათ და არც მიხვედრილობა. რად გინდათ, თავი ისე მომაჩვენოთ, ვითომ ვერაფერს ხვდებით?

- ნუ ხართ პრეტენზიული. თქვენი გაგება არც ისე ძნელია.

- მით უკეთესი, მაშასადამე, კარგად გესმით ჩემი აღშფოთება.

- მესმის და ვგმობ. აღმაშფოთებელი საქციელი მე კი არა, თქვენ თვითონ ჩაიდინეთ. უცებ მოინდომეთ დაწინაურება, რისი არანაირი უფლებაც არ გქონდათ.

- კარგი, ვთქვათ, არ მქონდა. ჩემი დაწინაურებით თქვენ რა დაგაკლდებოდათ?

- მე ოცდაცხრა წლისა ვარ. თქვენ ოცდაორისა. ამ ადგილზე მხოლოდ შარშან დამნიშნეს. წლობით ვიბრძოდი, რომ ეს ადგილი როგორმე მომეპოვებინა. თქვენ კი ასეთივე ადგილი რამდენიმე კვირაში გინდოდათ დაგესაკუთრებინათ?

- აი, თურმე ძაღლის თავი სად მარხია! თქვენთვის აუცილებელია, მეც ვიტანჯო. სხვისი წარმატება გულს გიკლავთ. რა ბავშვობაა!

ზიზღით ჩაიცინა:

- მაგ თქვენი საქციელით თქვენს მდგომარეობას კიდევ უფრო რომ ამძიმებთ, ეგ, თქვენი აზრით, ბავშვობა არ არის? მე თქვენი უფროსი ვარ. გაქვთ იმის უფლება, ასე უხეშად მელაპარაკოთ?

- კი, ჩემი უფროსი ხართ. გასაგებია. არავითარი უფლება რომ არა მაქვს, ეგეც ვიცი. მაგრამ მინდა თქვენც იცოდეთ, როგორ გამიცრუეთ იმედი. თქვენდამი რამოდენა პატივსცემა მქონდა!

ცივად გაიცინა:

- მე კი იმედგაცრუებული სულაც არა ვარ. თქვენი პატივისცემა არასოდეს მქონია.

მეორე დილას, როცა „იუმიმოტოს“ კომპანიაში მივედი, ქალბატონმა მორიმ გამომიცხადა, რომ ახალ საქმეზე გადავყავდი.

- განყოფილებას არ გამოიცვლით, რადგან საბუღალტრო საქმეა.

კინაღამ გამეცინა:

- მე და - ბუღალტრობა? რატომ აკრობატობა არა?

- ბუღალტრობა ცოტა გადამეტებულია. არა მგონია, ბუღალტრად გამოდგეთ, - თანაგრძნობით გაიღიმა ფუბუკიმ.

დიდი უჯრა გამოსწია, შიგ ბოლო კვირების ფაქტურები უწესრიგოდ ეყარა. მერე კარადაზე მიმანიშნა, ვეებერთელა საბუღალტრო ანგარიშებით რომ იყო გამოტენილი. ყველა საქაღალდეზე „იუმიმოტოს“ თერთმეტი განყოფილებიდან ერთ-ერთის შემოკლებული სახელი ეწერა.

- ამაზე მარტივი სამუშაო არ არსებობს. სწორედ თქვენი ჭკუა-გონების შესაფერისია, - ამიხსნა მან დამრიგებლური ტონით. ჯერ ფაქტურები უნდა დაალაგოთ თარიღების მიხედვით, მერე განსაზღვროთ, რომელ განყოფილებას ეკუთვნის. ავიღოთ, მაგალითად, ეს საქაღალდე: თერთმეტი მილიონი იენი ფინური ემანტალისათვის - რა უცნაური დამთხვევაა - მერძევეობის განყოფილებას ეკუთვნის. აიღებთ DP ფაქტურების დავთარს და ყოველ სვეტში თარიღს, კომპანიის სახელ სა და საერთო თანხას გადმოწერთ. აღნუსხულ და დალაგებულ ფაქტურებს ამ უჯრაში ჩააწყობთ.

რაც მართალია, მართალია, სამუშაო ძნელი არ ჩანდა. გაკვირვება ვერ დავმალე.

- ჯერ სისტემატიზირებული არ არის?

- როგორ არა, თვის ბოლოს ბატონი უნაჯი ყველა ფაქტურას კომპიუტერში შეიტანს. თუ ყველაფერი წინასწარ იქნება გამზადებული, დიდი დრო დაეზოგება.

პირველ ხანებში მიჭირდა ხოლმე იმის განსაზღვრა, ესა თუ ის ფაქტურა რომელ განყოფილებას ეკუთვნოდა. ფუბუკის ვეკითხებოდი და ვატყობდი, ცოტათი კიდევაც ვაღიზიანებდი ამით, მაგრამ მაინც თავაზიან პასუხს მაძლევდა.

- რას ნიშნავს Ltd?

- არარკინეული მეტალები - სექცია MM.

- Cunzer GMBH რაღაა?

- ქიმიური ნაწარმი, განყოფილება CP.

სულ მალე ზეპირად ვიცოდი ყველა კომპანია და განყოფილება, რომელს რომელი ანგარიში ეკუთვნოდა. ჩემი მოვალეობა სულ უფრო და უფრო მარტივი მეჩვენებოდა. სამუშაო ერთობ მომაბეზრებელი იყო, მაგრამ უსიამოვნებას არ მგვრიდა, რადგან საშუალებას მაძლევდა, სხვა რამეზეც მეფიქრა. ფაქტურების გადანუსხვისას დროდადრო თავს ავწევდი ხოლმე და ვოცნებობდი: თან ჩემი დამსმენის მშვენიერი სახით ვტკბებოდი.

* * *

კვირა კვირას მისდევდა და თანდათანობით სულ უფრო ვმშვიდდებოდი. ამ მდგომარეობას „ფაქტურული სიმშვიდე“ შევარქვი. დიდ განსხვავებას ვერ ვხედავდი შუა საუკუნეების გადამწერი ბერის საქმიანობასა და ჩემს ხელობას შორის: მთელ დღეებს ასოებისა და ციფრების გადაწერას ვანდომებდი. უჩვეულო გარინ დება დამეუფლა, რადგან ჩემი ტვინი ასე განტვირთული ჯერ არასოდეს ყოფილა. ეს ანგარიშები თავისებური „ძენი“[7] იყო. ზოგჯერ თავი იმის ფიქრშიც დამიჭერია, რომ თუკი ჩემი არსებობის კიდევ ორმოც წელიწადს ამ ნეტარ დამაჩლუნგებლობას მივუძღვნიდი, ცუდი არ იქნებოდა.

არადა, სისულელე მიქნია, უმაღლესი რომ დამიმთავრებია. ჩემი ტვინი იმდენად უინტელექტო აღმოჩნდა, რომ ამ განუხრელი უაზრობით, პირიქით, ყვაოდა და იფურჩქნებოდა. მხოლოდ და მხოლოდ პასიური მჭვრეტელობისათვის ვყოფილვარ გაჩენილი, ეს ჩემთვის აშკარა გახდა. ციფრების წერა და სილამაზის ყურება სწორედ რომ ბედნიერება იყო.

ფუბუკი მართალი გამოდგა: გზას ავცდებოდი, ბატონ ტენშისთან რომ მემუშავა. რასაკვირველია, კარაქის შესახებ ანგარიში მე დავწერე, ამის აღუნიშნაობა არ იქნებოდა, მაგრამ ჩემი გონება დამპყრობელთა მოდგმისა კი არ იყო, არამედ - ფაქტურების საძოვარზე გაშვებულ ძროხათა ჯიშისა და ჯილაგისა, თან მადლის გარდამოსვლასაც რომ ელიან. რა კარგი ყოფილა სიამაყისა და ფიქრის გარეშე ცხოვრება. ჰოდა, მეც ზამთრის ძილში ჩავეფალი.

თვის ბოლოს ბატონი უნაჯი ჩემი სამუშაოს ინფორმატიზაციას შეუდგა. ორი დღე დასჭირდა ციფრთა და აბრევიატურათა ჩემეული სვეტების კომპიუტერში გადატანას. უცნაური სიამაყე დამეუფლა, ამ ჯაჭვის აქტიური რგოლი რომ ვიყავი.

ბედით იყო თუ შემთხვევით, „CP“-ს ფაქტურების *ჩინურიდან ნასესხები იაპონური სიტყვაა, ნიშნავს მედიტაციას. დავთარი ბოლოსთვის შემოინახა. ამ დავთრის ბეჭდვაც ისევე მშვიდად დაიწყო, როგორც ანგარიშების ათი პირველი წიგნისა, რამდენიმე წუთის შემდეგ მისი წამოყვირება მომესმა:

- შეუძლებელია, შეუძლებელია!

დავთარს გამალებული ფურცლავდა, მერე უცებ გიჟური ხარხარი აუტყდა, რომელიც პატარ-პატარა დანაწევრებულ შეყვირებებად იქცა. უშველებელ კაბინეტში მყოფმა ორმოცმა კაცმა ერთმანეთს გაოცებით გადახედა.

თავი ცუდად ვიგრძენი.

ფუბუკი წამოხტა და მასთან მიიჭრა. ბატონი უნაჯი დავთრის გვერდებს უჩვენებდა და ხარხარებდა. ფუბუკი ჩემკენ შემოტრიალდა. თავისი კოლეგის ავადმყოფური მხიარულებისთვის მხარი არ აუბამს. გაფითრებულმა თავისთან მიმიხმო.

- ეს რა არის? - მკვახედ შემეკითხა და ერთ-ერთ ბრალდებულ სტრიქონზე მიმითითა.

მე წავიკითხე:

-GMBH-ის ფაქტურაა, დათარიღებული...

- GMBHGMBH? GMBHGMBH! - ფუბუკიმ იფეთქა:

- შეგიძლიათ ამიხსნათ, რას ნიშნავს GMBH? - და გულზე ხელები დაიკრიფა.

- გერმანული ქიმიური საზოგადოება, ვისთანაც ხშირად გვიწევს ურთიერთობა.

ხარხარმა კიდევ უფრო იმატა.

- ნუთუ ვერ შეამჩნიეთ, GMBH -ის წინ ყოველთვის ერთი ან რამდენიმე გვარი რომ წერია? - განაგრძო ფუბუკიმ.

- როგორ არა, შევამჩნიე. ამ საზოგადოების სხვადასხვა ფილიალის სახელები მეგონა. ვიფიქრე, დავთარს წვრილმანებით არ გადავტვირთავ-მეთქი.

გაუღიმარმა ბატონმა საიტომაც კი თავი ვეღარ შეიკავა და საერთო ხარხარს აჰყვა. მხოლოდ ფუბუკი არ იცინოდა. სიბრაზისგან გაფითრებული იდგა, სილის გაწვნა რომ შესძლებოდა, ალბათ, გამაწნავდა. ბოლოს გაალმასებულმა მიკივლა:

- იდიოტო, შეიგნეთ ბოლოს და ბოლოს, რომ GMBH შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს ნიშნავს და ინგლისური Ltd-სა და ფრანგული S.A.-ს გერმანული შესატყვისია. კომპანიები, რომლებიც GMBH-ის სახელწოდებით ასე ბრწყინვალედ გააერთიანეთ, სრულიად სხვადასხვანი არიან. ეს ზუსტად იგივეა, Ltd რომ დაგეწერათ ყველა ამერიკული, ინგლისური და ავსტრალიური კომპანიის აღსანიშნავად, ვისთანაც კი ოდესმე მოლაპარაკებები გვქონია. ახლა რამდენი დრო დაგვჭირდება თქვენი შეცდომების გამოსასწორებლად?

თავის მართლების ყველა შესაძლებლობიდან ყველაზე სულელური ავირჩიე:

- რა აზრად მოუვიდათ ამ გერმანელებს S.A.-ს აღსანიშნავად ამდენი ასომთავრული ჩამოემწკრივებინათ!

- თავსაც რომ იმართლებს! იქნებ გერმანელების ბრალია, ასეთი სულელი რომ ხართ?

- დაწყნარდით, ფუბუკი, მე საიდან უნდა მცოდნოდა...

- საიდან უნდა გცოდნოდათ? თქვენს ქვეყანასა და გერმანიას შორის საერთო საზღვარი გადის. ნუთუ ასეთი ძნელი იყო იმის ცოდნა, რაც აქ, პლანეტის მეორე კიდეში ვიცით?

ენაზე საზარელი სიტყვები მომადგა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თავი შევიკავე: „კი, ბელგიასა და გერმანიას შორის საერთო საზღვარი მართლა გადის, მაგრამ ისიც საკითხავია, ამ ბოლო ომში ვის უფრო მეტი საერთო ჰქონდა გერმანიასთან?“

იმით დავკმაყოფილდი, რომ დამარცხების ნიშნად თავი დავხარე.

- აქ რას დარჭობილხართ, წადით და ის ფაქტურები მომიძებნეთ, თქვენი გამჭრიახი გონება მთელი თვე ქიმიაში რომ ათავსებდა.

უჯრა გამოვწიე და კინაღამ გამეცინა. ქიმიური პროდუქციის დავთარი არნახულად გაბერილიყო.

ბატონი უნაჯი, ქალბატონი მორი და მე მუშაობას შევუდექით. სამი დღე მოვანდომეთ თერთმეტივე დავთრის წესრიგში მოყვანას. სახელი უკვე საკმაოდ შელანძღული მქონდა, როცა ახალი უბედურება დამატყდა თავს.

ამის პირველი ნიშანი ჩვენი კაიკაცის, უნაჯის სქელსქელი მხრების უცნაური ცახცახი იყო, რაც იმაზე მტეყველებდა, რომ იგი სიცილის გუნებაზე დამდგარიყო. ცახცახმა მალე მკერდს მიაღწია და მერე კისერსაც მოედო.

ბრაზისგან გაფითრებულმა ფუბუკიმ ჰკითხა:

- კიდევ რა მოიმოქმედა?

ბატონმა უნაჯიმ აქეთ ფაქტურა უჩვენა, იქით - ანგარიშების დავთარი. ფუბუკიმ ხელები სახეზე აიფარა. იმის გაფიქრებაზე, რა მომელოდა, გულზიდვა დამაწყებინა.

გვერდებს ფურცლავდნენ და ფაქტურებზე რაღაცას ინიშნავდნენ. მერე ფუბუკიმ ხელი მხარში ჩამავლო და უსიტყვოდ მაჩვენა თანხები, რომლებიც ჩემმა შეუსადარმა ხელმა გადაწერა.

- როგორც კი რამდენიმე ნული ერთმანეთს წაეწყობა, ტვინი არ გყოფნით, უშეცდომოდ გადაწეროთ? ყო ველ ჯერზე, სულ ცოტა, თითო ნულს მაინც აკლებთ ან ამატებთ.

- მოიცათ... ჰო, მართალია.

- მერედა, იცით, ეს რას ნიშნავს? რამდენი კვირა დასჭირდება თქვენი შეცდომების აღმოჩენასა და გასწორებას?

- განა ადვილია, ამდენი ნული მიყოლებით...

- გაჩუმდით მაინც!

მკლავზე მომქაჩა და ოთახიდან გარეთ გამიყვანა, რომელიღაც ცარიელ კაბინეტში შემიყვანა და კარი მიხურა.

- არა გრცხვენიათ?

- ძალიან ვწუხვარ, - ვთქვი საცოდავად.

- სრულებითაც არ სწუხხართ. ეტყობა, სულელი გგონივართ. განზრახ დაუშვით ეს გაუგონარი შეცდომები, რომ ჩემზე ჯავრი გეყარათ.

- გეფიცებით, რომ არა!

- სულ ტყუილად მეფიცებით, გულში ჩაიხვიეთ ვიცეპრეზიდენტს თქვენი კარაქის ამბავი რომ მივუტანე და ჩემი საქვეყნოდ გამასხარავება განიზრახეთ.

- თქვენ რა შუაში ხართ, მე თვითონ გავმასხარავდი.

- მე თქვენი უშუალო უფროსი ვარ და ყველამ იცის, რომ ეს სამუშაო მე მოგანდეთ. თქვენს ნამოქმედარზე პასუხი მე მომეთხოვება. ეს მშვენივრად იცით. სხვა

დასავლელებივით თქვენც სულმდაბლობა გამოამჟღავნეთ: პირად პატივმოყვარეობას კომპანიის ინტერესებზე მაღლა აყენებთ. ჩემზე განაწყენებულმა შურისძიების მიზნით „იუმიმოტოს“ ფინანსთა განყოფილებას საბოტაჟი მოუწყვეთ. დანამდვილებით იცოდით, რომ თქვენს შეცდომებზე პასუხისმგებლობა მე დამეკისრებოდა.

- არც არაფერი ვიცოდი და შეცდომებიც გაზრახ არ დამიშვია.

- გეყოფათ! კარგად ვიცი, რა ჭკუის პატრონიც ბრძანდებით. თუმცა, ქვეყანაზე ისეთი სულელიც არავინ მეგულება, ამგვარი შეცდომები უნებურად დაუშვას.

- როგორ არა, ასეთი მე ვარ.

- ხმას ნუღარ იღებთ, ვიცი, რომ აშკარად ცრუობთ.

- ფუბუკი, პატიოსნებას გეფიცებით, განზრახ არ მიქნია. ბოლოს და ბოლოს, მეცა მაქვს ჩემი ღირსება.

- ღირსება! ღირსებისა თქვენ რა გაგეგებათ?

ზიზღით გაიცინა.

- თქვენ წარმოიდგინეთ, ღირსება დასავლეთშიც არსებობს.

- ჰოდა, თქვენც ღირსების საქმედ მიგაჩნიათ, უსირცხვილოდ ამტკიცოთ, ყველაზე ბრიყვი და სულელი ვარო?

- არა მგონია, რომ ამქვეყნად ყველაზე სულელი მე ვიყო.

- ეს ჯერ კიდევ საკითხავია. თქვენ ან მოღალატე ხართ, ან ჭკუანაკლული. მესამე შესაძლებლობა არ არსებობს.

- როგორ არა, არსებობს: მესამე შესაძლებლობა მე ვარ. ხომ არიან ნორმალური ადამიანები, რომლებსაც არ შესწევთ იმის უნარი, ციფრების სვეტები გადაწერონ.

- იაპონიაში ამგვარი ადამიანები არ არსებობენ.

- ეჭვქვეშ ვინ დააყენებს იაპონელების გონებრივ უპირატესობას? - ვთქვი მონანიე ადამიანის იერით.

- თქვენ თუ გონებრივად ჩამორჩენილთა კატეგორიას ეკუთვნოდით, ეს ჩემთვის წინასწარ უნდა გეთქვათ, ამგვარ დავალებას აღარ მოგანდობდით.

- არ ვიცოდი, მაგ კატეგორიას თუ ვეკუთვნოდი.

ჩემს ცხოვრებაში ციფრების სვეტები არასოდეს გადამიწერია.

- ამგვარი გონებრივი ჩამორჩენილობა ყოვლად წარმოუდგენელია. არავითარი ჭკუა არ სჭირდება ციფრების გადაწერას.

- საქმეც ეგ არის. ჩემნაირი ხალხის პრობლემა, ეტყობა, ის გახლავთ, რომ თუ საქმეს თან აზრიც არ მივატანეთ, ჩვენი ტვინი იძინებს. ჩემი შეცდომებიც მაგის ბრალია.

ფუბუკის სახემ, როგორც იქნა, მებრძოლი იერი დაკარგა და გაკვირვებულ-გაღიმებული იერი შეიძინა.

- მაშ, აზრი უნდა მიატანოთ, არა? რა ორიგინალურია!

- პირიქით, ძალზე ჩვეულებრივია.

- კეთილი, ისეთ სამუშაოს შეგირჩევთ, აზრის მიტანება რომ დაგჭირდეთ, - გაიმეორა ჩემმა უფროსმა, რომელსაც ამგვარი ლაპარაკი, როგორც ჩანდა, ნეტარებას ჰგვრიდა.

- იქამდე კი, თუ შეიძლება, ბატონ უნაჯის ჩემი შეცდომების გასწორებაში დავეხმარები.

- ოღონდ ეგ არ გააკეთოთ, ისედაც დიდი ზიანი მოგვაყენეთ.

არ ვიცი, რამდენი ხანი დასჭირდა ჩემს საცოდავ კოლეგას ჩემგან გაოხრებული დავთრების წესრიგში მოსაყვანად. ქალბატონი მორი კი მთელი ორი დღე მოუნდა, რომ ჩემთვის ჩემი უნარის შესაფერისი სამუშაო გამოეძებნა.

მაგიდაზე უშველებელი საქაღალდე მელოდებოდა.

- მივლინებებში დახარჯული თანხები უნდა შეამოწმოთ.

- ისევ ბუღალტერია? აკი გაგაფრთხილეთ, მაგ საქმისა არაფერი გამეგება.

- იმ სამუშაოსთან საერთო არაფერი აქვს. ეს ისეთი საქმეა, აზრის მიტანება რომ სჭირდება, - დამიზუსტა დამცინავი ღიმილით.

მერე დავთარი გადაშალა.

- აი, მაგალითად, ეს ანგარიში, რომელიც ბატონმა შირანაიმ წარმოადგინა, დიუსელდორფში მისი მივლინების ხარჯებია. თქვენ უნდა შეამოწმოთ მისი ყოველი გამონათვალი და თუკი იმავე შედეგს არ მიიღებთ ერთი იენის სიზუსტით, შეგიძლიათ ახსნა-განმარტება მოსთხოვოთ. რაკი დანახარჯები მარკებით არის ნაანგარიშევი, თქვენც იმავე კურსით უნდა გამოთვალოთ, მარკას ბარათში აღნიშნულ დროს რომ ჰქონდა. არ დაგავიწყდეთ, კურსი ყოველდღიურად იცვლება.

მაშინ იყო, ჩემი ცხოვრების ყველაზე საზარელი კოშმარი რომ დაიწყო. იმ წამიდან, როგორც კი ეს ახალი მოვალეობა დამეკისრა, ჩემს არსებობაში დროის შეგრძნება გაქრა და დარჩა ტანჯვის მარადიულობა: ვერასოდეს, ერთხელაც ვერ მივაღწიე

შესამოწმებელი რიცხვის იდენტურს კი არა, თუნდაც ოდნავ მიახლოებულ შედეგს. თუკი, ვთქვათ, მივლინებიდან დაბრუნებულმა თანამშრომელმა წარმოადგინა ანგარიში, რომლის მიხედვითაც „იუმიმოტოს“ მისი 92237 იენი ემართა, მე ვღებულობდი 15211 ან 172045 იენს. მალე ნათელი გახდა, რომ შეცდომები მხოლოდ ჩემი ბრალი იყო. პირველი დღის ბოლოს ფუბუკის ვუთხარი:

- არა მგონია, ამ დავალებას თავი გავართვა.

- კი მაგრამ, ეგ ხომ სწორედ ისეთი სამუშაოა, აზრის მიტანება რომ სჭირდება, - დაუნდობლად მომახალა ფუბუკიმ.

- არაფერი გამომდის, - ვაღიარე საცოდავად.

- მიეჩვევით.

ვერ მივეჩვიე. ჩემი გააფთრებული მცდელობის მიუხედავად, აშკარა გახდა, რომ მაგ ოპერაციების ჩამტარებელი არ ვიყავი.

ჩემმა უფროსმა საქაღალდე გამომართვა, რომ დაემტკიცებინა, რა მარტივი იყო ამის გაკეთება. აიღო ერთერთი ანგარიში და ელვის სისწრაფით შეუდგა კალკულატორზე ციფრების აკრეფას, კლავიატურისათვის ერთხელაც არ დაუხედავს. ოთხი წუთიც არ იყო გასული, დასკვნა უკვე გამოტანილი ჰქონდა.

- ზუსტად იგივე თანხა მივიღე, რაც ბატონმა საიტამამ, იენი იენში ზის, - თქვა და მის მოხსენებით ბარათს ბეჭედი დაუსვა.

ბუნების ამ ახალ უსამართლობას შეგუებული, ისევ ჩემს სამუშაოს მივუბრუნდი, მაგრამ თორმეტი საათიც არ მეყო იმისათვის, რაც ფუბუკიმ სამ წუთსა და ორმოცდაათ წამში თამაშ-თამაშით გააკეთა.

არ ვიცი, რამდენი დღე იყო გასული, როცა შეამჩნია, რომ არც ერთი დოსიე მოწესრიგებული არ მქონდა.

- ერთიც არ გაგიმზადებიათ! - გაკვირვებულმა შეიცხადა.

- სრული სიმართლეა, - ვუპასუხე და სასჯელს დაველოდე.

საუბედუროდ, მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, კალენდარზე მიმითითა:

- ნუ დაგავიწყდებათ, რომ თვის ბოლოს მზად უნდა იყოს.

მერჩივნა ამყვირებოდა.

გადიოდა დღეები. თავი ჯოჯოხეთში მეგონა: ციფრების, მძიმეების, ათწილადების ქარბორბალები შიგ ცხვირ-პირში მცემდა, ჩემს ტვინში სახეს იცვლიდა, გაუმჭვირვალ

მაგმად ნივთდებოდა და ერთიმეორისაგან ვეღარაფერს ვარჩევდი. თვალის ექიმმა დამიდგინა, რომ მხედველობა არაფერ შუაში იყო.

ციფრები, რომელთა მშვიდი პითაგორული სილამაზე ყოველთვის აღტაცებას მგვრიდა, ახლა მტრად მომკიდებოდნენ. კალკულატორსაც კი ჩემთვის მხოლოდ ავი ეწადა. ჩემს უთვალავ ფსიქომოტორულ გასაჭირთა შორის ერთი ასეთიც იყო: თუ ციფრების აკრეფას ხუთ წუთს გაბმით გავაგრძელებდი, ხელი ისეთი წებოვანი მიხდებოდა, თითქოს კარტოფილის პიურე მეზილოს. ხუთიდან ოთხი თითი უიმედოდ მქონდა გაშეშებული, მხოლოდ საჩვენებელი ახერხებდა საჭირო ციფრების მიგნებას, ოღონდ ისე გვიან და მოუხერხებლად, კაცი გაოცებული დარჩებოდა, თუ ჩემი უჩინარი კარტოფილის პიურეს ამბავი არ იცოდა.

ამგვარმა დადამბლავებამ, შეწყვილებულმა რიცხვების მიმართ იშვიათ გონებადახშულობასთან, კალკულატორის წინ ჩემი ჯდომა აბსურდულ სანახაობად აქცია. ყოველ ახალ ციფრს უკვე ისეთივე გაოცებით შევცქეროდი, როგორც რობინზონი - უცნობ მიწაზე საიდანღაც გამოვარდნილ ველურს; ჩემი დაბუჟებული ხელი მათ აკრეფას ლამობდა; თავი ხან ფურცელს უახლოვდებოდა და ხან ეკრანს, განუწყვეტლივ ადი-ჩამოდიოდა, უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომელიმე ნული ან მძიმე გზაში ხომ არ გაებნა; მაგრამ ყველაზე უცნაური რაც იყო, ამ გულმოდგინე შემოწმების მიუხედავად, შეცდომები არა და არ კლებულობდა.

ერთ დღესაც, როცა კვლავ კალკულატორს ვაცოდვილებდი, თავი ავწიე და ჩემი უფროსის სახე დავინახე, გაკვირვებით შემომყურებდა.

- რა იყო, კიდევ რა გამოგეხირათ?

გულის მოსალბობად კარტოფილის პიურეს სინ დრომი გავანდე, ხელს რომ მიდამბლავებდა. მეგონა, კეთილად გავაღიმებდი.

ჩემი აღსარების ერთადერთი შედეგი ეს დასკვნა გახლდათ, ფუბუკის გოროზ გამოხედვაში რომ ამოვიკითხე: ახლა კი გასაგებია, გონებრივი ჩამორჩენილობის სინდრომთან გვქონია საქმე. ყველაფერი დალაგდა.

თვე იწურებოდა, საქაღალდე კი ისევ ისეთი სქელი იყო.

- დარწმუნებული ხართ, რომ ამას განზრახ არ აკეთებთ?

- სრულიად.

- თქვენნაირი ხალხი... ბევრია თქვენს ქვეყანაში?

ჩემამდე ბელგიელი არ ენახა, პირველი მე ვიყავი.

ეროვნული სიამაყის შემოტევამ სიმართლე მათქმევინა:

- არც ერთი ბელგიელი მე არა მგავს.

- ეს ამბავი მამშვიდებს.

გადავიხარხარე.

- გგონიათ, სასაცილოდ გაქვთ საქმე?

- ფუბუკი, თქვენთვის არასოდეს უთქვამთ, რომ გონებაჩლუნგის აბუჩად აგდება სირცხვილია?

- როგორ არა, მაგრამ ვინ მეტყოდა, რომ ერთი მათგანი ოდესმე ჩემი ხელქვეითი გახდებოდა.

ამან კდევ უფრო გამამხიარულა.

- არ მესმის, რა გაცინებთ.

- ესეც ხომ ჩემი ფსიქომოტორული გასაჭირის ნაწილია.

- მაგიტომაც უმჯობესია, სამუშაოს ჩაუღრმავდეთ.

28-ში ფუბუკის ჩემი გადაწყვეტილება გამოვუცხა დე, ის, რომ ამაღამ შინ დაბრუნებას არ ვაპირებდი.

- თქვენი ნებართვით, ღამეებს აქ, ჩემს პოსტზე, გავატარებ.

- რაო, თქვენი ტვინი სიბნელეში ვითომ უფრო ნაყოფიერად იმუშავებს?

- იმედი ვიქონიოთ. იქნებ ამგვარმა ძალდატანებამ ცოტა მეტი ოპერატიულობა შესძინოს.

ნებართვა ყოველგვარი გართულების გარეშე მივიღე. სხვა თანამშრომლებიც რჩებოდნენ ხოლმე ღამღამობით, როცა საქმე მოსასწრები ჰქონდათ.

- თქვენი ფიქრით, ერთი ღამე გეყოფათ?

- ცხადია, არ მეყოფა. 31-მდე აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

ზურგჩანთა ვაჩვენე.

- რაც დამჭირდება, ყველაფერი თანა მაქვს.

„იუმიმოტოს“ კომპანიაში მარტო დარჩენილი, თავიდან ცოტა ავფორიაქდი, მაგრამ მალევე გამიარა, დავრწმუნდი, რომ ჩემი ტვინი უკეთესად არც ღამით მუშაობდა. საქმეს ჩავუჯექი, ერთხელაც არ შემისვენია: ჩემმა თავგამოდებამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო.

დილის ოთხ საათზე ნიჟარასთან პირზე წყალი შევისხი, თავი მოვიწესრიგე და ტანისამოსი გამოვიცვალე. მერე მაგარი ჩაი დავლიე და ისევ სამუშაოს მივუბრუნდი.

პირველი თანამშრომლები შვიდ საათზე გამოჩნდნენ. ერთი საათის შემდეგ ფუბუკიც მოვიდა. სწრაფად შეავლო თვალი შემოწმებული ანგარიშების უჯრას, ნახა, რომ ცარიელი იყო და მხრები აიჩეჩა.

მეორე ღამეც ასევე თეთრად გავათენე. ვითარება არ იცვლებოდა. ჩემს თავში უწინდებურად გაურკვევ ლობა სუფევდა. მაგრამ იმედი მაინც არ გადამწურვია, პირიქით, გაუგებარ ოპტიმიზმს ვგრძნობდი და ამან, ცოტა არ იყოს, გამათამამა. ჩემს უფროსს სრულიად უადგილო საუბარი წამოვუწყე, თან გამოთვლა არ შემიწყვეტია:

- თქვენი სახელი თოვლის იდეოგრამით გამოიხატება, ჩემი სახელის იაპონური ვერსია - წვიმის იდეოგრამით, რაც მრავლისმეტყველია. თქვენ და ჩემ შორის ისეთივე განსხვავებაა, რაც თოვლსა და წვიმას შორის. გარეგნულად არ ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ არსით ერთნაირები არიან.

- ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ჩვენ შორის მცირეოდენი მსგავსება მაინც არსებობს?

მე ვიცინოდი. ნამდვილად უძილობის ბრალი იყო, ყველაფერზე მეცინებოდა. შიგადაშიგ დაღლილობა მომეძალებოდა და ყურებს ჩამოვყრიდი ხოლმე, მაგრამ მხიარული განწყობილება მალევე მიბრუნდებოდა.

ტვინი, დანაიდების ეს უძირო კასრი, ციფრებით განუწყვეტლივ ივსებოდა, მაგრამ მათი შეკავება ჩემს ძალას აღემატებოდა. მე ბუღალტერიის სიზიფე ვიყავი, მითოსური გმირივით იმედს არასოდეს ვკარგავდი და ნირშეუშლელ გამოთვლებს მეასედ, მეათასედ ვუბრუნდებოდი. აქ ერთ სასწაულსაც მინდა გაკვრით შევეხო: ათასობით შეცდომა მომდიოდა, რაც ისეთივე გამაბეზრებელი იქნებოდა, როგორიც ათასგზის გამეორებული მუსიკალური გამები, ჩემი ეს აურაცხელი შეცდომა ყოველ ჯერზე სხვადასხვა რომ არ ყოფილიყო. იმასაც კი მივაღწიე, რომ თავისუფლად ვახერხებდი ერთი ანგარიშიდან ათასობით სხვადასხვა ჯამი მიმეღო. ჩემი გენიალობა ეჭვს არ იწვევდა.

გამოთვლებს შორის დროდადრო თავს ავწევდი და აღტაცებული ვუჭვრეტდი იმის სახეს, ვინც ეს კატორღა მომისაჯა. მისი სილამაზე მაოგნებდა. ერთადერთი, რაზეც გული მწყდებოდა, საშუალოზე დაყენებული თმის მკაცრად შემოწერილი მრუდი იყო, რომლის შეურხევლობაც ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა: „მე საქმის ქალი ვარ“. ახალი წარმტაცი თამაში წამოვიწყე: ჩემს წარმოსახვაში თმას ვუწეწავდი, რომ მისი მბზინავი სიშავისათვის თავისუფლება დამებრუნებინა. წარმოსახვითი თითები მკაცრი ერთფეროვნებისაგან მომხიბლავ დაუდევრობას ქმნიდნენ. ხანდახან ყველა ზღვარს გადავდიოდი, ისე გავწეწავდი ხოლმე, თითქოს შმაგი სასიყვარულო ღამე გაეტარებინოს. ეს ველური სიშმაგე მას კიდევ უფრო ამაღლებულს ხდიდა.

ერთხელაც ფუბუკიმ მოულოდნელად სწორედ იმ დროს წამასწრო, მისი თმის დაწყობა-გადაწყობით რომ ვიყავი გართული:

- ასე რატომ მიყურებთ?

- იმაზე ვფიქრობდი, იაპონურად „თმა“ და „ღმერთი“ ერთნაირად რომ გამოითქმის.

- ასევე „ქაღალდი“, ნურც ეს დაგავიწყდებათ. ქაღალდებს მიხედეთ.

ჩემს გონებაში ჩამომდგარი ბურუსი ყოველ საათში მატულობდა. სულ უფრო და უფრო მიჭირდა იმის გარკვევა, რა უნდა მეთქვა და რა არა. 1990 წლის 20 თებერვლისათვის შვედური კრონის კურსს რომ ვანგარიშობდი, ისევ ენამ წამისწრო:

- ბავშვობაში რა გინდოდათ გამოსულიყავით?

- მშვილდოსანი.

- როგორ მოგიხდებოდათ!

კითხვა თუმცა არ შემოუბრუნებია, ჩემიც ვუთხარი:

- მე კი პატარაობისას ღმერთი მინდოდა ვყოფილი ყავი, მამა-ღმერთი. ხუთი წლისა უკვე მივხვდი, რომ ჩემს ზვიად ოცნებას ასრულება არ ეწერა. მაშინ პატრუქს ცოტა დავუწიე და გადავწყვიტე, ქრისტე გავმხდარიყავი. წარმოვიდგენდი ხოლმე, ჯვარს როგორ მაცვამდნენ მთელი კაცობრიობის თვალწინ. შვიდი წლისამ გავაცნობიერე, რომ ასეთი რამ ნამდვილად არ მემუქრებოდა. მაშინ უფრო მოკრძალებული შევიქენი და მიზნად მოწამეობა დავისახე. წლების განმავლობაში ამ არჩევანს ვადექი. არც ეს გამომივიდა.

- მერე რა მოხდა?

- დანარჩენი თქვენც კარგად მოგეხსენებათ: „იუმიმოტოში“ მოანგარიშე გავხდი. მე მგონი, ამაზე დაბლა ვეღარ დავეცემი.

- ასე გგონიათ? - მკითხა მან და რატომღაც ჩაეღიმა.

31-ის წინაღამეც დადგა. სამსახურიდან სულ ბოლოს ფუბუკი წავიდა. მიკვირდა, რატომ არ დამითხოვს-მეთქი. განა ცხადი არ იყო, რომ მეასედსაც ვეღარ მოვასწრებდი?

მესამე ღამესაც მარტო ვათევდი ამ უშველებელ დარბაზში. ისევ და ისევ ვაცოდვილებდი კალკულატორს, მაგრამ სულ უფრო და უფრო შეუსაბამო შედეგებს ვიღებდი.

ამ დროს მოულოდნელად რაღაც სასწაულის მსგავსი დამემართა: ჩემი სული სადღაც სხვაგან გადასახლდა.

უეცრად ხელ-ფეხი გამეხსნა. ზეზე წამოვდექი. თავისუფლება ვიგრძენი. ასეთი თავისუფალი ჯერ არასოდეს ვყოფილვარ. შემინული ღიობისაკენ გავემართე. ძალიან

შორს, ქვემოთ, გაჩირაღდნებული ქალაქი მოჩან და. სამყარო ჩემ ფერხთით იყო გართხმული. მე ღმერთი ვიყავი. შემეძლო, ჩემი სხეული ღიობიდან გადამესროლა და მისგან სავსებით გავთავისუფლებულიყავი.

ნათურები ჩავაქრე. გარედან შემოსული სინათლეც მყოფნიდა, რომ ყველაფერი გამერჩია. სამზარეულოში გავედი, კოკა-კოლას ბოთლი მოვნახე და სულმოუთქმელად დავცალე. მერე ისევ ჩემს განყოფილებაში შემოვბრუნდი; შემოსვლისთანავე ფეხსაცმელები გავიხადე, აქეთ-იქით მივყარე და მაგიდაზე შევხტი. კარგა ხანს დავხტოდი მაგიდიდან მაგიდაზე და სიხარულისაგან ვწიოდი.

ისეთი მსუბუქი ვიყავი, ტანსაცმელიც ვეღარ ვიგუე. ყველაფერი თითო-თითოდ შემოვიძარცვე და ირგვლივ მიმოვფანტე. როცა სულ გავშიშვლდი, ყირაზე დავდექი, ცხოვრებაში რომ არასოდეს გამომსვლია. ასე ყირაზე დამდგარმა, შემოვიარე მთელი ოთახები. ბოლოს უზადო მალაყსაც გადავედი და ჩემი უფროსის სკამზე აღმოვჩნდი.

ფუბუკი, მე ღმერთი ვარ. გინდაც არ მიწამო, მე მაინც ღმერთი ვარ. შენ მბრძანებლობა გწადია, დიდი არაფერი, მე კი, მე ვსუფევ. ეგ თქვენი ძალაუფლება სრულებითაც არ მიზიდავს. სუფევა ბევრად მშვენიერია.

შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა დიდებითა ვარ მოსილი. დიდებას არაფერი სჯობნებია. ანგელოზთა საყვირების ცემა და საგალობლები, აი, რა არის დიდება. ამაღამდელივით დიადი ჯერ არასოდეს ვყოფილვარ და ყოველივე ამას შენი წყალობით ვეწიე. თავადაც არ იცი, ჩემს განსადიდებლად რომ ირჯები.

პილატემაც არ იცოდა, რომ ქრისტეს დიდებისათვის იღვწოდა. ქრისტე გეთსემანის ბაღში, ზეთისხილის ხეებს შორის იყო მესია, მე კი კომპიუტერების ქრისტე ვარ. ჩემ ირგვლივ შემომდგარ სიბნელეში კომპიუტერების ტყე აჯაგრულა.

შენს კომპიუტერს ვუყურებ, ფუბუკი. დიდია იგი და მშვენიერი. წყვდიადი მას აღდგომის კუნძულზე აღმართული ქანდაკებების იერს ანიჭებს. შუაღამე უკვე გადასულია. დღეს პარასკევია, ჩემი წმინდა პარასკევი, ფრანგულად - ვენერას დღე, იაპონურად - ოქროს დღე, და კარგად ვერ მივმხვდარვარ, როგორ უნდა დავუკავშირო ერთმანეთს ეს იუდეურ-ქრისტიანული ვნებანი, ეს ლათინური ხორციელება და უჟანგავი ლითონის იაპონური კულტი.

რაჟამს დავუტევე ამსოფლიური და ღვაწლსა შინა შევედი, დრომ თავისი რაობა დაკარგა, იგი გარდაიქმნა კალკულატორად, რომელზეც თითებით რიცხვებს ვაჟღერებ და შეცდომებით გადატენილი ჯამი გამომყავს. მჯერა, ეს აღდგომაა. ჩემი ბაბილონის გოდოლიდან გადავცქერი უენოს პარკს და ვხედავ ოდნავ დათოვლილ, აყვავებულ ალუბლის ხეებს - არა, ეს ნამდვილად აღდგომაა, შეუძლებელია, აღდგომა არ იყოს.

რამდენადაც შობა მთრგუნავს ხოლმე, იმდენად აღდგომა მიხარია. ყრმად ქცეული ღმერთი თავზარდამცემია, ხოლო საბრალო კაცის ღმერთად ქცევა, ეს უკვე სულ სხვა რამ არის. ფუბუკის კომპიუტერს გულში ვიხუტებ და ვკოცნი. მეც, მე თვითონაც, საბრალო ჯვარცმული ვარ. ჯვარცმა იმის გამო მიყვარს, რომ იგი დასასრულია. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ტანჯვა-წამებაც დასრულდება. სხეულში იმდენი რიცხვი ჩამალურსმეს, რომ ერთი ათწილადისათვისაც კი ადგილი აღარ დარჩა. მახვილით თავსაც მომკვეთენ და ვეღარაფერს ვიგრძნობ.

პატარა ამბავი ხომ არ არის, იცოდე, როდის მოკვდე ბი. შეგიძლია, ისე მომზადებული შეხვდე, რომ შენი უკანასკნელი დღე ხელოვნების ქმნილებად აქციო. დილით, როცა ჩემი ჯალათები გამოცხადდებიან, მე მათ ვეტყვი: „თავი ვერ გავართვი! ადექით და მომკალით. ოღონდ უკანასკნელი სურვილი შემისრულეთ: დაე, ფუბუკიმ გამომასალმოს სიცოცხლეს. გახსნას თავის ქალა ჩემი, ვითარცა საპილპილე და შავ პილპილად განიღვაროს სისხლი ჩემი. მოდით და იგემეთ იგი, პილპილი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული, პილპილი ახალი და საუკუნო აღთქმისა, და იყოს ცხვირის ცემინება მოსაგონარი ჩემი“.

უცებ სიცივემ ძვალ-რბილში დამიარა. კომპიუტერს ამაოდ ვეხუტები, არ მათბობს, ტანსაცმელს ვიცვამ, მაგრამ კბილებს ისევ ისე ვაკაწკაწებ. ძირს ვწვები და თავზე სანაგვე ყუთს ვიპირქვავებ. შიგ რაც კი რამ არის, ზედ ვიყრი. გონებას ვკარგავ.

თავზე დამყვირიან. თვალებს ვახელ, ვხედავ, ნაგავი მაყრია, და ისევ ვხუჭავ. უფსკრულში მივექანები.

ფუბუკის ნაზი ხმა ჩამესმის:

- ეგ უნდა ექნა, ზედვე ეტყობოდა. ნაგავი წაიყარა, რომ შენჯღრევაც ვერ გაუბედონ. თავი უკარებად იქცია. ვიცი მაგის ოინები, ღირსების ნატამალი არ გააჩნია. ვეუბნები, სულელი ხარ-მეთქი, და, არაო, მეუბნება, გაცილებით მძიმე ამბავია, ჭკუანაკლული ვარო. ყოველ წამს თავი უნდა დაიმციროს, ჰგონია, ეგ არის, ხელმიუწვდომელი გახდება. ვერ მივართვით.

მინდა ავუხსნა, რომ ეს სიცივემ ჩამადენინა. მაგრამ ლაპარაკის თავი არა მაქვს. „იუმიმოტოს“ სიბინძურეში ჩავთბი. ისევ სადღაც ვიძირები.

ამოვტივტივდი. ზედ მეყარა დაჭმუჭნული ქაღალდების სქელი ფენა, ლუდის ბოთლები, კოკა-კოლათი დასველებული ნამწვები. მათ მიღმა კედლის საათი გავარჩიე. ათი გამხდარიყო.

ავდექი. ვერავინ გაბედა, ჩემკენ თვალი გამოეპარებინა, ფუბუკის გარდა, რომელმაც ცივად მითხრა:

- თუ ოდესმე კიდევ გადაწყვეტთ, მაწანწალად იქცეთ, მაგ საქმეს ჩვენს დაწესებულებაში ნუღარ ჩაიდენთ. სამაგისოდ მეტროს სადგურები არსებობს.

სირცხვილით ვიწვოდი. სასწრაფოდ ავიღე ჩემი ზურგჩანთა და საპირფარეშოში გავვარდი, ტანისამოსი გამოვიცვალე, ონკანქვეშ თავი დავიბანე. როცა დავბრუნდი, დამლაგებელ ქალს უკვე მოესუფთავებინა იქაურობა და ჩემი სიგიჟის კვალი წაეშალა.

- მინდოდა, მე თვითონ გამომეგავა, - ვთქვი ნირწამხდარმა.

- გენდომებოდათ, - აიტაცა ფუბუკიმ, - იქნებ ეგ მაინც გამოგსვლოდათ.

- გასაგებია, თანხები ვერ შევამოწმე. მართალი ბრძანდებით: ანგარიში ნამდვილად არ მეხერხება. ყველას წინაშე ვაცხადებ: მაგ დავალების შესრულება მე არ შემიძლია.

- დიდი დრო დაგჭირდათ, მაგას მიმხვდარიყავით, - ჩაიცინა ფუბუკიმ.

„ეგ იყო და სხვა არაფერი, - გავიფიქრე, - უნდოდა, ჩემი პირით მეთქვა. ცხადია: ეს ბევრად უფრო დამამცირებელია“.

- სამუშაო ვადა ამ საღამოს იწურება, - ისევ წამოვიწყე.

- მომეცით საქაღალდე.

ოც წუთში საქმე მოთავებული ჰქონდა.

მთელი მეორე დღე ზომბივით გავატარე. თითქოს ნამთვრალევი ვყოფილიყავი. ჩემს მაგიდაზე შეცდომებით გადაჭედილი ანგარიშები გროვად იდგა. თითო-თითოდ ვიღებდი და სანაგვეში ვყრიდი.

ვუყურებდი კომპიუტერთან მიმჯდარ ფუბუკის და სიცილს ძლივს ვიკავებდი. წუხანდელი ჩემი თავი წარმოვიდგინე, კლავიატურაზე რომ ვიჯექი, მანქანასთან ხელფეხგადაჭდობილი. ახლა კი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი იმავე კლავიშებზე თითებს დაათამაშებდა. პირველად დავინტერესდი ინფორმატიკით.

ნაგვისა და ნარჩენების ქვეშ რამდენიმე საათის ძილი არ მეყო, თავში ისევ ციფრები მიფუთფუთებდნენ, ვერა და ვერ გავთავისუფლდი. თავგზა მერეოდა; ნაგავქვეშ მოყოლილი ჩემი გონებრივი ორიენტირების ნამუსრევს დავეძებდი, თან განუზომელ შვებასაც ვგრძნობდი: უსასრულო კვირების შემდეგ პირველად ხდებოდა, რომ კალკულატორს აღარ ვაცოდვილებდი.

ნელ-ნელა კვლავ აღმოვაჩინე უციფრებო სამყარო. როგორც ანალფაბეტიზმის არსებობაა დადგენილი, კაცი რომ ასოებს თავს ვერ უყრის, ასევე უნდა დადგინდეს ანარითმეტიზმიც - რიცხვების მიმართ უმწეობა, რათა ჩემნაირთა სპეციფიკურ დრამაზეც შეიძლებოდეს ლაპარაკი.

კვლავ დროის მდინარებაში ჩავერთე. ჩემი გიჟური ღამის შემდეგ, თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს. ცხადია, არავის დავუნახივარ, დედიშობილამ დარბაზ-დარბაზ თავდაყირა რომ ვიარე და ამ კდემამოსილ

კომპიუტერთან შმაგი ხვევნა-კოცნა გავაჩაღე. სამაგიეროდ, ყველამ ნახა, ნაგავქვეშ როგორ მეძინა. სხვა ქვეყანაში ამგვარი საქციელისათვის, ალბათ, სამსახურიდან გარეთ გამისროდნენ.

უცნაური კია, მაგრამ ამას თავისი ლოგიკა აქვს: ყველაზე ავტორიტარული სისტემები როცა რომელიმე ერში თავს დაიმკვიდრებენ, ნორმიდან გადახრილობის ყოვლად ფანტასტიკურ პრეცედენტებს ქმნიან ხოლმე, - და, ამ მიზეზით, კერძო პირთა უცნაურობებსაც, ზოგჯერ სრულიად გამაოგნებელს, შედარებით შემწყნარებლურად ეკიდებიან. ვინც ექსცენტრულ ნიპონს არასოდეს გადაჰყრია, არ იცის, რა არის ნამდვილი ექსცენტრულობა. ნაგავში მეძინა? მაგისთანებიც უნახავთ. იაპონია ის ქვეყანაა, სადაც იციან, რას ნიშნავს „მოტყდა“.

კვლავ ჩემს საქმობანას დავუბრუნდი. გამიჭირდება, სიტყვით გამოვხატო ის მოწადინება, რომლითაც ჩაისა და ყავას ვამზადებდი: ეს უმარტივესი მოძრაობები, რომლებიც ჩემს ტვინს არავითარ დაბრკოლებას არ უქმნიდნენ, სულიერად მამთლიანებდნენ. უაღრესად დიდი თავდაჭერილობით შევუდექი კალენდრების გადაწევას. გამუდმებით ვცდილობდი, საქმიანი სახე მიმეღო. მეშინოდა, ისევ ციფრები არ ამკიდონ-მეთქი.

თითქოს არაფერი, მაგრამ ერთი უჩვეულო რამეც შემემთხვა: ღმერთს პირისპირ შევხვდი. ვიცე-პრეზიდენტმა ლუდი შემიკვეთა. ეტყობა, ჩათვალა, რომ საკმარისად ჩასქელებული არ იყო. კუშტი თავაზიანობით შევუტანე. როცა ზონზრობას ბუნაგიდან გარეთ გამოვდიოდი, უეცრად მომიჯნავე კაბინეტის კარი გაიღო და პირდაპირ პრეზიდენტს შევეჩეხე.

გაოცებულებმა შევხედეთ ერთმანეთს. ჩემგან ეს გა საგები იყო. როგორც იქნა, „იუმიმოტოს“ ღმერთი ჩემი თვალით ვიხილე. მისი გაოცება კი ასევე იოლად ვერ აიხსნებოდა: ნუთუ ჩემი არსებობა იცოდა? ეტყობა, იცოდა, რაკიღა მისმა მშვენიერმა და თავაზიანობით აღსავსე ხმამ ასეთი რამ წამოიძახა:

- თქვენ ამელი-სანი ბრძანდებით?

გამიღიმა და ხელი გამომიწოდა. გაოგნებისაგან სიტყვა ვერ დავძარი. ბატონი ჰანედა ორმოცდაათს მიღწეული მამაკაცი იყო, თხელი ტანისა და რაღაც განსაკუთრებულად დახვეწილი სახის პატრონი. გარშემო სიკეთესა და ჰარმონიას ასხივებდა. ისეთი წრფელი, ალერსიანი თვალებით შემომხედა, რომ ის მცირეოდენი თავდაჯერებულობაც კი დავკარგე, რომელიც ჯერ კიდევ შემომრჩენოდა.

იგი წავიდა. დერეფანში მარტო დავრჩი, საძრაობადაკარგული. ნუთუ ამ ტანჯვათა ალაგის პრეზიდენტი, სადაც ყოველდღე ამდენ დამცირებას ვითმენდი, სადაც დაუსრულებელი ზიზღის საგნად ვიყავი ქცეული, ამ ჯოჯოხეთის უფალი და მბრძანებელი ეს უზენაესი არსება, ეს ამაღლებული სული იყო?

მართლა აღარაფერი გამეგებოდა. კომპანია, რომელსაც ასეთი კეთილშობილი ადამიანი ხელმძღვანელობდა, დახვეწილი სამოთხე, სიამტკბილობისა და აყვავების ადგილი უნდა ყოფილიყო. რას ნიშნავდა ეს შეუსაბამობა? განა შესაძლებელია, ჯოჯოხეთს ღმერთი განაგებდეს?

გაოცებისაგან ისევ გაშეშებული ვიდექი, როცა ამ კითხვაზე პასუხი მივიღე. ვეება ომოჩის კაბინეტი გაიღო და არაკაცის ღრიალი გავიგონე, მე მიყვიროდა:

- აქ რას დარჭობილხართ? ფულს დერეფნებში წანწალისათვის კი არ გიხდიან!

ყველაფერი ნათელი გახდა: „იუმიმოტოს“ კომპანიაში პრეზიდენტი ღმერთი იყო, ვიცე-პრეზიდენტი კი - ეშმაკი.

ფუბუკი კი არც ღმერთი იყო და არც ეშმაკი, ერთი იაპონელი ქალი იყო.

ყველა იაპონელი ქალი ლამაზი არ არის, მაგრამ თუ ლამაზია, ყველა სხვა განზე უნდა გადგეს.

ყოველი სილამაზე სულისშემძვრელია, მაგრამ იაპონური სულიან-ხორციანად შეგძრავს: უპირველესად, იმის გამო, რომ ეს შროშანას კანი, ეს საამოდ მიმზიდველი თვალები, ეს შეუდარებელნესტოებიანი ცხვირი, ეს მკაფიოდ შემოხაზული ტუჩები, ნაკვთების ეს ურთიერთშეწონილი სინაზე უკვე რაღაც ისეთის შემცველია, ყველა სხვა სახეს რომ ახუნებს, თუნდაც - ყველაზე ლამაზს.

მერე კიდევ იმის გამო, რომ ქცევისა და მიმოხვრის თავისებური მანერა მის სტილიზებას ახდენს, მას ხელოვნების ისეთ ქმნილებად აქცევს, ბოლომდე რომ ვერ ჩასწვდები.

სულ ბოლოს და, რაც მთავარია, იმის გამო, რომ სილამაზე, რომელმაც ამდენ კორსეტს გაუძლო, ფიზიკურსა თუ სულიერს, ამდენ შეზღუდვას, წნეხს, უაზრო აკრძალვებს, დოგმას, სულისხუთვას, სასოწარკვეთას, სადიზმს, დამცრობისა და მიჩუმათების შეთქმულებას. ასეთი სილამაზე გმირობის არნახული სასწაულია.

იმიტომ კი არა, თითქოს იაპონელი ქალი მსხვერპლი იყოს, სრულებითაც არა. პლანეტის ქალთა შორის იგი ყველაზე უფლებააყრილი ნამდვილად არ არის, პირიქით, მისი უფლებები დიდია: მე ეგ არავისგან მესწავლება.

არა: თუ იაპონელი ქალი აღტაცების ღირსია - და იგი უეჭველად ღირსია, - ეს იმიტომ, რომ თავს არ იკლავს. იმ ასაკიდანვე, როცა იგი ჯერ კიდევ ერთი ციცქნა ბავშვია, ყველანი მისი იდეალების წინააღმდეგ არიან შეთქმულნი და თავში უჭედავენ, რომ შიგ მაგრად ჩაეკიროს: „თუ ოცდახუთისა გათხოვილი არ იქნები, სამარცხვინოა“; „თუ იცინი, გაუზრდელი იქნები“; „თუ სახეზე განცდა გახატია, ხეპრე იქნები“; „თუ შენი სხეულის ბალანს ახსენებ, ბილწი იქნები“; „თუ ვაჟმა ხალხის თვალწინ ლოყაზე

გაკოცა, კახპა იქნები“; „თუ ჭამა გიყვარს, ღორი ხარ“; „თუ ძილი გიყვარს, ძროხა ხარ,“ და ა. შ. ეს შეგონებები სასაცილო იქნებოდა, გონებაში რომ არ იბეჭდებოდეს.

რადგან დოგმათა ეს დომხალი, საბოლოო ჯამში, ერთ სულისკვეთებად მთლიანდება, იაპონელ ქალს წინ სასიხარულო არაფერი უნდა ეიმედებოდეს: არ აღგეძრას სიამეთა იმედი, რადგან შენი სიამე არარად გაქცევს. არ აღგეძრას სიყვარულის იმედი, რადგან ამად არ ღირხარ; თუ ვინმეს შეუყვარდი, მხოლოდ იმისათვის შეუყვარდები, ზმანებით რაცა ხარ, არასოდეს იმისათვის, რაც მართლა ხარ. ნუ აღიძრავ იმედს, რომ ცხოვრება რამეს მოგიტანს, რადგან ყოველი ჩავლილი წელი რაღაცას წაგართმევს. ისეთი მცირედის იმედსაც ნუ აღიძრავ, როგორიცაა სიმშვიდე, რადგან არავითარი საბაბი არა გაქვს, თავი დაიწყნარო.

აღიძარ შრომის იმედი. მართალია, შენი ქალობის გამო ძალიან მაღლაც ვერ ახვალ, მაგრამ აღიძარ იმედი, საქმეს ემსახურო. შრომით ფულს მოიხვეჭ, რომელიც, მართალია, ვერანაირ სიხარულს ვერ მოგიტანს, მაგრამ ზოგ რამეს გაგიადვილებს, მაგალითად, გათხოვებას - რადგან ისეთი სულელიც არ იქნები, დაიჯერო, რომ ვინმეს მართლა შენი ღირსებისათვის უნდიხარ.

გარდა ამისა, ნება გაქვს, იქონიო იმის იმედი, რომ სიბერეს მიატან, რაც თავისთავად დიდად საშურიც არ არის, და კიდევ იმის იმედი, რომ პატივაყრილი არასოდეს შეიქნები, რაც, ასე თუ ისე, მიზანია. აქ წყდება ნებადართული იმედების ნუსხა.

აქვე იწყება შენი უღიმღამო მოვალეობების უსასრულო რიგი. შენი სახელი უმწიკვლო უნდა იყოს იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ეს მცირე რამ არ არის. შენი შეუბღალავი სახელი არაფერს მოგიტანს იმის გარდა, რომ შეუბღალავი სახელი გექნება, რაც სიამაყით ვერ აგავსებს, მით უმეტეს - სიამით.

მე ვერასოდეს შევძლებ, ჩამოვთვალო ყველა შენი მოვალეობა, რადგან არ არსებობს შენს ცხოვრებაში ისეთი წუთი, რომელიც ერთ-ერთი ამ მოვალეობით არ იქნება ზღვარდადებული. მაშინაც კი, როცა საპირფარეშოში ხარ განმარტოებული, რომ შარდის ბუშტს შვება მისცე, ვალდებული ხარ, ფხიზლად ადევნო თვალყური, ვერავინ გაიგონოს შენი რუს რაკრაკი: ამისათვის ვალდებული ხარ, წყალი მალ-მალე ჩამოუშვა.

ეს შემთხვევა მხოლოდ იმისთვის გავიხსენე, მინდა შეგაგნებინო: თუ შენი არსებობის ასეთი ინტიმური და უმნიშვნელო მხარეც კი აკრძალვებს ექვემდებარება, დროა, დაფიქრდე იმ აკრძალვათა ყოვლისმომცველობაზე, მთელ ცხოვრებას რომ ასე მკაცრად გისაზღვრავს.

გშია? - მხოლოდ ცოტა წაციცქნე, რადგან ტანთხელი უნდა იყო. იმ სიამოვნების გამო კი არა, ქუჩაში შენს სილუეტს თვალი გამოაყოლონ - ამას არავინ გააკეთებს, - არამედ იმის გამო, რომ სირცხვილია, დუნდულები გითანთალებდეს.

შენ ლამაზი უნდა იყო. თუ ამას მიაღწევ, სილამაზე არავითარ შვებას არ მოგიტანს. ქათინაურით მხოლოდ დასავლელები შეგამკობენ. არადა, ჩვენ ხომ ვიცით, როგორ აკლია მათ გემოვნებას დახვეწილობა. თუკი სარკეში საკუთარი სილამაზით მოიხიბლები, დაე, ამან უფრო შიში აღგიძრას, ვიდრე სიამოვნება: რადგან სილამაზემ სხვა რა შეიძლება მოგიტანოს, თუ არა მისი დაკარგვით გამოწვეული შეძრწუნება? თუ ყმაწვილი და ლამაზი ქალი ხარ, არ იქნები არაფერი; თუ ულამაზო ხარ, არაფერზე უფრო არაფერი იქნები.

შენი ვალია, გათხოვდე; გიჯობს, თუ ოცდახუთამდე მოასწრებ, რადგან ეს შენი ჩამოწერის ასაკია. შენი ქმარი სიყვარულს არ მოგანიჭებს, მართლა რეგვენი თუ არ არის, ხოლო რეგვენისაგან მონიჭებული სიყვარული დიდი ვერაფერი ბედნიერებაა. ასე იქნება თუ ისე იქნება, ეყვარები თუ არ ეყვარები, შენ ვერ დაინახავ. ქანცგამოლეული, ხშირად, სულაც ნასვამი, შინ ღამის ორ საათზე დაბრუნდება და ცოლქმრულ საწოლში ჩაეგდება, რომელსაც დილის ექვსზე სიტყვის უთქმელად დატოვებს.

შენი ვალია, შვილები იყოლიო, რომელთაც სამ წლამდე ისე მოეპყრობი, როგორც ცით მოვლენილ ღვთაებებს, მერე შენივე ხელით ცივად მოისვრი სამოთხიდან და სამხედრო მწყობრში ჩააყენებ, სადაც ჯერ სამიდან თვრამეტ წლამდე იმსახურებენ, მერე - ოცდახუთი წლიდან სიკვდილამდე. შენ ვალდებული ხარ, სიცოცხლე აჩუქო არსებებს, რომლებიც მით უფრო უბედურნი იქნებიან, რაც უფრო მაგრად ჩაუჭედავენ თავში სიცოცხლის პირველ წლებში, რომ ბედნიერება შესაძლებელია.

შენ ეს შემზარავი გგონია? პირველი არა ხარ, ვინც ამ აზრამდე მივიდა. შენი მსგავსნი ასე ფიქრობენ 1960 წლიდან. მაგრამ ხომ ნახე, აქედან არაფერი გამოდის. ბევრი იმათგანი აჯანყდა და, ვინ იცის, იქნებ შენც აჯანყდე, როცა ცხოვრებაში ერთადერთხელ, თვრამეტ და ოცდახუთ წლებს შორის, თავისუფალი დრო შენც გექნება. ოცდახუთისა უეცრად აღმოაჩენ, რომ გათხოვილი არა ხარ და შეგრცხვება. შეეშვები ექსცენტრულ ჩაცმულობას და სადად გამოეწყობი, დაივიწყებ შენს თეთრ, მოტმასნილ წინდებსა და გროტესკულ მაშიებს, შენი სწორი და მშვენიერი თმა რომელიმე უღიმღამო „ბრაშინგს“ დაემორჩილება და იმითაც კმაყოფილი დარჩები, თუკი ვინმეს - ქმარი იქნება თუ თანამშრომელი - შენი სურვილი აღეძვრება.

თუ სიყვარულით გათხოვდები, რაც ნაკლებ მოსალოდნელია, კიდევ უფრო უბედური იქნები, რადგან ქმრის ტანჯვას დაინახავ. შენთვისვე ჯობია, თუ ქმარი არ გეყვარება: ეს საშუალებას მოგცემს, გულგრილად უყურო მისი იდეალების მსხვრევას, თუ კიდევ შემორჩენია. ვთქვათ, იმედი ჰქონდა, რომ ქალს ეყვარებოდა, არადა, სულ მალე დარწმუნდება, რომ შენ ის არ გიყვარს. როგორ შეგეძლება, შეგიყვარდეს ვინმე, როცა შენი გული გაქვავებულია, შიგ იმდენი რამე ჩაგიკირეს?

მეტისმეტად ანგარიშიანი ბრძანდები საიმისოდ, რომ ვინმეს შეყვარება შეძლო. თუ მაინც შეგიყვარდა, ეს იმას ნიშნავს, აღზრდა დაუკლიათ. გათხოვების პირველ

დღეებში ქმართან სიყვარულობანას გაითამაშებ. ჭეშმარიტად, ქალი ვერ შეგედრება თავის მოჩვენების ხელოვნებაში.

შენი ვალია, სხვას შეეწირო. ოღონდ, ნუ წარმოიდგენ, რომ თავის შეწირვით ვინმეს ბედნიერებას მოუტან. ეს მხოლოდ იმის ნებას მისცემს, შენ გამო არ გაწითლდეს; არ არსებობს არავითარი შესაძლებლობა, ბედნიერი გახდე ან ვინმე გააბედნიერო.

მაგრამ თუ მოხდება სასწაული და ბედი რომელიმე მაგ აკრძალვას გაგარიდებს, არამც და არამც არ დაასკვნა, ვითომ გაიმარჯვე: დაასკვენი, რომ ცდები. თუმცა თვითონაც სულ მალე მიხვდები ამას, რადგან შენი გამარჯვების ილუზია მხოლოდ დროებითი იქნება. სიხარულის წამი ნუ შეგაცდენს, არ აჰყვე დასავლელებს, ისინი ანგარიშში ტყუვდებიან. წამი არაფერია. შენი სიცოცხლე არაფერია. ათი ათას წელზე ნაკლები დრო სათვალავში ჩასაგდები არ არის. თუ იმის ცოდნა, რომ ჭკუა-გონებით მამაკაცზე ნაკლებად არ ითვლები, რაიმე ნუგეშს მოგიტანს, დაე, ეს იცოდე. შენ ბრწყინვალე ხარ, რაც ყველასათვის ნათელია, მათი ჩათვლით, ვინც ასე მდაბლად გეპყრობა. მაგრამ ამაზე დაფიქრებამ, განა შეიძლება, ნუგეში მოგიტანოს? მართლა უფრო უღირს არსებად რომ ითვლებოდე, შენი ჯოჯოხეთი გასაგები იქნებოდა; შეგეძლებოდა, ლოგიკის ყველა წესის დაცვით დაგემტკიცებინა შენი გონებრივი სრულყოფილება და შენს დღევანდელ ადგილს არ დასჯერებოდი. არადა, მათ იციან, რომ მათი სწორი ხარ, თუ კიდევ უკეთესი არა. შენი ჯოჯოხეთი ყოველგვარ აზრს არის მოკლებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იქიდან გამოსასვლელი ყველა გზა მოჭრილია.

არა, ერთი გზა მაინც არსებობს. იგი ერთადერთია, მაგრამ შენ ნება გაქვს, მაგ გზაზე შედგომისა, თუ არ გაბრიყვდები და ქრისტიანობას არ ეზიარები: ნება გაქვს, თავი მოიკლა. ჩვენ აკი ვიცით, რომ იაპონიაში ეს აქტი ყოვლად ღირსეული ქმედებაა. ოღონდ, არ ირწმუნო, რომ იქ, იმქვეყნად, სიმპათიური დასავლელებისაგან აღწერილი მხიარული სამოთხეები გელოდება. არაფერი განსაკუთრებული იქ, იმქვეყნად, არ დაგხვდება. სამაგიეროდ, იმაზე შეგიძლია იფიქრო, ამ ნაბიჯის გა დადგმა რისთვისაც გიღირს: სახელზე იფიქრო, შენი სიკვდილით რომ დატოვებ. თუ თავს მოიკლავ, შენი სახელი გაბრწყინდება და შენი ახლობლები იამაყებენ შენით. გამორჩეულ ადგილს დაიკავებ საოჯახო აკლდამაში: აი, აქ არის ის უზენაესი იმედი, რაზედაც ცოცხალმა არსებამ შეიძლება, იოცნებოს.

ცხადია, შეგიძლია ცხოვრება თავის მოკვლით არ დაასრულო, მაგრამ მაგ შემთხვევაში, ადრე იქნება თუ გვიან, საცდური დაგბლევს და სახელი რითიმე შეგებღალება: ან საყვარელს გაიჩენ, ან მუცელს გაილაღებ, ან გაზულუქდები - რას გაიგებ, რა მოხდება. ყველანი მოწმენი ვართ, რომ ადამიანს, ქალს განსაკუთრებით, უჭირს დიდხნობით ისე ცხოვრება, რომელიმე ხორციელ საცდურს არ მინებდეს. ჩვენი უნდობლობა ამ სიამოვნებათა მიმართ პურიტანიზმით არ არის გამოწვეული, შორს ჩვენგან ამერიკელთა ამგვარი აკვიატება!

ჭეშმარიტად, გვიჯობს, ნუ ავყვებით ხორციელ წადილს, მაგ საქმემ ოფლიანობა იცის. ოფლზე სამარცხვინო კი არაფერია. როცა ოხშივარადენილ ატრიას შეექცევი დიდ-დიდ ლუკმებად, ანდა გაშმაგებული სიყვარულს ეძლევი, ან კიდევ ზამთარში თვლემამორეული ზიხარ გავარვარებულ ღუმელთან, აუცილებლად ოფლი დაგდინდება და აღარავის შეეპარება ეჭვი, რომ ვულგარული ხარ.

თვითმკვლელობა თუ ოფლიანობა? წამით არ შეგაყოვნოს მაგ არჩევანმა. რამდენადაც საკუთარი სისხლის დაღვრაა დიდებული რამ, იმდენად ოფლად გაღვრაა შესაზიზღარი. თუ სიკვდილს არჩევ, ოფლად აღარასოდეს გაიღვრები და შენი ტანჯვა-ვაება სამუდამოდ დასრულდება.

არც იაპონელი მამაკაცის ხვედრი მგონია ბევრად სახარბიელო. იქნებ პირიქითაც კი იყოს. ქალს ის მაინც შეუძლია, გათხოვებისთანავე წავიდეს იაპონური კომპანიიდან, დროზე გაასწროს ამ ჯოჯოხეთს. დროზე წასვლაც, თავისთავად, უკვე რაღაც მიზანია.

მაგრამ იაპონელ მამაკაცს სულს არავინ უხუთავს. მასში იდეალის ყოველგვარი კვალი სიყრმეშივე არ წაშლილა. ადამიანის ერთი უმთავრესი უფლება მან შეინარჩუნა, უფლება ოცნებისა და იმედისა. და ხშირად კიდევაც იყენებს ამ უფლებას: ქიმერულ სამყაროებს იგონებს, სადაც თავისუფალია და თვითონვეა მბრძანებელი.

იაპონელ ქალს, თუ იგი კარგად არის აღზრდილი, ასეთი თავშესაფარი არ გააჩნია. უმრავლესობა კი კარგად არის აღზრდილი. მას წარკვეთეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს ერთი ძირითადი უნარი. ამიტომაა, დიდ აღფრთოვანებას რომ ვუცხადებ ყოველ იაპონელ ქალს, რომელსაც თავი არ მოუკლავს. სიცოცხლის შენარჩუნება, მისი მხრიდან წინააღმდეგობისა და გაბედულების აქტია, რომელიც ისეთივე უანგაროა, როგორც დიადი.

ასეთი ფიქრები მომდიოდა თავში, ფუბუკის რომ ვუცქერდი.

- იქნებ მეც გამაგებინოთ, რას აკეთებთ? - მკითხა მან მკვახედ.

- ვოცნებობ. არასოდეს გიოცნებიათ?

- არასოდეს.

გამეღიმა. ბატონი საიტო ეს-ესაა მეორე ბავშვის, ბიჭის მამა გახდა. იაპონური ენის ერთი საოცრება ისიც არის, რომ უსასრულოდ შეიძლება საკუთარი სახელების წარმოქმნა, მეტყველების ყველა ნაწილიდან, ყველა ფორმიდან. ამ უცნაურობათაგან, რომლის სხვა მრავალ მაგალითსაც გვთავაზობს იაპონური კულტურა, ერთიც მაქვს შემჩნეული: მათ, ვისაც ოცნების უფლებას ართმევენ, ხშირად ისეთ სახელებს არქმევენ, საოცნებოდ რომ აღგძრავს; თუნდაც სახელი ფუბუკი. მშობლები თავს ნებას აძლევენ, უნაზეს ლირიზმში გადაიჭრან, როცა საქმე გოგონას სახელს ეხება. სამაგიეროდ, ბიჭისათვის ხშირად ისეთ სახელს იგონებენ, უხამსი მხიარულების საბაბს რომ იძლევა.

ჰოდა, ვინაიდან საკუთარ სახელად ზმნის საწყისი ფორმა ყველაზე მიღებულია, ბატონმა საიტომ თავის ვაჟს „ცუტუმერუ“ ანუ „მუშაობა“ დაარქვა. ამ ჩვილის ყოველ გახსენებაზე, სახელის ნაცვლად სამოქმედო პროგრამა რომ აჩუქეს, სიცილის გუნებაზე ვდგებოდი.

წარმოვიდგენდი, რამდენიმე წელიწადში სკოლიდან შინ დაბრუნებულს დედა როგორ დაუძახებდა: „მუშაობა, მუშაობა არ დაგავიწყდეს!“ არადა, უმუშევრობა რომ დაებედოს?

ფუბუკი უნაკლო იყო. ერთადერთ ნაკლად რაც ჩაეთვლებოდა, ის იყო, რომ ოცდაცხრა წლისას ქმარი არა ჰყავდა. ეჭვი არ არის, უქმრობისა რცხვენოდა. რა მიზეზით შეიძლებოდა, ასეთი სილამაზის ახალგაზრდა ქალს მთხოვნელი არ გამოსჩენოდა, თუ არა იმის გამო, რომ იგი უნაკლო იყო? იმის გამო, რომ უზომო ერთგულებით ასრულებდა, რაც წესად დაუსახეს, წესად კი სწორედ ის დაუსახეს, რა სახელიც ბატონმა საიტომ თავის ვაჟიშვილს დაარქვა. შვიდ წელიწადს ფუბუკი მორის მთელი არსებობა მხოლოდ მუშაობით შემოიფარგლებოდა და ამან ნაყოფიც გამოიღო, რადგან პროფესიულ სარბიელზე ქალის ასეთი დაწინაურება, მართლაც რომ, იშვიათია.

მაგრამ ფუბუკი ძალზე გადატვირთული იყო საიმისოდ, რომ ცოლქმრულ უღელშიც შებმულიყო. თუმცა, გადამეტებულ მუშაობას ბრალად არავინ დასდებდა. იაპონელის თვალში შრომა გადამეტებული არასოდეს არ არის. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ცხოვრების წესი, რომელიც ქალებს დაუწესდათ, თავის თავს ეწინააღმდეგება. თუ გინდა, უნაკლო იყო, უნდა თავგამეტებით იმუშაო, ეს კი საშუალებას არ მოგცემს, გათხოვება ოცდახუთ წელს არ გადააცილო, ანუ უნაკლო ვეღარ იქნები. ამ სისტემური სადიზმის ბოლო წერტილი აპორიაა: წესის შესრულება წესის შეუსრულებლობას იწვევს.

რცხვენოდა თუ არა ფუბუკის, რომ ასე გაუჭიანურდა გათხოვება? უდავოდ რცხვენოდა. იგი ისე შეჰფოფინებდა თავის სრულყოფილებას, რომ თავს უზენაესი წესების უმცირესი დარღვევის ნებასაც კი ვერ მისცემდა. არაერთხელ გამიფიქრია, ნეტავი როდესმე საყვარელი მაინც თუ ჰყოლია-მეთქი. ეჭვგარეშე იყო, რომ ის ამას, - „ნადეშიკოს“ წინაშე ჩადენილ დანაშაულს, - არასოდეს აღიარებდა („ნადეშიკო“ ანუ „მიხაკი“ - სიმბოლურად ქალწული იაპონელის სანატრელ იდეალს გამოხატავს). მე კარგად ვიცნობდი სამუშაო განრიგს და ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა მოეხერხებინა, რომ თავისი თავისათვის ბანალური სასიყვარულო ინტრიგის ნება მიეცა.

ვაკვირდებოდი მის ქცევას, როცა უცოლო მამაკაცებთან ჰქონდა საქმიანი საუბარი: ლამაზი იყო თანამოსაუბრე თუ უშნო, ახალგაზრდა იყო თუ ხანში შესული, კარგად გაზრდილი თუ გაუზრდელი, ჭკვიანი თუ სულელი, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, ჩვენი კომპანიის ანდა სხვა რომელიმე კომპანიის იერარქიაში ბოლო

საფეხურზე არ მდგარიყო: ჩემი უფროსი უცებ ისეთი გამომწვევი სინაზით იწყებდა ლაპარაკს, რომ თითქმის აგრესიული ხდებოდა. ნერვიულობისაგან აწრიალებული ხელებით მალ-მალ ისწორებდა წერწეტა წელზე შემოჭერილ ფართო ქამარს, რომლის ბალთაც გამუდმებით ლამობდა განზე გადანაცვლებას. ხმაში ისეთი ალერსი ჩაუდგებოდა, კვნესას წააგავდა.

ჩემს შინაგან ლექსიკონში ამ მომენტს „ქალბატონ მორის საქორწილო აღლუმი“ დავარქვი. იყო რაღაც ძალიან კომიკური ჩემი ჯალათის ამ მანჭვა-გრეხაში, რაც მას ამახინჯებდა და ამდაბიოებდა. მიუხედავად ამისა, მაინც გული მეკუმშებოდა ამის დანახვაზე, მით უფრო, რომ მამაკაცები, რომელთა მოხიბვლასაც ასეთი საბრალობელი ხერხებით ცდილობდა, ვერაფერს ამჩნევდნენ და არავითარ გრძნობას არ გამოხატავდნენ. დროდადრო სურვილი წამომივლიდა, შემენჯღრია ისინი და მეყვირა:

- მეტი გალანტურობა, ჩემო ბატონო, ცოტა მეტი გალანტურობა! ნუთუ ვერ ხედავ, რა ტანჯვა-წვალებაშია შენ გამო? გეთანხმები, ეს სრულებითაც არ ამშვენებს, მაგრამ ნეტავი იცოდე, რა ლამაზია, ასე როცა არ იწმახნება! სიმართლე თუ გინდა, მეტისმეტად ლამაზიც კია საშენოდ. სიხარულის ცრემლები უნდა გდიოდეს, რომ ამისთანა მარგალიტს უნდიხარ!

რაც შეეხება ფუბუკის, ერთი სული მქონდა, მისთვის მეთქვა:

- შეჩერდი! ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ მაგ შენი სასაცილო თამაშით ვინმე მოიხიბლება? გაცილებით უფრო მომხიბვლელი ხარ, როცა მლანძღავ და მიწასთან მასწორებ. ჰოდა, თუ ეგ რამეში გამოგადგება, მის ადგილას მე წარმომიდგინე, ვითომ მას კი არა, მე მელაპარაკები: იქნები ქედმაღალი, აუტანელი, ეტყვი, რომ სულით ავადმყოფია, რომ არარაობაა - და, აი, ნახავ, ის გულგრილი არ დარჩება.

კიდევ უფრო დიდი სურვილი მქონდა, ყურში ჩამეჩურჩულებინა:

- ათასწილად არ აჯობებს, გაუთხოვარი დარჩე, ვიდრე სიცოცხლის ბოლომდე აიკიდო ეს თითილოკია? რა გინდა უყო ასეთ ქმარს? ვითომ რა ისეთი სირცხვილია, ერთ-ერთი ამათგანის ცოლი თუ ვერ გახდები შენ, ამაღლებული და ზესთა საუფლოს ბინადარი; შენ, ვინც ამ პლანეტის შედევრი ხარ? შეხედე, თითქმის ყველანი ტანად შენზე დაბლები არიან. განა ეს ზეგარდმო ნიშანი არ არის? შენ ხომ ამ საცოდავი მეისრეებისათვის მეტისმეტად მაღალი მშვილდი ხარ.

როცა მამაკაცი-ნადავლი ხელიდან წაუვიდოდა, ჩემი უფროსის სახე იმწამსვე კარგავდა სინაზეს და იყინებოდა. დროდადრო ჩემს დამცინავ მზერას წააწყდებოდა და მაშინვე მძულვარედ მოკუმავდა ტუჩებს.

„იუმიმოტოს“ მეგობარ კომპანიაში მუშაობდა ვინმე პიეტ კრამერი, ოცდაშვიდი წლის ჰოლანდიელი. მართალია, იაპონელი არ იყო, მაგრამ ჩემი მწამებლის თანაფარდი

იერარქიული სტატუსისათვის მიეღწია. ტანად მეტრი და ოთხმოცდაათი მაინც იქნებოდა; ჰოდა, ვიფიქრე, ფუბუკის შესაფერისია-მეთქი. მართლაც, ყოველთვის, როცა კი ჩვენს ოთახზე გზად გაივლიდა, ფუბუკი გაშმაგებულ საქორწინო აღლუმს წამოიწყებდა და ქამარს განუწყვეტლივ აქეთ-იქით ექაჩებოდა.

ჰოლანდიელი თვალტანადი კაცი იყო, მოხდენილი ეთქმოდა. მისი ჰოლანდიელობა ამ ურთიერთობას ბევრად უფრო დასაშვებს ხდიდა: თითქმის გერმანული წარმოშობის წყალობით, თეთრი რასისადმი კუთვნილება ისე დამაბრკოლებლად აღარ მიიჩნეოდა.

ერთ დღეს მან მითხრა:

- ბედი გქონიათ, რომ ქალბატონ მორისთან მუშაობთ.

რა გულითადი ქალია!

გუნებაში გამეღიმა. გადავწყვიტე, მესარგებლა ამ ამბით: ჩემს კოლეგას სიტყვასიტყვით გავუმეორე მისი ნათქვამი და „გულითადობის“ ხსენებაზე ირონიული ღიმილიც შემეპარა. მერე ეგეც დავიძინე:

- ლაპარაკი არ უნდა, შეყვარებულია.

გაოცებულმა შემომხედა:

- მართალს მეუბნებით?

- კატეგორიულად ვაცხადებ.

რამდენიმე წამი გაოგნებული მიყურებდა. ვიცოდი, რასაც ფიქრობდა: „ეგეც ხომ თეთრია, თეთრების ამბავიც უკეთ ეცოდინება, ამ ჯერზე შეიძლება, ვენდო. ოღონდ ჩარევით არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავრიო“.

უხალისოდ მითხრა:

- საჩემოდ ძალიან ახალგაზრდაა.

- ორი წლით არის თქვენზე უმცროსი. იაპონური ტრადიციის მიხედვითმ, ზუსტად მისი „ანესან ნიობო“ -„მეუღლე - უფროსი და“ - გამოხვალთ. იაპონელების თვალში ეს ხომ საუკეთესო ქორწინებაა: ქალს ცოტა უფრო მეტი გამოცდილება აქვს, რაც მამაკაცს ბევრი რამისაგან ათავისუფლებს.

- ვიცი, ვიცი.

- მაშინ, აბა, რაღა აქვს დასაწუნარი?

ფუბუკი გაჩუმდა. ნათლად ჩანდა, რომ აფორიაქდა.

რამდენიმე დღეში პიეტ კრამერი უნდა მოსულიყო.

ახალგაზრდა ქალი საოცარმა მღელვარებამ შეიპყრო.

საუბედუროდ, ძალიან ცხელოდა. ჰოლანდიელმა პიჯაკი გაიხადა. მის პერანგს იღლიებთან ოფლის ორი დიდი ლაქა აჩნდა. დავინახე, როგორ შეეცვალა სახე ფუბუკის. ცდილობდა, ჩვეულებრივ ელაპარაკა, ვითომ არაფერი შეემჩნიოს, მაგრამ მისი ლაპარაკი ყალბად ჟღერდა, ყოველ სიტყვაზე ნიკაპი წინ უნდა წამოეწია, რომ ბგერები ყელიდან ამოსვლოდა. ყოველთვის ესოდენ მშვენიერი და მშვიდი ფუბუკი თავის დასაცავად გამზადებულ ციცარს ჰგავდა.

საცოდავ დღეში ჩავარდნილი თვალს დროდადრო კოლეგებისაკენაც გააპარებდა ხოლმე. ბოლო იმედს ებღაუჭებოდა, იქნებ ვერ დაინახესო. მაგრამ ვაითუ დაინახეს? არადა, როგორ გინდა გაიგო, რა შეამჩნია იაპონელმა და რა ვერ შეამჩნია? „იუმიმოტოს“ თანამშრომლების სახეები თავშეკავებულ კეთილგანწყობას გამოხატავდნენ, როგორც ყოველთვის, როცა მეგობარი ფირმის წარმომადგენლებს ხვდებოდნენ.

ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ თვითონ პიეტ კრამერს არც ის აღშფოთება შეუმჩნევია, რომლის მიზეზიც თავადვე ბრძანდებოდა, არც ის შინაგანი დაძაბულობა, ამ „გულითად“ ქალს, ფუბუკი მორის, სულს რომ უგუბებდა და ნესტოებს უთრთოლებდა. ნესტოების თრთოლაც სრულიად გასაგები იყო: ისინი იმის მიხვედრას ცდილობდნენ, ჰოლანდიელის იღლიისმიერი თავმოჭრა პარალელურად სხვა ადგილებზეც ხომ არ მიმდინარეობდა.

და სწორედ ამ დროს მოხდა ის, რომ ჩვენმა სიმპათიურმა ბატავმა[8] ევრაზიული რასის ეკონომიკურ აღმავ * ასე უწოდებენ მდინარე რაინის შესართავთან მდებარე რეგიონში მცხოვრებ ჰოლანდიელებს ლობაში თავისდა უნებურად ერთობ არასახარბიელო წვლილი შეიტანა: მან ცაში დირიჟაბლი დალანდა და ფანჯარას ეცა. ამ სწრაფმა გადაადგილებამ გარემომცველ ჰაერში ყნოსვითი ნერვის გამაღიზიანებელი უჩინარი ნაწილაკების კორიანტელი დააყენა, ხოლო მოძრაობისაგან ამდგარმა ქარმა ისინი მთელ ოთახში მიმოფინა. არავითარი ეჭვი აღარ იყო: პიეტ კრამერის ოფლი ყარდა.

ამ უშველებელ ოთახში კაციშვილი არ დარჩენილა, ეს არ ეგრძნო. რაც შეეხება ახალგაზრდა კაცის ბავშვურ ენთუზიაზმს სარეკლამო დირიჟაბლის მიმართ, რომელიც რეგულარულად გადაუფრენდა ხოლმე ქალაქს, ამაზე იქ მყოფთა სახეებს თანაგრძნობის მსგავსი არაფერი აურეკლავთ.

როცა სურნელთა მკმეველი უცხოელი წავიდა, ჩემს უფროსს ფერი აღარ ედო. ცხადი იყო, ბედი უფრო შეეკრა. განყოფილების გამგემ, ბატონმა საიტომ, კლანჭი პირველმა გამოაჩინა:

- კიდევ ერთი წამი, და ვეღარ გავუძლებდი.

ამით დანარჩენებსაც მისცა ავსიტყვაობის უფლება.

იმათაც უმალ ისარგებლეს შემთხვევით:

- ვერა და ვერ მიმხვდარან ეგ თეთრები, გარშემო რა სიმყრალეს აფრქვევენ;

- თუ მოვახერხეთ და შევაგნებინეთ, მარტო დასავლეთში დეზოდორანტის რა ბაზარი გვექნება!

- კარგი, ვთქვათ, სუნს რაღაც მოვუხერხეთ, ოფლიანობას როგორღა მოვაშლევინებთ, მათი რასობრივი ნიშანია!

- მაგათი ლამაზი ქალებიც კი ოფლიანდებიან.

მოკლედ, შმაგი მხიარულება გამართეს. აზრადაც არავის მოსვლია, რომ შესაძლებელი იყო, მათი სიტყვე ბი საწყენად დამრჩენოდა. თავიდან კიდევაც მესიამოვნა, ეტყობა, თავისიანად მთვლიან, თეთრკანიანად აღარც აღმიქვამენ-მეთქი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ სათვალავში არ მაგდებდნენ.

ხოლო ჩემი უფროსისათვის რას ნიშნავდა მთელი ეს ეპიზოდი, ეჭვადაც არავინ მიმხვდარა. მხოლოდ მას რომ შეემჩნია ჰოლანდიელის იღლიისმიერი კატასტროფა, კიდევ შეეძლო, იმედი არ გადაეწურა და თვალი დაეხუჭა სავარაუდო საქმროს ამ თანდაყოლილ ნაკლზე.

ამიერიდან მან იცოდა, რომ პიეტ კრამერთან აღარაფერი იქნებოდა შესაძლებელი. სულ მცირე ურთიერთობაც კი უმძიმეს შედეგებს გამოიღებდა: მხოლოდ სახელი კი არ შეელახებოდა, ღირსებას დაკარგავდა. თავი ბედნიერად შეეძლო ჩაეთვალა, რომ მის ამ საქორწინო გეგმებზე არავინ არაფერი იცოდა, მე ხომ სათვალავში ჩასაგდებიც არ ვიყავი.

თავაწეული და ყბებდაძაბული შეუდგა მუშაობას. მისი ნაკვთების უკიდურესი დაჭიმულობა მიჩვენებდა, თურმე რამოდენა იმედს ამყარებდა ამ კაცზე! ამაში კი წვლილი მეც მიმიძღოდა, ჩემი შეგულიანებული იყო. მე რომ არა, განა სერიოზულად როდისმე იფიქრებდა მის ცოლობას?

ჰოდა, თუ იტანჯებოდა, სანახევროდ ჩემი ბრალიც იყო. თითქოსდა ნასიამოვნები უნდა დავრჩენილიყავი, არადა, სიამოვნების მსგავსს არაფერს ვგრძნოდი.

მოანგარიშეობისათვის თავი ორი კვირის დანებებული მქონდა, როცა ახალმა დრამამ იფეთქა.

* * *

„იუმიმოტოს“ კომპანიაში თითქოს კიდევაც დამივიწყეს. ამაზე უკეთესს ვერც ვერაფერს ვინატრებდი, გახალისებული ვიყავი. პატივმოყვარეობის სრული უქონლობის გამო ჩემთვის არ არსებობდა იმაზე დიდი ბედნიერება, ვმჯდარიყავი ჩემს მაგიდასთან და ჩემი უფროსის სახისათვის მეჭვრიტა, რომელიც წელიწადის დროთა მსგავსად იცვლებოდა. ჩაისა და ყავის მიტანმოტანა, ფანჯრიდან რეგულარული ვარდნა და კალკულატორისაგან შორს ყოფნა - ეს იყო მთელი ჩემი საქმიანობა, რომელმაც სრულად გადაფარა ის მცირეოდენი მოთხოვნილება, საზოგადოებაში ადგილის დაკავებასთან დაკავშირებით რომ მქონდა.

ჩემი ეს ამაღლებული უსაქმობა შეიძლებოდა ჟამთა დასასრულამდე გაგრძელებულიყო, მოულოდნელად ისეთი საქციელი რომ არ ჩამედინა, რასაც მარცხს უწოდებენ.

კაცმა რომ თქვას, კიდევაც ვიმსახურებდი ამ დღეში ყოფნას. დიდი ჯაფა გადამხდა უფროსებისათვის იმის დასამტკიცებლად, რომ სტიქიური უბედურება თუ ვიყავი, უნებურად ვიყავი. როგორც იქნა, ისინი მიხვდნენ ამას. მათი ჩუმი პოლიტიკა ასეთი იყო: „უმჯობესია, ხელი აღარაფერს ახლოს“. და მეც წარმატებით შევუდექი ჩემი ახალი მოწოდების აღსრულებას.

ერთ მშვენიერ დღეს მთის ჩამოქცევის ხმა მოისმა: ეს ბატონი ომოჩი გრუხუნებდა. გრიალი თანდათანობით ახლოვდებოდა. ერთმანეთს დაზაფრულები შევაცქერდით. ფინანსთა განყოფილების კარმა, როგორც ძველმა კაშხალმა, ვეღარ გაუძლო ვიცე-პრეზიდენტის მოზვავებული ხორცის მოწოლას, იგი ჩვენს ოთახში შემოზვინდა და საუზმედაგვიანებული დევის ხმით იღრიალა:

- ფუბუკი-სან!

ახლა უკვე ვიცოდით, ზონზროხას მადა მსხვერპლად ვის შეიწირავდა. დროებით გადარჩენილებმა შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ ამას უმალვე გულწრფელი თა ნაგრძნობის კოლექტიური ცახცახი მოჰყვა.

ჩემი უფროსი მაშინვე წამოდგა და გახევდა. ის პირდაპირ, ესე იგი, ჩემი მიმართულებით იყურებოდა, თუმცაღა ვერ მხედავდა. მალული შიშით გაქვავებული, მაგრამ ამაყი, თავის ხვედრს ელოდა. ერთი წამით ისიც კი მეგონა, რომ ომოჩი თავისი მუცლის ღრმა ნაკეცში ჩამალულ მახვილს დააძრობდა და თავს წააცლიდა. თუ თავი ჩემკენ გამოგორდებოდა, დავიჭერდი და სიკვდილის დღემდე სათუთად ვუპატრონებდი.

„მაგრამ არა, - ვმსჯელობდი ჩემთვის, - ამგვარი მეთოდებით დღეს უკვე აღარავის უსწორდებიან. ჩვეულებისამებრ, თავის კაბინეტში შეიყვანს და ისეთ დღეს დააყრის, საუკუნოდ რომ დაამახსოვრდება“.

მაგრამ იგი უარესად მოიქცა. ალბათ უფრო სადისტურ განწყობაზე იყო, ვიდრე სხვა დროს, ან იქნებ ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ მსხვერპლი ქალი იყო, თანაც - ახალგაზრდა და ლამაზი ქალი? თავის კაბინეტში კი არ დაატეხა საუკუნო რისხვა, არამედ იქვე, ფინანსთა განყოფილების ორმოცი თანამშრომლის თვალწინ.

წარმოუდგენელი იყო ამაზე უფრო დიდი შეურაცხყოფა, რომელიც გნებავთ, ცოცხალი არსებისათვის, მით უფრო - იაპონელისათვის, განსაკუთრებით კი - მშვენიერი და ამპარტავანი ქალბატონი მორისათვის, ვიდრე სახალხოდ პატივის ამგვარი აყრა. ურჩხულს მისი დამდაბლება უნდოდა, ეს ნათელი იყო.

ნელა მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალს, თითქოს წინასწარ ტკბებოდა თავისი დამანგრევლობით. ფუბუკის წამწამიც არ ერხეოდა. არასოდეს ყოფილა ასეთი მშვენიერი. შემდეგ ზონზროხას მსუქანმა ტუჩებმა თრთოლა დაიწყეს და პირიდან ღრიალის ნიაღვარი წამოვიდა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა.

ტოკიოელები მიდრეკილნი არიან, ზებგერითი სისწრაფით ილაპარაკონ, განსაკუთრებით, როცა ილანძღებიან. ვიცე-პრეზიდენტი, სიმსუქნის მიუხედავად, მაინც ქოლერიკი იყო; მისი ქონით გაპოხილი ხმა მძვინვარების ლავას აფრქვევდა. ამ მრავალრიცხოვანი ფაქტორების შედეგი კი ის გახლდათ, რომ გაუთავებელი სიტყვიერი აგრესიიდან, ჩემს უფროსს ურისავით რომ ურახუნებდა, თითქმის ვერაფერი გავიგე.

სულაც რომ არ მცოდნოდა იაპონური, მაინც მისახვედრი იყო, რა ხდებოდა. უღირსად შეურაცხყოფდნენ ადამიანურ ღირსებას, სულ აქვე, ჩემგან სამი მეტრის დაშორებით. ეს იყო ამაზრზენი სანახაობა. რას არ დავთმობდი, ოღონდ კი იგი როგორმე შეწყვეტილიყო, მაგრამ არა და არ წყდებოდა: მწამებლის მუცლიდან ამომავალი ღრიალის ღვარცოფი გამოულეველი ჩანდა.

რა დანაშაული შეიძლებოდა ჩაედინა ფუბუკის, ასეთი სასჯელი რომ დაემსახურებინა? მე ეს ვერასოდეს გავიგე. მაგრამ მე ხომ კარგად ვიცნობდი ჩემს კოლეგას: მისი კომპეტენტურობა, საქმისადმი თავდადება და პროფესიული კეთილსინდისიერება სრულიად განსაკუთრებული იყო. რაგვარი შეცდომაც უნდა მოსვლოდა, ყოვლად მისატევებელი იქნებოდა. არადა, მიუტევებელიც რომ ყოფილიყო, ამ გამორჩეული ქალის მნიშვნელოვანი დამსახურებებისათვის ანგარიში მაინც უნდა გაეწიათ.

ეტყობა, ჩემი გულუბრყვილობით იყო, თავს რომ ვეკითხებოდი, რა შეიძლებოდა, შეშლოდა ჩემს უფროსს. ყველაზე სავარაუდო ის იყო, რომ საკუთარი სინდისის წინაშე უსათუოდ პირნათელი იქნებოდა. ბატონი ომოჩი შეფი გახლდათ: სურვილის

შემთხვევაში, სრული უფლება ჰქონდა, რაიმე უმნიშვნელო საბაბი გამოეძებნა და თავისი სადისტური მადა ამ ტოპ-მოდელივით ქალზე გამოეცადა. არავისთან მოუწევდა თავის მართლება.

უცებ თავში დამკრა, რომ ვესწრებოდი ვიცე-პრეზიდენტის სექსუალური ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს, თუმცა ამხელა მოცულობის პატრონს, შეეძლო კი ქალთან დაწოლა? სამაგიეროდ, თავისი გაბარიტები იმოდენა ღრიალის შესაძლებლობას აძლევდა, რომ ეს უნატიფესი, ჩამოქნილი, თხელი სილუეტი ერთიანად ცახცახებდა. სინამდვილეში იგი ქალბატონ მორის აუპატიურებდა და თუკი თავის ყველაზე მდაბალ ინსტინქტებს მაინცდამაინც ორმოცი კაცის თვალწინ იკმაყოფილებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მის ამ სიამოვნებას ექსჰიბიციონიზმის სიამეც ხლებოდა.

ამგვარი ახსნა ზუსტი გამოდგა; დავინახე, როგორ იკეცებოდა ჩემი უფროსის ტანი. არადა, მტკიცე ხასიათისა იყო, სიამაყის განსახიერება: ასეთი სხეულებრივი დამორჩილება სწორედ იმას ადასტურებდა, რომ თავს სექსუალური შეტევის ობიექტად აღიქვამდა. ფეხებმა ვეღარ ზიდეს, ვნებისაგან ღონემიხდილ ქალს რომ ემართება ხოლმე, და სკამზე ჩაიკეცა.

მე რომ ბატონ ომოჩის ღრიალსიტყვის სინქრონული მთარგმნელი ვყოფილიყავი, აი, როგორ ვთარგმნიდი:

- დიახ, მე ას ორმოცდაათ კილოს ვიწონი და შენ - ორმოცდაათს. ჩვენ ერთად ორი ცენტნერი გამოვდივართ და მე ეს ვნებას აღმიძრავს. ქონი მოძრაობაში ხელს მიშლის, ჩემთვის ძალზე ძნელია, სიამოვნება განგაცდევინო, მაგრამ ჩემი წონის წყალობით შემიძლია, წაგაქციო და გაგჭყლიტო, რითაც ვნეტარებ, მეტადრე ამ იდიოტების თვალწინ. ვნეტარებ, რომ ასეთი ამაყი ხარ და იტანჯები; ვნეტარებ, რომ უფლება არა გაქვს, წინააღმდეგობა გამიწიო. ვნეტარებ, რომ შენზე ამგვარ ძალადობას ჩავდივარ.

ერთადერთი მე არ ვყოფილვარ, ვინც მიხვდა, რა ხდებოდა: ჩემი კოლეგებიც ყველანი ცუდად გახდნენ და, როგორც შეეძლოთ, თვალს არიდებდნენ ამ სანახაობას, სირცხვილს დოსიეებში თუ ეკრანებში მალავდნენ.

ფუბუკი უკვე ორად მოკეცილიყო. იდაყვები მაგიდაზე დაეყრდნო, შეკუმშულ მუშტებს კი შუბლი ეჭირათ. ვიცე-პრეზიდენტი ტყვიამფრქვევივით ისროდა სიტყვებს და მისი თონთლო ზურგი რეგულარული ინტერვალებით თახთახებდა.

საბედნიეროდ, ისეთი სულელიც არ აღმოვჩნდი, რომ ჩამედინა ის, რაც ამგვარ ვითარებაში სრულიად ბუნებრივი იქნებოდა: ჩავრეულიყავი. ცხადია, ჩემი ჩარევა გაამწვავებდა მსხვერპლის ბედს, ჩემსაზე რომ არაფერი ვთქვა. თუმცა შეუძლებელია, თავი ამაყად მეგრძნო ჩემი გონივრული თავშეკავების გამო. ღირსეული საქციელი ყველაზე ხშირად, ამავე დროს, ბრიყვულია. არ აჯობებდა, ბრიყვულად მოვქცეულიყავი, ვიდრე ღირსება დამეკარგა? დღესაც ვწითლდები იმის გამო, რომ

კეთილშობილებას კეთილგონიერება ვამჯობინე. საჭირო იყო, ვინმე ჩარეულიყო, მაგრამ ამ მსხვერპლის გამღები არავინ ჩანდა, ამიტომაც მსხვერპლი მე უნდა გამეღო.

ცხადია, ჩემი უფროსი ამას არასოდეს მაპატიებდა, მაგრამ მართალი არ იქნებოდა: განა უარესი არ იყო, თვალდაუხამხამებლად რომ ვუცქეროდით ამ დამამცირებელ სანახაობას? განა საშინელება არ იყო, რომ ავტორიტეტს დავემონეთ?

ქრონომეტრით უნდა გამეზომა ამ ამაზრზენი ღრიალის ხანგრძლივობა. ჩვენს დამწიოკებელს დაღლა არ ეტყობოდა. მეჩვენებოდა, რომ, რაც დრო გადიოდა, ყვირილს თანდათანობით ძალა ემატებდა, რაც ადასტურებდა - თუ კიდევ რაიმე დასტური იყო საჭირო - ამ სანახაობის ჰორმონალურ ბუნებას: როგორც ავხორცს კიდევ უფრო ახელებს ხოლმე საკუთარი სექსუალური გაშმაგება და ძალა უათმაგდება, ასევე ვიცეპრეზიდენტი სულ უფრო და უფრო მხეცდებოდა, მის ღრიალს ენერგია სულ უფრო და უფრო ემატებოდა და ფიზიკური ზეწოლით უფრო და უფრო ძირს დრეკდა ჩემს უბედურ უფროსს.

დასასრული უკვე ახლოვდებოდა, როცა ისეთი რამ მოხდა, გულს რომ აგიჩუყებს. ალბათ, ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, როცა ვინმე ძალადობის მსხვერპლია: ფუბუკის აშკარა რეგრესი დაეტყო. ნეტა მხოლოდ მე მომესმა ეს სუსტი, შემკრთალი ხმა, რვა წლის გოგონასეული ხმა, რომელმაც ორჯერ ამოიკვნესა, თუ სხვებმაც გაიგეს?

- „ოკორუნა, ოკორუნა“.

ანუ ის, რაც დამნაშავე ბავშვის ყველაზე ახლობლურ, ყველაზე მოჩლექილ ენობრივ რეგისტრში წარმოითქმის; ის, რასაც პატარა გოგონა მამას ეტყვის ხოლმე დასაშოშმინებლად, და, რასაც ფუბუკი ვერასოდეს ეტყოდა თავის უფროსს: - ნუ მიწყრები, ნუ მიწყრები.

ფუბუკის მუდარა ისეთივე სასაცილო იყო, დაგლეჯილმა და ნახევრად შენთქმულმა ქურციკმა რომ შეწყალება სთხოვოს მტაცებელ ნადირს. გარდა ამისა, ეს იყო გამაოგნებელი უარი მორჩილების დოგმაზე, თავის დაცვის დაუშვებლობაზე ყოველივე იმის წინაშე, რაც ზემოდან მოდის. ბატონი ომოჩი თითქოს ცოტათი დააბნია კიდეც ამ უჩვეულო ხმამ, მაგრამ ხელი მაინც არ შეუშლია, უფრო ხაფად ეყვირა. პირიქით, გამორიცხუ ლი არ ჩანდა, რომ მსხვერპლის ასეთმა ბავშვობაში გადავარდნამ სიამოვნება მოჰგვარა.

ლამის მთელი საუკუნე გავიდა, სანამ ურჩხული თამაშით დაიღლებოდა, ან იქნებ გამაცოცხლებელმა ვარჯიშმა მოაშივა და ფუტონ-მაიონეზის ორმაგი სენდვიჩი მოანდომა. იგი წავიდა.

ფინანსთა განყოფილებაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჩემ გარდა, ვერავინ ბედავდა მსხვერპლისაკენ გახედვას. რამდენიმე წუთს იგი ღონემიხდილი იჯდა. როცა ძალა მოიკრიბა, წამოდგა და ოთახიდან უხმოდ გავიდა.

გასაგები იყო, სადაც გაიქცეოდა: სად მიდიან გაუპატიურებული ქალები? იქ, სადაც გულის არევა შეიძლება; იქ, სადაც ცოტა ხალხია. „იუმიმოტოს“ კომპანიაში ამ მოთხოვნილებებს ყველაზე მეტად საპირფარეშო აკმაყოფილებდა.

აი, აქ კი მაგრად შემეშალა.

გული სისხლით მევსებოდა. აუცილებლად უნდა მივსულიყავი და გამემხნევებინა. ამაოდ ვცდილობდი, გონებისათვის მომეხმო; ვიხსენებდი, რამდენი დამცირება მქონდა მისგან გადატანილი, რა შეურაცხყოფებს მახლიდა სახეში. მაინც ჩემმა სასაცილო თანაგრძნობამ გადამძლია. სასაცილომ-მეთქი, დაბეჯითებით ვამბობ. თუ კეთილგონიერების წინააღმდეგ წასვლა იყო, ასწილ ჯობდა, რომ ეს წეღანვე მექნა, ომოჩისა და ჩემს უფროსს შუა ჩავმდგარიყავი. სხვა თუ არაფერი, გაბედული ნაბიჯი მაინც იქნებოდა. ახლანდელი ჩემი საქციელი კი უბრალო თავაზიანობის გამოჩენა იყო და სრული სისულელე.

საპირფარეშოსაკენ გავიქეცი. ფუბუკი ონკანის წინ იდგა და ტიროდა. ჩემი შესვლა არ დაუნახავს. საუბე დუროდ, გაიგონა, რაც ვუთხარი:

- ფუბუკი, თქვენ არ იცით, როგორ ვწუხვარ! მთელი გულით თქვენთან ვარ. თქვენთან ვარ.

ის იყო, მივუახლოვდი, ის იყო, ათრთოლებული ხელი ნუგეშის საცემად უნდა გამეწოდებინა, როცა დავინახე, ჩემკენ როგორ შემობრუნდა და ბრაზით აღსავსე თვალები შემომანათა. პათოლოგიური მძვინვარებისაგან შეცვლილმა ხმამ კი შემომყეფა:

- როგორ ბედავთ! როგორ ბედავთ!

ეტყობა, გონება დამიბნელდა, ახსნა-განმარტება დავიწყე:

- თქვენი გაღიზიანება აზრადაც არ მქონია. მხოლოდ თანაგრძნობა მინდოდა, გამომეხატა.

ხელზე ხელი ამიკრა და სიძულვილისგან ლამის კრუნჩხვამორეულმა დამიყვირა:

- გაჩუმდებით თუ არა? გამეცლებით თუ არა?

მე კი გაცლას არა და არ ვაპირებდი, მილურსმულივით ვიდექი.

იგი ჩემკენ წამოვიდა, მარჯვენა თვალში ჰიროსიმა უგიზგიზებდა, მარცხენაში - ნაგასაკი. დარმწუნებული ვარ, ჩემი მოკვლის უფლება რომ მიეცათ, უყოყმანოდ მომკლავდა.

როგორც იქნა მივხვდი, რაც უნდა მექნა: გამოვასწარი.

ბიუროში დაბრუნებული, დღის ბოლომდე ვიჯექი და ვითომ ვმუშაობდი, თან ჩემს ბრიყვულ საქციელს ვაანალიზებდი, მედიტაციისათვის, დიახაც, კმაროდა.

კოლეგების თვალწინ ფუბუკი დაამდაბლეს, თავიდან ფეხებამდე ლაფში ამოსვარეს. ერთადერთი, ჩვენ გან რისი დამალვაც მოახერხა, ღირსების უკანასკნელი ბასტიონი, რომელიც არ დათმო, ცრემლი იყო; იმდენი ძალა აღმოაჩნდა, ჩვენ წინ არ ეტირა.

მე კი, მუზმუზელა, სამალავში შევეპარე და ვნახე, როგორ ქვითინებდა. ისე ჩანდა, თითქოს გულის მოოხება მინდოდა, მისი სირცხვილით ბოლომდე მოვიწადინე დატკბობა. ვერასოდეს გაიგებდა, არ დაიჯერებდა, ვერ დაუშვებდა, რომ ჩემი საქციელი მხოლოდ სიკეთით იყო ნაკარნახევი, თანაც - სულელური სიკეთით.

ერთი საათის შემდეგ მსხვერპლი კვლავ თავის მაგიდასთან დაბრუნდა. მისკენ არავის გაუხედავს. მანაც მხოლოდ მე გამომხედა. მშრალმა თვალებმა სიძულვილით გამბურღეს. „შენ კი, ჯერ მადროვე, ბევრი ლოდინიც არ მოგიწევს“, - მითხრა მისმა გამოხედვამ.

მერე, ვითომც არაფერი მომხდარიყო, მუშაობას შეუდგა. მე ნებას მიმიშვა, დრო მომცა განაჩენის გამოსაცნობად. კარგად იცოდა, რაც გამიკეთა ამასწინათ. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ჩემი საქციელი პირწმინდად სამაგიეროს გადახდა იყო, მეტი არაფერი. მისი აზრით, სანაცვლოს იმავე ხურდით ვუბრუნებდი, საპირფარეშოში მხოლოდ იმისთვის შევყევი, მისი ცრემლებისათვის მეცქირა.

როგორ მინდოდა, მისთვის თვალი ამეხილა, მეთქვა: „კი, თანახმა ვარ, სიბრიყვე ჩავიდინე, მართლა უხერხული საქციელი გამომივიდა. მაგრამ, გემუდარებით, დამიჯერეთ: სულელური გულჩვილობის ბრალი იყო, სხვა განზრახვა არ მქონია. მართალია ამ ბოლო დროს თქვენზე განაწყენებული ვიყავი, მაგრამ ასე მდაბლად დამცირებული რომ დაგინახეთ, ყველაფერი გადამავიწყდა. ისეთი გამჭრიახი და მიხვედრილი, როგორიც თქვენა ხართ, ნუთუ შეიძლება ერთი წუთით შეეჭვდეს, რომ მთელ ამ დაწესებულებაში, არა, მთელ პლანეტაზე, არსებობდეს ვინმე, ვინც ჩემსავით გაფასებთ, ჩემსავით შემოგხარით, თქვენი გავლენის სფეროში ჩემსავით არის მოქცეული?“

ვერასოდეს გავიგებ, როგორ შეხვდებოდა ჩემს ნათქვამს, მართლა რომ მიმემართა ამ სიტყვებით.

მეორე დღეს ფუბუკი ოლიმპიური სიმშვიდით შემხვდა. „დაწყნარებულა, - გავიფიქრე, - გუნება გამოჰკეთებია“.

დინჯად, ოფიციალური ხმით გამომიცხადა:

- თქვენთვის ახალი თანამდებობა მაქვს. გამომყევით.

ჩვენი ოთახიდან გავედით. ეჭვი გამიჩნდა, რომ ჩემი ახალი თანამდებობა ფინანსთა განყოფილებაში აღარ იქნებოდა. ნეტავი, სად მივყავდი?

ჩემი ეჭვი მართლდებოდა, როცა ვნახე, რომ საპირფარეშოსაკენ წავედით. გავიფიქრე: შეუძლებელია, ბოლო წამში მარჯვნივ ან მარცხნივ გავუხვევთ, რომელიღაც სხვა ოთახში შევალთ-მეთქი. არც მარჯვნივ, არც მარცხნივ არ გადაგვიხვევია. პირდაპირ საპირფარეშოში შემიძღვა.

„ალბათ, ეს გამოცალკევებული ადგილი იმისათვის აირჩია, უნდა, რომ გუშინდელზე მელაპარაკოს“, - ვთქვი ჩემთვის.

თურმე ვცედებოდი. შევედით და მშვიდად გამომიცხადა:

- აი, თქვენი ახალი თანამდებობა.

ნირშეუცვლელად და ძალზე პროფესიულად, თავისივე ხელით მაჩვენა, რა როგორ უნდა მეკეთებინა. ხელების გასაწმენდი „მშრალი და სუფთა ქსოვილის“ რუ ლონი ახლით უნდა შემეცვალა, როცა ძველი გამოუსადეგარი გახდებოდა. კაბინებიც მე უნდა მომემარაგებინა ტუალეტის ქაღალდით. საამისოდ ძვირფასი გასაღებები მომანდო დიდი განჯინისა, სადაც ეს ძვირფასეულობა იყო ჩაკეტილი, რათა „იუმიმოტოს“ კომპანიის კადრებს ზომიერად ესარგებლათ, ძალიანაც არ დახარბებოდნენ.

ყველაზე ამაღელვებელი მაინც ის წუთი იყო, როცა ამ მშვენიერმა არსებამ ხელი ნაზად დაავლო საპირფარეშოს ჯაგრისს და უაღრესი სერიოზულობით ამიხსნა, როგორ უნდა მეხმარა - ეგონა, ვითომ არ ვიცოდი? ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ქალღმერთის ხელში ამ ინსტრუმენტს დავინახავდი, თანაც იმ მიზნით აღებულს, რომ ჩემთვის სკიპტრასავით გადმოეცა.

გაოგნების უმაღლეს მწვერვალზე მყოფმა ერთი შეკითხვა დავუსვი:

- აქ ვინ უნდა შევცვალო?

- არავინ. ამ საქმეს დამლაგებლები აკეთებენ ხოლმე საღამოობით.

- ახლა სამუშაოდან წავიდნენ?

- არა. მაგრამ თქვენ თვითონაც შემჩნეული გექნებათ, რომ ერთი ღამეული შემოვლა საკმარისი არ არის. ქსოვილის რულონი ზოგჯერ დღისითვეა გამოსაცვლელი, ტუალეტის ქაღალდიც ხშირად ადრევე თავდება. უნიტაზებიც საღამომდევე ჭუჭყიანდება, ეს კი უხერხულია, თანამშრომელთა გარდა სხვა ხალხიც შემოდის.

მთელი ერთი წუთის განმავლობაში თავს ვეკითხებოდი, რატომ იყო უხერხული უცხო ხალხთან ხოლო საკუთარ ხალხთან - არა? დრო აღარ მომეცა ეტიკეტის ამ

კითხვაზე პასუხი მეპოვა, რადგან სწორედ მაშინ ფუბუკიმ ტკბილი ღიმილით დაასკვნა:

- დღეიდან, თქვენი შემწეობით, ეს უხერხულობა აღარ შეგვაწუხებს.

ფუბუკი წავიდა. ჩემი დაწინაურების ადგილას მარტო დავრჩი. გაუნძრევლად ვიდექი, გაოგნებული და ხელებჩამოყრილი. ამ დროს კარი გაიღო და ისევ ფუბუკი შემოვიდა. როგორც თეატრში ხდება ხოლმე, ყველაზე ეფექტური რეპლიკა ჰქონდა სათქმელი:

- კინაღამ დამავიწყდა: თავისთავად იგულისხმება, რომ თქვენი საქმიანობა მამაკაცთა საპირფარეშოზეც ვრცელდება.

გავიმეოროთ: თავიდან, სულ პატარას, ღმერთობა მინდოდა. მალევე მივხვდი, რომ მეტისმეტს ვითხოვდი. მაშინ პატრუქს დავუწიე და განვიზრახე, იესო გავმხდარიყავი. მაგრამ აქაც დავრწმუნდი, რომ ჩემი სურვილი გადამეტებული იყო, და იმით დავკმაყოფილდი, დიდი რომ გავიზრდებოდი, მარტვილობა „დამეწყო“.

ყმაწვილქალობაში გადავწყვიტე, მომეთოკა ჩემი მეგალომანია და რომელიმე იაპონურ ფირმაში თარჯიმნად მემუშავა. ვაი, რომ ესეც მიუწვდომელი აღმოჩნდა. ერთი საფეხურით კიდევ ჩამოვინაცვლე და მოანგარიშედ ვიქეცი. მაგრამ ჩემი ელვისებური დაცემა ვეღარაფერმა დაამუხრუჭა: „ახალი თანამდებობა მიბოძეს - სულ არაფრობა. საუბედუროდ - ამაში ეჭვის შეტანა უკვე აღარ შეიძლებოდა - ეს სულ არაფრობაც ჩემთვის მეტი გამოდგა. მაშინ ადგნენ და აქ გადმომიყვანეს, ჩემი საბოლოო თანამდებობა მიბოძეს - საპირფარეშოების დამლაგებლობა.

კაცი შეიძლება, აღტაცებაში მოიყვანოს ცხოვრების ამ ულმობელმა ტრიალმა - ღვთაებრიობიდან ტუალეტამდე. ხმის რამოდენა დიაპაზონი აქვსო, მომღერალ ქალზე იტყვიან, სოპრანოდან კონტრალტოზე რომ გადადის: თავს ნებავს ვაძლევ, ხაზი გავუსვა ჩემი ნიჭის დიაპაზონს, უფრო სწორად, ჩემი ნიჭებისას, ყველა რეგისტრში რომ შეუძლიათ სიმღერა, ღმერთისეული იქნება თუ მადამ პიპისეული.

გაოგნებამ როგორც კი გადამიარა, პირველი, რაც ვიგრძენი, გასაოცარი შვება იყო. ფეხსალაგის ხეხვასაც თავისი უპირატესობა ჰქონია, აღარ გეშინია, რომ უფრო დაბლა დაეშვები.

რაც ფუბუკის თავში დატრიალდა, ეჭვგარეშეა, ასე შეიძლება შეჯამდეს: „საპირფარეშომდე გამომდიე? ძალიან კარგი, მანდვე მოგიწევს დარჩენა“.

ჰოდა, დავრჩი კიდევაც.

ყველა, ვინც უნდა ყოფილიყო ჩემს ადგილას, სამსახურიდან წავიდოდა. ყველა, გარდა იაპონელისა. ფუბუკი ჩემი აქ დანიშვნით, ასე ვთქვათ, მაიძულებდა, ნებით წავბარგებულიყავი. მაგრამ სამსახურის მიტოვება ღირსებას შემილახავდა.

ფეხსალაგების წმენდადალაგება იაპონელის თვალში საპატიო საქმიანობა ნამდვილად არ არის, მაგრამ ღირსების დაკარგვასაც არ ნიშნავს.

ორი ბოროტებიდან უმცირესი უნდა აირჩიო. კონტრაქტზე ერთი წლით მქონდა ხელი მოწერილი. ვადა 1991 წლის 7 იანვარს მეწურებოდა. ახლა ივნისის თვე იყო. უნდა მიმეღო ეს გამოწვევა. უნდა ისევე მოვქცეულიყავი, როგორც იაპონელი მოიქცეოდა.

ამ მხრივ წესისა და რიგის მიხედვით ვიქცეოდი: უცხოელთაგან ვისაც კი სურვილი გასჩენია, იაპონიას შესისხლხორცებოდა, თავისი ღირსების საქმედ უქცევია იმპერიის წეს-ჩვეულებათა დაცვა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიმართება ორმხრივი არ არის; იაპონელები გულწრფელად აღშფოთდებიან ხოლმე, როცა სხვები მათ წესებს გვერდს უვლიან, სხვის წესს კი ისე დაარღვევენ, ძარღვი არ შეუტოკდებათ.

ვერ ვიტყვი, რომ გაცნობიერებული არ მქონდა მათი ეს უსამართლობა, მაგრამ მათ წესებს მაინც განუხრელად ვასრულებდი. ჩვენი ყველაზე ამოუცნობი ქცევები ხშირად სიყმაწვილის დროინდელი მძაფრი შთაბეჭდილებებით არის განპირობებული, მათი ნირუცვლელობით. ჩემეულმა იაპონურმა სამყარომ, ჯერ კიდევ ბავშვისეულმა, იმთავითვე ისე შემძრა თავისი სილამაზით, რომ დღემდე იმ ემოციური მარაგით ვსულდგმულობდი. ახლა კი ჩემ წინაშე ამაზრზენი, შემაძრწუნებელი სისტემა გაშიშვლებულიყო, რომელიც სწორედ იმას უარყოფდა, რაც ოდითგან მიყვარდა; რა ღირებულებებსაც, სხვათა შორის, ისევ ისე ვერთგულებდი, მიუხედავად იმისა, რომ მათი რწმენა უკვე დაკარგული მქონდა.

ღირსება არ შემილახავს. შვიდი თვის განმავლობაში „იუმიმოტოს“ კომპანიის საპირფარეშოთა პოსტზე ვიდექი.

მაშ ასე: ჩემი ახალი ცხოვრება დაიწყო. რა უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს, სრული დაცემის განცდა არ მქონია. ეს ხელობა მოანგარიშეობაზე საშინელი ნამდვილად არ იყო. არჩევანი რომ მოეცათ, გაუთავებელი სამუშაო დღის განმავლობაში კალკულატორზე სულ უფრო გიჟური და გიჟური რიცხვების აკრეფა თუ სანაგვიდან ტუალეტის ქაღალდის ამოკრეფა, წამით არ შევყოყმანდებოდი.

რა მოვალეობაც ახლა დამეკისრა, ჩემს ძალასა და უნარს ნამდვილად არ აღემტებოდა. ჩემი ჩლუნგი გონებისათვის სავსებით მისაწვდომი იყო იმ პრობლემათა არსი, რომლებსაც მას უყენებდნენ. აღარც იმის მოძიება მჭირდებოდა, რა კურსი ჰქონდა მარკას ცხრამეტი მარტისათვის, რათა სასტუმროს ნომრის ფაქტურა იენებში გადამეყვანა; აღარც ჩემგან მიღებული შედეგების შედარება რომელიმე თანამშრომლის მიერ მიღებულ შედეგებთან; აღარც იმაზე ფიქრი, რატომ გამოუვიდა იმ ადამიანს 23254, მე კი 499212. ნაგავი დაგროვდებოდა - უნდა გამეტანა. ქაღალდი გათავდებოდა - ახალი უნდა გამომეტანა.

სანიტარული ჰიგიენა გონებრივი ჰიგიენის გარეშე არ არსებობს. მათ, ვინც არასაკადრის საქმედ ჩამითვლის, ამ უხამს გადაწყვეტილებას რომ დავემორჩილე, თავს ვალდებულად ვთვლი, მოვახსენო: შვიდი თვის განმავლობაში წამით არ გამჩენია იმის შეგრძნება, რომ დამცირებული ვიყავი.

როგორც კი ეს არსმენილი თანამდებობა ჩავიბარე, არსებობის სხვა განზომილებაში გადავედი: წმინდა და აუმღვრეველი დამცინაობის სამყაროში გადავინაცვლე. ვფიქრობ, რომ ჩემი რეფლექსების აქტიურობით მე იგი შევარყიე: აქ გასატარებელი შვიდი თვის გადასატანად უნდა შემეცვალა ჩემი მიმართებანი, თავდაყირა უნდა დამეყენებინა, რასაც აქამდე ორიენტირებად ვთვლიდი.

ჩემი იმუნური თვისებების წყალობით, ეს შემობრუნება ძალიან სწრაფად მოხდა. ტვინში იმავე წამიდან მაცოცხლებელი პროცესი დაიწყო: ჭუჭყიანი სუფთად გარდაისახა, სამარცხვინო - სასახელოდ, ჯალათი - მსხვერპლად, სიბილწე - კომიკურობად.

ამ ბოლო სიტყვას დაჟინებით ვუსვამ ხაზს: აქაუ რობა ის ადგილი იყო - ამის თქმა ახლავეა საჭირო - სადაც ჩემი ცხოვრების ყველაზე უცნაური მონაკვეთი გავატარე, თუმცა კი ამგვარი პერიოდები ცხოვრებაში სხვაც მქონია. დილდილაობით, როცა მეტროს „იუმიმოტოს“ შენობისაკენ მივყავდი, სიცილს ძლივს ვიკავებდი იმის გახსენებაზე, რაც იქ მელოდებოდა; და როცა ჩემი ღვთისმსახურების ადგილას დავევანებოდი, მთელი ნებისყოფის მოკრება მჭირდებოდა, რომ გიჟური ხარხარისაგან თავი შემეკავებინა.

კომპანიაში მომუშავე ას მამაკაცზე ხუთი ქალი მოდიოდა. მათგან ზემდგომის სტატუსს მხოლოდ ფუბუკიმ მიაღწია. დანარჩენი სამნი სხვა სართულებზე მუშაობდნენ: მე მხოლოდ ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშოთა რწმუნებებით ვიყავი აღჭურვილი, ანუ ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშო ჩემი და ჩემი უფროსის სრული სამკვიდრო იყო.

სხვათა შორის, ჩემი გეოგრაფიული შემოფარგვლა მხოლოდ ორმოცდამეოთხე სართულით თვალნათლივ ამტკიცებდა - თუ ამას კიდევ მტკიცება სჭირდებოდა - რომ ჩემი თანამდებობა ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. ის, რასაც სამხედროები ასე მოხდენილად „მოსაქმების ნაკვალევს“ უწოდებენ, აქ შემომსვლელთათვის ისეთი შემაწუხებელიც არ უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ მართლა იყო, მაშინ არ მესმის, ორმოცდამესამე და ორმოცდამეხუთე სართულებზე რატომ არავის აწუხებდა.

ამ არგუმენტებისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. ისინი კიდევაც რომ გამომეყენებინა, უეჭველად ასე მეტყოდნენ: „თქვენი დაკვირვება ზუსტია. ამიერიდან სხვა საპირფარეშოებიც თქვენს იურისდიქციაში გადმოვა“. ჩემი ამბიციებისათვის კი ორმოცდამეოთხე სართულიც კმაროდა.

ღირებულებები ყირამალა დავაყენე-მეთქი, მართალი იყო. ფუბუკი მართლა დამცირდა, ცხადად და ნამდვილად. გასაგებია, რა ახსნასაც უპოვიდა: ჩემი უმოქმედობის ძალამ თავი გამოავლინა. მას კი ეგონა, რომ დაუყონებლივ გავიქცეოდი. კარგი ოინი ვუყავი, რომ დავრჩი. ჩემი დამცირება ცხვირში უკანვე მივახალე.

რასაკვირველია, მისი დამარცხება სიტყვით არასოდეს გამოხატულა, მაგრამ უსიტყვოდაც მისახვედრი იყო. სხვათა შორის, არც მაგის დამადასტურებელი საბუთები მაკლდა.

ერთხელაც, მამაკაცთა საპირფარეშოში თავად ბატონ ჰანედას შევეჩეხე. ამ შეხვედრამ ორივეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩემზე იმიტომ, რომ ძნელია, ღმერთი ასეთ ადგილას წარმოიდგინო. მასზე კი უთუოდ იმიტომ, რომ ჩემი დაწინაურების ამბავი ჯერ არ სმენოდა.

პირველ წამს გაეღიმა, ეგონა, მამაკაცების საპირფარეშოში ჩემმა საქვეყნოდ ცნობილმა დაბნეულობამ მომახვედრა. ღიმილი პირზე შეაშრა, როცა ნახა, როგორ გამოვცვალე ქსოვილის რულონი, რომელიც აღარც სუფთა იყო და აღარც მშრალი. მიხვდა, რაც მომხდარიყო, და თვალი ვერ გამისწორა. აშკარად შეწუხებული ჩანდა.

წამით არ გამჩენია იმის მოლოდინი, რომ ეს შემთხვევა ჩემს ბედ-იღბალს რითიმე შეცვლიდა. ბატონი ჰანედა ძალიან კარგი პრეზიდენტი იყო და თავისი ქვეშევრდომის ბრძანებას არ გააუქმებდა, მით უმეტეს, თუ ეს ბრძანება მისი დაწესებულების ერთადერთმა ხელმძღვანელმა ქალმა გასცა. მაგრამ ის კი აშკარად ჭკუასთან ახლოს იყო, რომ ფუბუკის, როგორც ჩანს, ჩემი საქმის გამო ახსნა-განმარტების მიცემა მოუხდა.

მართლაც, მეორე დღეს, ქალთა საპირფარეშოში შემოსულმა დაყენებული ხმით ოფიციალურად გამომიცხადა:

- თუ საჩივლელი გაქვთ რაიმე, მე მომმართეთ.

- მე არავისთან არ მიჩივლია.

- მშვენივრად იცით, რაზედაც გეუბნებით.

ნამდვილად არ ვიცოდი, მით უმეტეს, მშვენივრად. როგორ დამერწმუნებინა, რომ ჩივილს არ ვაპირებდი? პრეზიდენტის დანახვისთანავე კისრისტეხით უნდა გავვარდნილიყავი კაცთა საპირფარეშოდან, აქაო და, შეცდომით შემოვედი-მეთქი?

არადა, ასეც და ისეც ფუბუკის სიტყვებით აღფრთოვანებული დავრჩი: „თუ საჩივლელი გაქვთ რამე...“ განსაკუთრებით ეს „თუ“ მომეწონა, ივარაუდებოდა, რომ საჩივლელი არაფერი მქონდა.

იერარქიული პრინციპის მიხედვით, ორად ორი პიროვნება იყო უფლებამოსილი, აქედან გამოვეხსენი: ბატონი ომოჩი და ბატონი საიტო.

ვიცე-პრეზიდენტი ჩემი ბედით შეწუხებული ნამდვილად ვერ იქნებოდა. ის კი არა, ძალიანაც ხალისობდა ჩემი ახალი თანამდებობით. როცა კი საპირფარეშოში დამინახავდა, მხიარულად მომაძახებდა:

- კარგია, ჰა, ხომ კარგია, პოსტი რომ გაბარიათ?

ამ სიტყვებს ყოველგვარი ირონიის გარეშე ამბობდა. ეტყობოდა, მართლა დარწმუნებული იყო, რომ ჩემი ეს საქმიანობა ჩემს სასარგებლოდ დაგვირგვინდებოდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ შრომით მიიღწევა. თუ ჩემისთანა უმაქნისი არსება, ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებაში თავის ადგილს დაიმკვიდრებდა, დიახაც, მისასალმებელ საქმედ ჩაითვლებოდა. თან, როგორც ჩანდა, გულიც დაუწყნარდა, ხელფასს არაფრის კეთებაში რომ აღარ მიხდიდა. დამამცირებელ საქმეს აკეთებინებთო, ვინმეს რომ შეებედა, ის ალბათ წამოიძახებდა:

- რას მელაპარაკებით! ღირსება ელახება? თავი ბედნიერად ჩათვალოს, ჩვენთვის რომ ირჯება!

ბატონი საიტო სულ სხვაგვარად იქცეოდა: აშკარად ჩანდა, რომ ძალზე აწუხებდა ეს ამბავი. თან ფუბუკის შიშითაც კანკალებდა: ფუბუკის ძალა და ავტორიტეტი ბევრად აღემატებოდა მისას, ამიტომ ვერაფერი გააბედვინებდა ამ საქმეში ჩარევას.

როცა კი საპირფარეშოში შემხვდებოდა, გაცრეცილ სახეზე სპაზმი დაუვლიდა ხოლმე. ჩემმა უფროსმა მართალი მითხრა, ნამდვილად კეთილი კაცი იყო. კეთილი, მაგრამ მხდალი.

ყველაზე მძიმე მაინც საყვარელ ბატონ ტენშისთან შეხვედრა გამოდგა: ჩემი აქ დანახვისთანავე სახე შეეცვალა. პირველი გაოგნების შემდეგ მთლად ნარინჯისფერი გახდა და ძლივს ამოილუღლუღა:

- ამელი-სან...

ვეღარ გააგრძელა, მიხვდა, რომ მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი. ამის შემდეგ ძალზე უცნაურად მოიქცა: ისე გავიდა, რაც შესასრულებელი ჰქონდა, არ შეუსრულებია. ვერ მივხვდი, მოთხოვნილება გაუქრა თუ სხვა სართულის საპირფარეშოს მიაშურა. დამანახა, რომ ამჯერადაც ყველაზე ღირსეული გამოსავალი იპოვა: ჩემი ხვედრით გამოწვეული აღშფოთება იმით გამოხატა, რომ ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშოს ბოიკოტი გამოუცხადა; იმ დღიდან იქ აღარ დამინახავს. რა ანგელოზური ბუნებისაც უნდა ყოფილიყო, უხორცო ვერ იქნებოდა.

მალე იმასაც მივხვდი, რომ გარშემო მყოფთა შორი საც კეთილი სიტყვა დააგდო. რძის ნაწარმის განყოფილებამ ჩემს მღვიმეში სიარული შეწყვიტა. თანდათანობით ისიც

შევამჩნიე, რომ მამაკაცთა საპირფარეშოზე სხვა განყოფილების თანამშრომლებმაც გული აიყარეს.

ღმერთმა დალოცოს ბატონი ტენში! გარდა ამისა, ეს ბოიკოტი „იუმიმოტოს“ კომპანიის მიმართ ჭეშმარიტ შურისძიებასაც შეიცავდა. თანამშრომლებს, რომლებიც ორმოცდამესამე სართულის საპირფარეშოში ჩადიოდნენ, ლიფტის ცდაში დრო ეკარგებოდათ. ეს დრო კი „იუმიმოტოს“ კომპანიას აკლდებოდა. იაპონიაში ამას საბოტაჟს ეძახიან და ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დანაშაულად ითვლება. ეს დანაშაული იმდენად ამაზრზენია, რომ მის აღსანიშნავად ფრანგულ სიტყვას იყენებენ, რადგან უცხოელი უნდა იყო, რომ ამგვარი სიმდაბლე წარმოიდგინო.

ასეთმა სოლიდარობამ გული ამიჩუყა და ჩემს ფილოლოგიურ გატაცებას ფრთა შეასხა: თუ სიტყვა „ბოიკოტი“ მართლა ირლანდიელი მეპატრონის გვარიდან - Boycott-იდან მოდის, მაშინ ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი გვარის ეტიმოლოგია ერთგვარ მინიშნებებსაც შეიცავს - „boy“ ანუ „ბიჭი“. აკი ჩემი სამფლობელოს ბლოკადა მხოლოდ მამაკაცებმა მოაწყვეს. „girlcott“-ი არ მოწყობილა. პირიქით, ფუბუკი სულ მეტი და მეტი გაშმაგებით აკითხავდა ტუალეტს. კბილების გამოსახეხად დღეში ორჯერაც შემოდიოდა: მისმა მძულვარებამ მისი პირის ღრუს ჰიგიენა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ისეთი გამწარებული იყო სამსახურში ჩემი დარჩენით, რომ ყოველგვარ საბაბს იყენებდა, ოღონდ კი საპირფარეშოში შემოსულიყო ჩემთვის ნიშნის მოსაგებად.

მისი ეს წრიალი მშვენივრად მართობდა. ეგონა, მაღიზიანებდა, მე კი, პირიქით, აღტაცებული ვიყავი, რომ ყოველდღიურად უამრავი შემთხვევა მეძლეოდა, დავმტკბარიყავი მისი მძვინვარე სილამაზით, მხოლოდ ჩვენთვის განკუთვნილ საქალებოში. არც ერთი ბუდუარი ისეთი მყუდრო არ იყო, როგორც ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშო: როცა კი კარი გაიღებოდა, მე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჩემი უფროსი შემოდიოდა, რადგან დანარჩენი სამი ქალი ორმოცდამესამე სართულზე მუშაობდა. ამრიგად, ეს იყო რასინისეული დახურული სივრცე, სადაც ტრაგედიის ორი პერსონაჟი, ვნებით ატანილი ორი ქალი, დღეში რამდენჯერმე ხვდება ერთმანეთს, რომ გააფთრებული შეჯახებით დრამის მდინარებაში ახალ-ახალი ეპიზოდები ჩაწეროს.

ორმოცდამეოთხე სართულის მამაკაცთა საპირფარეშოს დაცარიელება ნელ-ნელა თვალში საცემი გახდა. ორი თუ სამი გაოგნებული მამაკაცი თუ შემოვიდოდა, და კიდევ - ვიცე-პრეზიდენტი. ვფიქრობ, ამ ვითარებით შეფიქრიანებულმა, სწორედ მან გააფრთხილა ხელმძღვანელობა.

მესვეურთათვის ეს, როგორც ჩანს, ტაქტიკური პრობლემა იყო: მართალია, ყოველნაირი ბრძანების გაცემა შეეძლოთ, მაგრამ მაინც ვერანაირად ვერ უბრძანებდნენ თანამშრომლებს, მაინცდამაინც თავიანთ სართულზევე

მოესაქმებინათ და არა ქვემო სართულზე. არადა, საბოტაჟსაც ხომ ვერ შეიწყნარებდნენ. მაშასადამე, უნდა ემოქმედათ. მაგრამ როგორ?

ცხადია, ამ უმსგავსობაზე პასუხი მე დამეკისრა. საქალებოში ფუბუკი შემოვიდა და საზარელი ხმით მითხრა:

- ასე გაგრძელება შეუძლებელია. ირგვლივ სულ უფრო და უფრო უხერხულ ვითარებას ქმნით.

- კიდევ რა ჩავიდინე?

- თავადაც კარგად იცით.

- გეფიცებით, არ ვიცი.

- ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ მამაკაცები ვეღარ ბედავენ ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშოში შესვლას? ისინი ხომ დროს კარგავენ სართულ-სართულ სიარულში. თქვენი აქ ყოფნა მათ დაბრკოლებებს უქმნის.

- მესმის, მაგრამ მე ხომ ჩემი ნებით არ ამირჩევია აქ ყოფნა. ეს თქვენც კარგად იცით.

- თავხედო! ღირსეულად რომ შეგძლებოდათ მოქცევა, არაფერი ამგვარი აქ არ მოხდებოდა.

წარბები შევიჭმუხნე.

- არ მესმის, რა შუაშია აქ ღირსება?

- თუ ისევე უყურებთ პირსაბანთან მდგომ მამაკაცებს, როგორც მე მომჩერებიხართ, მათი გადაწყვეტილება სულ ადვილი ასახსნელია.

მე გადავიხარხარე.

- დამშვიდდით. მე მათ საერთოდ არ ვუყურებ.

- მაშინ თავს უხერხულად რატომ გრძობენ?

- ეს ხომ სავსებით ნორმალურია. ქალის აქ ყოფნა საკმარისია, რომ თავი უხერხულად იგრძნონ.

- მერედა, დასკვნები რატომ არ გამოგაქვთ?

- რა დასკვნები გნებავთ, გამოვიტანო?

- აქ ნუ გაჩერდებით.

სახე გამინათდა.

- მაშ, მამაკაცთა საპირფარეშოები აღარ მეხება?

ოჰ, რა მადლობელი ვარ!

- მე ეს არ მითქვამს.

- მაშინ, არ მესმის, რას მთხოვთ.

- მამაკაცი როგორც კი შემოვა, თქვენ გამოდიხართ.

დაელოდებით მის წასვლას და მერე ისევ შედიხართ.

- თანახმა ვარ. მაგრამ როცა ქალთა საპირფარეშოს ვალაგებ, საიდან უნდა მივხვდე, არის თუ არა მამაკაცთა საპირფარეშოში ვინმე? მაგრამ თუკი...

- რა?

ყოვლად სულელური და გულუბრყვილო იერი მივიღე და ასე მივმართე:

- ერთი აზრი მომივიდა! მამაკაცთა საპირფარეშოში კამერა უნდა დაიდგას, აქ კი ეკრანი უნდა გაკეთდეს. ჰოდა, ყოველთვის მეცოდინება, როდის შემეძლება, შევიდე!

ფუბუკიმ გაოცებით შემომხედა.

- კამერა მამაკაცთა საპირფარეშოში?

- თუ მამაკაცებს არაფერი ეცოდინებათ... - განვაგრძე მიამიტური ღიმილით.

- გაჩუმდით! თქვენ ჭკუათმყოფელი არა ხართ!

- ალბათ. წარმოიდგინეთ, ეს ადგილი ვინმე ჭკუათმყოფელისთვის რომ მიგეცათ!

- რა უფლებით მეპასუხებით!

- რას ვკარგავ? მეტად ხომ ვეღარ დამაქვეითებთ. აქ კი ზედმეტი მომივიდა. მეგონა, გული უმტყუნებდა.

ალესილი მზერა შემომაგება.

- გაფრთხილდით! არ იცით, კიდევ რა შეიძლება დაგემართოთ.

- მითხარით.

- ყურადღება არ უნდა მოადუნოთ. როგორც კი მამაკაცების საპირფარეშოში ვინმე გამოჩნდება, თქვენ უნდა გაქრეთ.

ფუბუკი გავიდა. თავს ვეკითხებოდი, მართლა ამისრულებს მუქარას თუ მხოლოდ მაშინებს-მეთქი.

რა თქმა უნდა, ახალ ბრძანებას დავემორჩილე და ცოტა ამოვისუნთქე; უფრო იშვიათად მიხდებოდა იქ ყოფნა, სადაც ორი თვის განმავლობაში ერთობ

შემაღონებელი პრივილეგია მქონდა, დაკვირვება მომეხდინა მამრობითი სქესის იაპონელებზე და აღმომეჩინა, რომ ისინი სრულებით არ გამოირჩევიან განსაკუთრებული სიფაქიზით. მაშინ, როცა იაპონელი ქალები შიშით კვდებიან, უმცირესი ჩქამიც არ გამოსცენ, მამაკაცები მაგ საქმეს არანაირად არ ერიდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცთა საპირფარეშოში იშვიათადღა შევდიოდი, მაინც არ გამომპარვია, რომ რძის ნაწარმის განყოფილებას ორმოცდამეოთხე სართულზე მოსაქმების ჩვევა არ განუახლებია. თავიანთი უფროსის გავლენით ბოიკოტი გრძელდებოდა. მადლი მიეგოს ამისათვის ბატონ ტენშის.

ჭეშმარიტად, ჩემი აქ დანიშვნის შემდეგ საპირფარეშოში შესვლა პოლიტიკურ საქმედ იქცა.

ყველა მამაკაცი, ვინც ჯერ კიდევ ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშოში დადიოდა, ასე ფიქრობდა: „მთლიანად ვემორჩილები ხელმძღვანელობას, ჩემთვის სულერთია, რამდენად დამცირდებიან უცხოელები. „იუმიმოტოში“ მათი ადგილი არ არის“.

ხოლო ვინც არ ცნობდა ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშოს, შემდეგ თვალსაზრისს გამოხატავდა: „უფროსების პატივისცემა ხელს არ მიშლის, შევინარჩუნო კრიტიკული დამოკიდებულება ზოგიერთი მათი გადაწყვეტილების მიმართ. მეორე მხრივ, ვფიქრობ, რომ „იუმიმოტო“ მოგებული დარჩებოდა, თუ ზოგიერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უცხოელებსაც დანიშნავდა, იქ, სადაც მათ ჩვენთვის სარგებლობის მოტანა შეუძლიათ“.

ასეთი დიდმნიშვნელოვანი იდეოლოგიური დებატების ასპარეზი ფეხსალაგი არასოდეს ყოფილა.

ყოველ არსებას ცხოვრებაში საშინელი ტრავმა განუცდია, რომელიც მის ცხოვრებას წინარე და შემდგომ პერიოდებად ყოფს. ამ დღის ბუნდოვანი გახსენებაც კი საკმარისია, რომ ადამიანი მოიცვას შეუცნობელმა, ცხოველურმა და უკურნებელმა შიშმა, რომელსაც ვერა და ვერ მოიცილებ...

კომპანიის ქალთა საპირფარეშოები მშვენიერი რამ იყო, რადგან შემინული ღიობიდან თვალისმომჭრელი სინათლე შემოდიოდა. მინის ამ კედელმა ჩემს სამყაროში უზარმაზარი ადგილი დაიკავა: შუშასთან მიმდგარი, ზედ შუბლმიყრდნობილი, საათობით ვეშვებოდი სიცარიელეში. ვხედავდი, როგორ ვარდებოდა ძირს ჩემი სხეული და ეს ვარდნა სრულიად არაწარმოსახვით თავბრუს მახვევდა. სწორედ ამ მიზეზით ვამტკიცებ, რომ ჩემს პოსტზე არასოდეს, არც ერთი წუთით, არ მომიწყენია.

* * *

ერთხელ, სწორედ იმ დროს, წარმოსახვით ძირს რომ მივფრინავდი, ახალმა დრამამ იფეთქა. გავიგონე, ჩემ უკან კარი როგორ გაიღო; ფუბუკის გარდა ვინ უნდა ყოფილიყო, არადა, ჩემი მწვალებელი კარს ხანმოკლე და მკვეთრი ხმაურით აღებდა. ახლა კი კარი თითქოს შემოლეწეს. ხოლო ნაბიჯები, რომელიც ამ ხმაურს მოჰყვა, მაშიების პაკაპუკი კი არ იყო, არამედ მძიმე და გაჩქარებული ლაჯალუჯი ახურებული იეტისა.

ყოველივე თვალის დახამხამებაში მოხდა, ძლივს მო ვასწარი მოტრიალება და იმის დანახვა, როგორ დამეძგერა ხორცის უზარმაზარი მასა, რომელიც ჩვენი ვიცეპრეზიდენტი გამოდგა.

პირველი გაოგნების შემდეგ კი („ღმერთო! მამაკაცი - თუ ეს ქონის მასა მამაკაცია - ქალთა საპირფარეშოში!“) უსასრულო პანიკამ მომიცვა.

ისე მეცა, როგორც კინგ-კონგი იპყრობს ქერა მზეთუნახავს, და სადღაც წამაფრიალა. ტიკინასავით ვიყავი მის მკლავებში. შიში გამიასკეცდა, როცა დავინახე, რომ მამაკაცების საპირფარეშოში მიმაქანებდა.

თავში ფუბუკის მუქარამ გამიელვა: „თქვენ რა იცით, კიდევ რა შეიძლება, დაგემართოთ!“ თურმე არ მატყუებდა. ცოდვებმა მიწია. გული გამიჩერდა. ჩემი გონება ანდერძის წერას შეუდგა.

მახსოვს, გავიფიქრე: „გაგაუპატიურებს და მოგკლავს, ჰო, მაგრამ რა თანმიმდევრობით? ნეტავი ჯერ მომკლას!“

ონკანთან ვიღაც მამაკაცი იდგა და ხელს იბანდა. ვაი, რომ მესამის იქ ყოფნამ ვერ შეაცვლევინა მიზნები ბატონ ომოჩის. კაბინის კარი შეაღო და შიგ შემაგდო. „დადგა შენი აღსასრული!“

უცებ კონვულსიურად აღრიალდა, სამ მარცვალს იმეორებდა. თავზარდაცემული ვერ მივხვდი, რას ღრიალებდა. კამიკაძის საბრძოლო ძახილი მეგონა, ოღონდ ისეთი, მხოლოდ და მხოლოდ სექსუალური ძალადობის დროს რომ ყვირიან.

გაშმაგების მწვერვალზე მყოფი, ისევ და ისევ ამ სამ ბგერას გაჰყვიროდა. უცებ გონება გამინათდა და მივხვდი, მუცლიდან ამოსული ეს ბუყბუყი რასაც ნიშნავდა:

- No pêpâ! no pêpâ!

ანუ ამერიკულ-იაპონურად:

- No paper! no paper!

ვიცე-პრეზიდენტმა ამგვარი დელიკატური ფორმა აირჩია იმის სათქმელად, რომ მამაკაცთა საპირფარეშოში ქაღალდი გათავებულიყო.

ფეხებმოკვეთილი წავლასლასდი განჯინისაკენ, რომლის გასაღებიც მე მებარა. უკანაც ისეთივე ლასლასით გამოვეჩქარე, ხელებში რულონებჩაბღუჯული: როცა ნახა, როგორ დავაწყვე ისინი, კიდევ რაღაცა დამიღრიალა, რაც კომპლიმენტი არ უნდა ყოფილიყო, მერე გარეთ გამომისროლა და ქაღალდით აღჭურვილი კაბინაში განმარტოვდა.

ცოცხალმკვდარი შევედი ქალთა საპირფარეშოში, კუთხეში მივჯექი და ანალფაბეტური ცრემლებით ავტირდი. ფუბუკის, ვითომ შემთხვევით, სწორედ ეს მომენტი შეერჩია, კბილების გასახეხად შემოსულიყო. სარკეში დავინახე, პირი აქაფებული პასტით გამოევსო და მე მიყურებდა. ჩემმა ქვითინმა თვალები გაუბრწყინა.

მთელ ერთ წამს ისე მძულდა, მისი სიკვდილი ვინატრე. უცებ თავში ლათინური სიტყვა წამომიტივტივდა, მის გვარს რომ ასე ზუსტად ემთხვეოდა და კინაღამ სახეში შევყვირე: „მემენტო მორი!“

ექვსი წლის წინ ძალიან მომწონდა ერთი იაპონური ფილმი - „ფურიო“, ინგლისურად „Merry Christmas, mister Lawrence“ ერქვა. მოქმედება 1944 წელს ხდებოდა, „წყნარი ოკეანის ომის“ დროს. ბრიტანელი ჯარისკაცების ერთი ჯგუფი იაპონელებმა ტყვედ ჩაიგდეს და სამხედრო ბანაკში მოათავსეს. ინგლისელ ჯარისკაცსა (დევიდ ბოვი) და იაპონელ მეთაურს (რიუიჩი საკამიტო) ისეთი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ, ზოგიერთი სასკოლო სახელმძღვანელო „პარადოქსულს“ რომ უწოდებს.

მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და, ალბათ ამის გამოც, ოშიმას ფილმმა ჩემზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდიან, მეტადრე ამ ორი გმირის კუშტი დაპირისპირების სცენებმა. ამბავი იმით დასრულა, რომ იაპონელმა ინგლისელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ამ მხატვრული ფილმის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდი სულ ბოლოში იყო, როცა იაპონელი თავის ნახევრად მკვდარ მსხვერპლს უყურებს. საწამებლად მისი ყელამდე მიწაში ჩაფლვა აირჩია. მიწის ზემოთ დატოვებულ თავს შუადღის მზე აცხუნებდა. ეს მახვილგონივრული სასჯელი მსხვერპლს ერთდროულად სამი საშუალებით კლავდა: წყურვილით, შიმშილითა და მზის დაკვრით.

ამგვარი არჩევანი მით უფრო ზუსტად მიგნებული აღმოჩნდა, რომ ქერათმიანი ბრიტანელის კანმა შებრაწვის შესანიშნავი უნარი გამოავლინა. როცა ღირსებით სავსე და უდრეკი მეთაური თავისი „პარადოქსული ურთიერთობის“ საგანთან მივიდოდა ხოლმე და დაიხრებოდა, მომაკვდავის სახეს მოხრაკული როსტბიფის ფერი ედო, თან

შავიც რომ დაჰკრავს. მე მაშინ თექვსმეტისა ვიყავი და ასეთი სიკვდილი სიყვარულის ულამაზეს მტკიცებად მეჩვენებოდა.

ამ ამბავსა და „იუმიმოტოს“ კომპანიაში ჩემს მარტვილობას შორის ბევრ მსგავსებას ვხედავდი. ცხადია, სასჯელი, რომელსაც მე ვიტანდი, სრულიად განსხვავებული იყო. მაგრამ მე მაინც იაპონელთა ბანაკში მოხვედრილი ტყვე ვიყავი და ჩემი ჯალათის სილამაზე რიუიჩი საკამიტოს სილამაზეს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ერთ დღესაც, როცა ფუბუკი ხელებს იბანდა, ვკითხე, ნანახი თუ ჰქონდა ეს ფილმი. მან თავი დამიქნია. ეტყობა, გაბედულების დღე მედგა, საუბარი განვაგრძე:

- მოგეწონათ?

- მუსიკა მომეწონა. ამბავი, სამწუხაროდ, არარეალურია.

(ფუბუკი სოფთ-რევიზიონიზმის[9] მიმდევარი იყო, თავადაც რომ არ იცოდა, ისე. ამომავალი მზის ქვეყანაში ეს ბევრ ახალგაზრდას ემართება. რაც შეეხება ბოლო ომს, მის თანამემამულეებს საკუთარი თავის მიმართ არაფერი ჰქონდათ სასაყვედურო, ხოლო მათ შეჭრას აზიაში ადგილობრივი მოსახლეობის ნაცისტებისაგან დაცვის მიზნით ამართლებდნენ; მაგრამ ჩემი მდგომარეობა კამათის საშუალებას არ მაძლევდა).

- ვფიქრობ, ამ ფილმში მეტაფორა უნდა დავინახოთ, - ამის თქმით დავკმაყოფილდი.

- რის მეტაფორა?

- სხვებთან ურთიერთობისა. მაგალითად, ურთიერთობისა, თქვენსა და ჩემ შორის რომ არის.

მან შეცბუნებულმა შემომხედა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თავის თავს ეკითხებოდა ამ გონებაჩლუნგმა კიდევ რა გამოატყვრინაო.

- დიახ, - განვაგრძე მე, - თქვენსა და ჩემ შორის იგივე განსხვავებაა, რაც რიუიჩი საკამიტოსა და დევიდ ბოვის შორის, რაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. გარეგან კონფლიქტებს იქით ამგვარივე ორმხრივი ცნობისმოყვარეობაა, ამგვარივე გაუგებრობანი, ურთიერთშეცნობის ნამდვილ სურვილს რომ მალავენ.

ვცდილობდი, ჩემი თავმოდრეკილება, სულ ცოტა, ასკეტური მაინც ყოფილიყო, მაგრამ თავადვე მივხვდი, ზღვარს რომ გადავაბიჯე.

- არა, - თქვა კუშტად ჩემმა უფროსმა.

- რატომ?

მაინც რა პასუხს გამცემდა? არჩევანი დიდი იყო: „თქვენ მიმართ ცნობისმოყვარეობის ნატამალი არ გამაჩნია“, „არავითარი სურვილი არა მაქვს, ერთმანეთს გავუგოთ“,

ანდა: „რამოდენა კადნიერებაა, სად - თქვენი და სად - ტყვე მეომრის ბედი!“ ან კიდევ: „მაგ ორი პერსონაჟის ურთიერთობაში ბევრი რამ ერთობ დამაეჭვებელია. ეგღა მაკლია, მაგისთანები დავიბრალო!“

მაგრამ არა. ფუბუკი ერთობ ენამოქნილი იყო. თავაზიანი პასუხით დაკმაყოფილდა, სრულიად ნეიტრალური ხმა ჰქონდა, მაგრამ თავაზიანობის შიგნით უფრო მწვავე ნესტარი იმალებოდა.

- გამიჭირდება, დევიდ ბოვის შეგადაროთ.

უნდა ვაღიარო, რომ ის მართალი იყო.

რაც ამ ახალ პოსტზე გადმომიყვანეს, იშვიათად თუ დავილაპარაკებდი ხოლმე. არა, აკრძალული კი არ იყო, რაღაც დაუწერელი კანონი მოქმედებდა. უცნაურია, მაგრამ როცა ასეთ არც თუ ბრწყინვალე საქმეს გაკეთებინებენ, ერთადერთი, რაც ღირსებას შეგანარჩუნებინებს, უნდა გაჩუმდე.

მართლაც, საპირფარეშოების დამლაგებელი თუ ბევრს ლაყბობს, ადვილად იფიქრებენ, რომ თავს ჩინებულად გრძნობს ამ სამუშაოზე; რომ ეს მართლა მისი ადგილია და ისე მოსწონს აქაურობა, ერთი სული აქვს, იტიკტიკოს.

ხოლო, თუ ჩუმად არის, მაშასადამე, თავისი სამუშაო მონაზვნურ თვითგვემად მიაჩნია. დუმილში გამოკეტილი, იგი კისრულობს კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველის მისიას. ბერნანოსი ამბობს, რომ ბოროტება ბანალურობით გვთრგუნავს. საპირფარეშოთა დამლაგებელმა იცის ბანალურობა ფეკალური მასისა, რომლის გულისამრევი სხვადასხვაგვარობა მუდამ ერთნაირია.

მისი სიჩუმე მის თავმოდრეკილებაზე მეტყველებს. იგი ფეხსალაგთა სავანის მონაზონია, ჭეშმარიტი კარმელიტი.

ჰოდა, მეც ცოტას ვლაპარაკობდი და მეტს ვფიქრობდი. ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩემდა სამწუხაროდ, დევიდ ბოვის, მართალია, არაფრით ვგავდი, მაგრამ მაინც მიმაჩნდა, რომ მისი გმირის თავგადასავალსა და ჩემს თავგადასავალს შორის სიტუაციური ნათესაობა იყო. ხოლო ფუბუკიმ რაკი, ბოლოს და ბოლოს, ეს მყრალი პოსტი ჩამაბარა, ჩანდა, მთლად გარკვეულად არც თვითონ იცოდა, ჩემდამი რა გრძნობა ჰქონდა.

მას, ჩემ გარდა, კიდევ სხვა ხელქვეითები ჰყავდა. თან ერთადერთიც არ ვიყავი, ვინც მას სძულდა ან ეზიზღებოდა. შეეძლო, ჩემ ნაცვლად ვინმე სხვა ეწამებინა. მაგრამ ასე სასტიკად მხოლოდ მე მეპყრობოდა. ეტყობა, ეს პრივილეგია იყო.

თავი დავირწმუნე, რომ მისი რჩეული ვიყავი.

ამ ფურცლებმა შეიძლება კაცს აფიქრებინოს, რომ „იუმიმოტოს“ გარეთ არანაირი ცხოვრება არ მქონდა. ეს სწორი არ იქნება. ჩემი კომპანიის გარე ცხოვრება არც ცარიელი იყო და არც უმნიშვნელო.

მაინც გადავწყვიტე, აქ ამაზე არ ვილაპარაკო. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ უადგილო იქნება; მეორეც, იმის გამო, რომ ჩემი პირადი ცხოვრება სამუშაო განრიგის წყალობით, დროში უკიდურესად შეზღუდული იყო.

არადა, მთავარი მიზეზი მაინც შიზოფრენიული ხასიათისაა: სანამ „იუმიმოტოს“ ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშოებში ჩემს მოვალეობას ვასრულებდი და თანამშრომელთა სიბინძურის ნაკვალევს ვხეხავდი, ფიქრადაც არ მომდიოდა, რომ ამ შენობის მიღმა, მეტროს თერთმეტი გაჩერების იქით, არსებობდა ადგილი, სადაც ადამიანებს ვუყვარდი, პატივს მცემდნენ და ჩემსა და საპირფარეშოს ჯაგრისს შორის ვერავითარ კავშირს ვერ ხედავდნენ.

როცა ჩემი ყოველდღიურობის ეს ღამეული ნაწილი სამუშაოზე ყოფნისას გონებაში წამომიტივტივდებოდა, მხოლოდ ამის გაფიქრებაღა შემეძლო: „არა, ის სახლიცა და ის ადამიანებიც შენი გამოგონებულია. თუ მართლა გგონია, რომ ისინი უფრო ადრე არსებობდნენ, ვიდრე ამ ახალ თანამდებობაზე გაგამწესებდნენ, ეს მხოლოდ ილუზიაა. თვალი გაახილე: რას ნიშნავს იმ ძვირფას სახეთა ხრწნადი ხორციელება სანიტარულ კვანძთა ფაიფურ-ქაშანურების უხრწნელობასთან შედარებით? გაიხსენე დაბომბილი ქალაქების ფოტოსურათები: ხალხი დაიხოცა, სახლები მიწასთან გასწორდა, საპირფარეშოები კი ცისკენ ამაყად აპყრობილან, ერექციულ მილებზე ჩამომსხდარნი. როცა აპოკალიფსი თავის საქმეს მოათავებს, ქალაქებისაგან მხოლოდ ფეხისალაგების ტყე დარჩება. თბილი ოთახი, სადაც შენ იძინებ; ადამიანები, შენ რომ გიყვარს, მხოლოდ შენი წარმოსახვის ნაყოფია, დანაკლისის ასანაზღაურებლად გამოგონილი. ეს ხომ ყოვლად ჩვეულებრივი ამბავია იმ არსებებისათვის, ვინც უსიამოვნო ხელობას ასრულებს, რათა შეთხზას თავისი თავისთვის ის, რასაც ნიცშე უკუსამყაროს უწოდებს, ამქვეყნიური თუ ზეციური სამოთხე. ისინი ხომ მთელი გულით ცდილობენ, ირწმუნონ ეს სამოთხე, რათა თავიანთი ბინძური ყოფის იქით მცირე რამ ნუგეში ჰპოვონ. მათი წარმოსახვითი ედემი მით უფრო მშვენიერია, რაც უფრო მდაბალია მათი ყოველდღიური საქმიანობა. დაიჯერე: ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშოთა გარდა არ არსებობს არაფერი. მხოლოდ ის არსებობს, აქ და ახლა“.

მივადგებოდი შემინულ ღიობს, თვალს გავაყოლებდი მეტროს თერთმეტ სადგურს და იმ მეთერთმეტის სიახლოვეს ვერავითარ სახლს ვეღარ ვარჩევდი, ვერც ცხადად, ვერც ბუნდოვნად. „ხომ ხედავ: ის მყუდრო თავშესაფარი მხოლოდ შენი წარმოსახვის ნაყოფია“.

ისღა დამრჩენოდა, მინას შუბლით მივყრდნობოდი და ძირს გადავვარდნილიყავი. დედამიწაზე ერთადერთი ადამიანი მე ვარ, ვისაც ეს სასწაული ხვდა წილად: სიცოცხლე რამაც შემინარჩუნა, ფანჯრიდან გადახტომა იყო. ჩემი სხეულის ნაფლეთები დღესაც, ალბათ, მთელ ქალაქშია მიმოფანტული.

თვეები გავიდა. დრო დღითი დღე კარგავდა თავის განსაზღვრულობას. ვეღარ ვიგებდი, ჩქარა მიედინებოდა თუ ნელა. ჩემი მეხსიერება საპირფარეშოს ავზივით მუშაობდა. საღამოობით წყალს ჩამოვუშვებდი ხოლმე. წარმოსახვითი ჯაგრისი სიბინძურის ბოლო კვალს აქრობდა.

ეს რიტუალური წმენდა სინამდვილეში არაფრის მაქნისი არ იყო, რადგან ჩემი გონების ჭურჭელი ყოველ დილით ისევ გაბინძურებული მხვდებოდა.

რომელიღაც ჩვეულებრივმა მოკვდავმა ფეხსალაგს ცხოვრებაზე ჩაფიქრების ალაგი უწოდა. მას შემდეგ, რაც აქაურობის კარმელიტი შევიქენი, ამგვარი ჩაფიქრებებისათვის მეტი დრო და საშუალება მომეცა. ჰოდა, ერთ დიდ რამესაც ჩავხვდი: იაპონური ცხოვრება საწარმო დაწესებულებაა.

ეს, რა თქმა უნდა, იმდაგვარი ჭეშმარიტებაა, იაპონიისადმი მიძღვნილ ეკონომიკურ გამოკვლევებშიც რომ არაერთგან წერია, მაგრამ სად სტატიაში ამოკითხული აზრი და სად შენით გამოტანჯული; მათ შორის გაუვალი კედელია. მე ბოლომდე შემეძლო გავმსჭვალულიყავი ამ სულისკვეთებით; „იუმიმოტოს“ წევრებისა და ჩემთვის ეს ჭეშმარიტება რაღაცას ნიშნავდა.

მათი გოლგოთა ჩემსაზე იოლი არ იყო, უბრალოდ, ნაკლები დამცირება ახლდა. ეს კი საკმარისი სრულებითაც არ აღმოჩნდა, რომ მათი მდგომარეობა შემშურებოდა. იგი ისეთივე სავალალო იყო, როგორც ჩემი. მოანგარიშეები, რომლებიც დღეში ათ-ათ საათს ციფრებს ჩაჰკირკიტებდნენ, ჩემს თვალში ზვარაკნი იყვნენ, ყოველგვარი სიდიადისა და იდუმალებისაგან განძარცვულ ღვთაებათა სამსხვერპლოზე მიტანილნი. მარადიული რეალობა, რომელსაც სიცოცხლეს სწირავდნენ, მათთვის მიუწვდომელი იყო. თავიდან ის მაინც შეეძლოთ ევარაუდათ, რომ მთელ ამ გაწამაწიას საფუძვლად რაღაც მისტიკური მიზეზი ედო. ახლა კი თავს მაგითაც ვეღარ მოიტყუებდნენ. მათი არსებობა არაფერს ეწირებოდა.

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, იაპონია ის ქვეყანაა, სადაც თვითმკვლელობის პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია. მე კი, ჩემდათავად, მხოლოდ ის მიკვირს, რომ ეს რიცხვი უფრო მაღალი არ არის.

მაინც რა ელოდა სამსახურს გარეთ ყველა ამ მოანგარიშეს, თავი რომ რიცხვებით ჰქონდა გამოტენილი? აუცილებელი ლუდის კათხა მათსავით ტვინგამორეცხილ კოლეგებთან ერთად; საათობით ყოფნა გაჭედილ მეტროში, უკვე ჩაძინებული მეუღლე; უკვე გასავათებული ბავშვები; ძილი, რომელიც ისე ჩაგითრევს, ნიჟარაში რომ წყალი ჩატრიალდება, შიგადაშიგ - მოკლე არდადეგები, კაციშვილმა რომ არ იცის, როგორ გამოიყენოს: მოკლედ, არაფერი, რასაც შეიძლება ცხოვრება დაერქვას.

დადგა დეკემბერი. ჩემი სამსახურიდან წასვლის თვე. ამ სიტყვამ შეიძლება, გაკვირვება გამოიწვიოს: კონტრაქტის ვადა ჯერ მხოლოდ ილეოდა. თუმცაღა თავი ვერ ვაიძულე, იმით დავკმაყოფილებულიყავი, 1991 წლის 7 იანვრის საღამომდე

მომეთმინა, მერე რამდენიმე კაცისათვის ხელი ჩამომერთმია და იქაურობას გავცლოდი. ქვეყანაში, სადაც სულ ცოტა ხნის წინ, კონტრაქტითაც და უკონტრაქტოდაც, ნებაუნებლიეთ სამარადისო ხელქვეითი იყავი, სამსახურიდან ისე ვერავინ წავა, წესი და რიგი არ დაიცვას.

ტრადიციის პატივისცემა მოითხოვდა, რომ იერარქიის ყველა საფეხურზე დამემოწმებინა სამსახურიდან ჩემი წასვლა, ანუ ოთხჯერ წარვმდგარიყავი უფროსების წინაშე. პირველი ფუბუკი იყო, მერე ბატონი საიტო მოდიოდა, მერე - ბატონი ომოჩი და სულ ბოლოს - ბატონი ჰანედა.

გონებაში ვემზადებოდი ამ ვალის მოსახდელად. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ განუხრელად უნდა დამეცვა დიდი და მთავარი წესი: საყვედური არ წამომცდენოდა.

სხვათა შორის, მამობრივი დარიგებაც მივიღე: ბელგიასა და ამომავალი მზის ქვეყანას შორის დამყარე ბულ კეთილ ურთიერთობაში ბზარი არ უნდა გამეჩინა. სიტყვითაც არ უნდა მეხსენებინა, თუკი აქ რომელიმე იაპონელი თანამშრომელი ცუდად მომეპყრო. ერთადერთ გასამართლებელ საბუთად - რადგან აუცილებელი იყო, რითიმე გამემართლებინა ასეთი სახარბიელო თანამდებობიდან წასვლა - მხოლოდ იმგვარი არგუმენტების მოხმობა მქონდა ნებადართული, პირველი პირის მხოლობით რიცხვში რაც ითქმოდა.

თუ წმინდა ლოგიკური კუთხით შევხედავთ, იმდენი არჩევანიც არ იყო, საქმე საყოყმანოდ გამხდომოდა: ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყველაფრი ჩემი თავისთვის დამებრალებინა. ცხადია, სასაცილო ამბავი გამოდიოდა, მაგრამ მე მაინც იმ პრინციპით ვიმოქმედებდი, „იუმიმოტოს“ მესვეურნი მადლიერნი დამეტოვებინა, დამენახვებინა, რომ მათ წესს არ ვღალატობდი, საშუალებას ვუქმნიდი, სახე შეენარჩუნებინათ და, პროტესტის ნიშნად, ჩემთვის დაახლოებით ასე გაეწყვეტინებინათ: „თქვენს თავზე აუგს ნუ ამბობთ, თქვენზე მხოლოდ კარგია სათქმელი“.

ჩემს უშუალო უფროსთან შეხვედრა ვითხოვე. პაემანი დღის მეორე ნახევრისთვის დამინიშნა ერთ თავისუფალ ოთახში. წამი წამზე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, როცა ეშმაკმა ყურში ჩამჩურჩულა: „უთხარი, რომ მადამ პიპის ამპლუაში სხვაგან მეტს გადაგიხდიან“. ძალიან გამიჭირდა ეშმაკის მოთვინიერება და უკვე გიჟური სიცილის პირას ვიყავი, როცა ჩემი მშვენიერი უფროსის პირისპირ დავჯექი სალაპარაკოდ.

ეშმაკმა სწორედ ეს წუთი შეარჩია, ასეთი შეგონებაც რომ ჩაეჩურჩულებინა: „უთხარი, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩები, თუ საპირფარეშოში თეფშს დადებენ, - ყოველმა შემომსვლელმა შიგ ორმოცდაათი იენი ჩააგდოს-თქო“.

ლოყების შიდა მხარე კინაღამ მოვიჭამე, რომ თავი დამესერიოზულებინა. ეს იმდენად ძნელი გამოდგა, ლაპარაკის დაწყება ვეღარ მოვახერხე.

ფუბუკიმ ამოიოხრა:

- რა გნებავთ? რამე გაქვთ სათქმელი?

არ მინდოდა, დაენახა, ტუჩები როგორ მემანჭებოდა, და თავი, რაც შეიძლება, დაბლა ჩავღუნე. ჰგავდა, რომ მის წინაშე თავს ვიდრეკდი, რითაც კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო.

- ჩემი ვადა იწურება და უდიდესი სინანულის გრძნობით, რამდენადაც ამის უნარი შემწევს, მინდა, გამოგიცხადოთ, რომ კონტრაქტს ვეღარ განვაახლებ.

ისეთი მოკრძალებული და შიშნეული ხმა მქონდა, როგორიც არქეტიპულ ხელქვეითს უნდა ჰქონოდა.

- ჰოო... რატომ? - მკითხა მან მშრალად.

შეკითხვა იყო, უკეთესს ვერ ინატრებდი. კომედიას მარტო მე არ ვთამაშობდი. უმალვე მხარი ავუბი და პასუხის ამგვარი კარიკატურა ვაახლე:

- „იუმიმოტოს“ კომპანიამ დიდი და მრავალმხრივი შესაძლებლობა მომცა, თავი გამომეჩინა. სამარადისოდ მისი მადლიერი ვიქნები. მაგრამ, ვაი, რომ იმ პატივის სიმაღლეზე ვერ აღმოვჩნდი, რომელიც მე მომაგეს.

იძულებული გავხდი, ისევ გავჩუმებულიყავი და ლოყების შიდა მხარე ხელახლა მომეჭამა, იმდენად კომიკური მეჩვენა ჩემი პასუხი. მაგრამ ფუბუკიმ, როგორც ჩანს, სასაცილო ვერაფერი დაინახა, რაკიღა მკითხა:

- მართალია. მერედა, როგორ გგონიათ, რატომ ვერ აღმოჩნდით სათანადო სიმაღლეზე?

გაოცებულმა თავი ავწიე და სახეში შევხედე: ნუთუ მართლა მეკითხებოდა, რატომ ვერ აღმოვჩნდი საპირფარეშოთა დამლაგებლის სიმაღლეზე? ნუთუ ჩემი დამ ცირების ასეთი დაუოკებელი ჟინი ჰქონდა? და თუ ეს მართლა ასე იყო, გულის სიღრმეში რას განიცდიდა ჩემ მიმართ?

თვალებში შევაჩერდი, მისი რეაქცია რომ არ გამომპარვოდა, და მერე ასეთი რამ დავაბრეხვე:

- იმიტომ, რომ გონებრივი შესაძლებლობა არ მეყო.

იმის გაგებაზე უფრო მეტად, რა გონებრივი მონაცემები იყო საჭირო უნიტაზების სახეხად, მინდოდა მენახა, როგორ მოეწონებოდა ჩემს მწამებელს ასეთი გროტესკული თავის დამცირება.

კარგად აღზრდილი იაპონელი ქალი ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე, სახეგაქვავებული შემომცქეროდა. სეისმოგრაფიული სიზუსტე დამჭირდა, ჩემი

პასუხით გამოწვეული მისი ყბების მსუბუქი შეთრთოლება რომ დამეჭირა: იგი ტკბებოდა.

ნეტარებისაკენ მიმავალ გზაზე ასე იოლად ვეღარ შეჩერდებოდა, ამიტომაც, განაგრძო:

- მეც ასე ვფიქრობ. თქვენი აზრით, სად არის ამ უუნარობის სათავე?

პასუხიც ენაზე მომადგა. მშვენიერ გუნებაზე დავდექი.

- ეს გახლავთ დასავლური გონების უძლურება იაპონურთან შედარებით.

შევატყვე, აღფრთოვანდა, მის სურვილს რომ ასე ადვილად დავყევი. შეეცადა, მიუკერძოებელი პასუხი გამოენახა:

- რა თქმა უნდა, ეგეც არის. თუმცა ძალიანაც ნუ დავამცირებთ საშუალო დასავლელის გონიერებას. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეს უუნარობა მხოლოდ თქვენეულია, თქვენი საკუთარი გონების სიმწირიდან მოდის?

- რასაკვირველია.

- თავდაპირველად მეგონა, საბოტაჟის მოწყობა უნდა-მეთქი. დაიფიცეთ, რომ თავს განზრახ არ ისულელებდით.

- გეფიცებით.

- მაშ, უკვე შეგნებული გაქვთ თქვენი გონებაჩლუნგობა?

- დიახ. „იუმიმოტოს“ კომპანია დამეხმარა, რომ მაგას მივმხვდრიყავი.

გამომეტყველება არ შესცვლია, მაგრამ ხმაზე შევატყვე, პირი უშრებოდა. ბედნიერი ვიყავი, რომ სრული ნეტარების წუთები განვაცდევინე.

- ჩვენმა დაწესებულებამ, მართლაც, დიდი სამსახური გაგიწიათ.

- ვალიდან ვერასოდეს ამოვალ.

მახალისებდა ჩვენი სიტყვა-პასუხის სიურრეალისტური მიმოქცევა, ფუბუკი რომ მოულოდნელად მეშვიდე ცაზე აჰყავდა. მართლაც, ძალიან ამაღელვებელი წუთები იყო.

„ძვირფასო თოვლიანო ქარბუქო, თუკი ასე მარტივად შეიძლება ინეტარო ჩემით, ნუ იუხერხულებ, სახეში შემომაყარე შენი ყველაზე მწარე და ყინულოვანი ფიფქები; დამსეტყვე შენი კაჟივით ხოშკაკალათი; შენი ღრუბლები ბრაზით დამძიმებულან, მზად ვარ, მთაში გზადაკარგულ მოკვდავად ვიქცე, რომ რისხვა ჩემით დავაცხრობინო. თვალებში მეფრქვევა ფურთხის გაყინული შხეფები. ეგეც არაფერი, რაკიღა ასე მშვენიერი სანახავია შენი ნატვრის ასრულება, ჩემი კანის აჭრელება

შეურაცხყოფათა ჯერით. ოღონდ შენი ვაზნები ფუჭი ვაზნებია, ძვირფასო თოვლიანო ქარბუქო. მე უარი განვაცხადე, თვალები ამეხვია შენგან მოსჯილი ეშაფოტის წინაშე, რადგან უკვე რამდენი ხანია, შენს გამოხედვაში ნეტარების ხილვას ველოდები.

მე მგონი, მართლა მიაღწია სურვილის სრულ დაკმაყოფილებას, რადგან მისი ეს შეკითხვა უბრალო ფორმალობად მეჩვენა:

- ახლა რის გაკეთებას აპირებთ?

არავითარი სურვილი არ მქონდა, ჩემს ნაწერებზე მელაპარაკა. თავი ბანალური პასუხით დავიძვრინე:

- იქნებ ფრანგულის მასწავლებლობა დამეწყო.

ჩემმა უფროსმა ზიზღით გაიცინა:

- თქვენ და მასწავლებლობა! ფიქრობთ, შეგიძლიათ, ვინმეს რამე ასწავლოთ? ო, ეს საბრალო თოვლიანი ქარბუქი, ეს განუწყვეტელი საომრად შემართულობა!

მივხვდი, რა პასუხსაც ელოდა. მეთქვა, მასწავლებლის დიპლომი უკვე აღებული მაქვს-მეთქი, სრული სისულელე იქნებოდა.

თავი ჩავღუნე.

- მართალი ბრძანდებით, ვერა და ვერ ვისწავლე ჩემი შესაძლებლობების მოზომვა.

- რა თქმა უნდა. მოდით, გულახდილად მითხარით, რა ხელობას შეიძლება, მოჰკიდოთ ხელი?

ექსტაზის პაროქსიზმიც უნდა მეჩუქებინა.

იაპონური იმპერიის კარის გარიგებათა ძველთაძველ კრებულში ნათქვამია, რომ იმპერატორს „კრძალვითა და ცახცახით“ უნდა ელაპარაკო. ყოველთვის აღტაცებული ვიყავი ამ გამოთქმით, ასე კარგად რომ არის ხორცშესხმული სამურაულ ფილმებში, სადაც უფროსებს ზეადამიანური მოწიწებისაგან გაბზარული ხმით ელაპარაკებიან.

მეც ვითომ თრთოლამ ამიტანა, აკანკალებული ხმით ვუთხარი:

- რას იტყვით, მენაგვედ მაინც არ ამიყვანენ?

- ო, როგორ არა, - მიპასუხა გადამეტებული ენთუზიაზმით.

მერე ღრმად ამოისუნთქა. საწადელს მივაღწიე.

ამის შემდეგ სამსახურიდან ჩემი წასვლა ბატონ საიტოსათვის უნდა მომეხსენებინა. მანაც თავისუფალ ოთახში დამინიშნა შეხვედრა, მაგრამ ფუბუკისაგან განსხვავებით, ჩანდა, უხერხულ დღეში იყო, როცა მის პირდაპირ დავჯექი.

- ჩემი კონტრაქტის ვადა იწურება და მინდა სინანულით განგიცხადოთ, რომ ვეღარ შევძლებ მის განახლებას.

სახეზე უნებლიე კრუნჩხვამ გადაუარა. რაკი ვერაფრით ამოვხსენი ეს მიმიკა, კვლავ ჩემი განვაგრძე:

- „იუმიმოტოს“ კომპანიამ არაერთი შესაძლებლობა მომცა, თავი გამომეჩინა. მისი სამარადისოდ მადლობელი ვიქნები. მაგრამ ვაი, რომ ვერ აღმოვჩნდი იმ პატივის სიმაღლეზე, რომელიც მე მომაგეს.

ბატონი საიტოს ჩია სხეულმა ნერვიული ტოკვა დაიწყო. ჩემმა ნათქვამმა უხერხულობაში ჩააგდო.

- ამელი-სან...

მისი თვალები ოთახის ყველა კუთხეში რაღაცას დაეძებდნენ, თითქოს თავისი სათქმელი იქ უნდა ეპოვა.

- საიტო-სან?

- მე... ჩვენ... გულით ვწუხვარ... არ მინდოდა, ასე მომხდარიყო.

ძალზე იშვიათია, როცა იაპონელი ნამდვილად ბო დიშს იხდის. ეს საუკუნეში ერთხელ თუ მოხდება. შეძრწუნებული ვუყურებდი, ჩემ გამო თავს ასე რომ იმცირებდა. ეს მით უფრო უსამართლო იყო, რადგან მას არავითარი წვლილი არ მიუძღოდა ჩემს თანმიმდევრულ დაქვეითებაში.

- შესაწუხებელი არაფერი გაქვთ. რაც მოხდა, სასიკეთოდ მოხდა. აქ მუშაობამ ბევრი რამე მასწავლა.

ამ შემთხვევაში მართლა არ ვტყუოდი.

- მომავალში რას აპირებთ? - მკითხა დაძაბული, მაგრამ კეთილი ღიმილით.

- ჩემ გამო ნუ იღელვებთ, რამე საქმეს ვეწევი.

საწყალი ბატონი საიტო! ჩემი გასამხნევებელი გახდა. მიუხედავად ერთგვარი სამსახურებრივი წინსვლისა, იგი ამ სისტემაში მონა იყო, მონაც და უგერგილო ჯალათიც, და თუმცა ეს სისტემა დანამდვილებით არ უყვარდა, აუგს მაინც არასოდეს იტყოდა თავისი სისუსტის გამო და კიდევ იმის გამო, რომ წარმოსახვა აკლდა.

დადგა ბატონ ომოჩისთან შესვლის ჯერიც. შიშით ვკანკალებდი იმის გაფიქრებაზე, რომ კაბინეტში მარტონი ვიქნებოდით. ჩემი შიში ტყუილი გამოდგა: ვიცეპრეზიდენტი მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებოდა.

დამინახა თუ არა, წამოიყვირა:

- ამელი-სან!

ჩინებულად იყო წარმოთქმული, სწორედ იაპონურ ყაიდაზე, იმ ადამიანის თანამყოფობასაც რომ გულისხმობს, ვისი სახელიც ჰაერში არის გასროლილი. პირი გამოტენილი ჰქონდა. შევეცადე, ხმის მიხედვით გამომეცნო, რას შეექცეოდა. რაღაც წებოვანი უნდა ყოფილიყო, დიდხნობით საღეჭი, კბილებიდან ენით მოსაშორებელი. არადა, სასაზე არ ეკრობოდა, როგორც კარა მელმა იცის. ერთობ ცხიმიანი ჩანდა საიმისოდ, რომ ძირტკბილა ყოფილიყო; ერთობ სქელი საიმისოდ, რომ ზეფირი ყოფილიყო. ვერ გამოვიცანი.

ისევ წამოვიწყე ლოცვასავით გაზეპირებული ჩემი სათქმელი:

- ჩემი კონტრაქტის ვადა იწურება და მინდა სინანულით განგიცხადოთ, რომ ვეღარ შევძლებ მის განახლებას.

რასაც მიირთმევდა, მუხლზე ედო და მაგიდა მეფარებოდა პირისაკენ ახალი ულუფა წაიღო. კოტიტა თითები ტვირთს ისე მალავდნენ და გადაყლაპვითაც ისე გადაყლაპა, ფერიც ვერ გავარჩიე. ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილი დავრჩი.

ზონზროხამ, ეტყობა, შეამჩნია ჩემი ცნობისმოყვარეობა და პაკეტი ზედ ცხვირწინ დამიგდო. ჩემდა გასაოცრად, შიგ მომწვანო ფერის შოკოლადი დავინახე.

საგონებელში ჩავვარდი.

- რა არის, „პლანეტა მარსის“ შოკოლადია?

ხმამაღლა აჭიხვინდა, სიცილი ნერვიულ სლოკინში გადაუვიდა.

- კასეი ნო შოკორეტო! კასეი ნო შოკორეტო!

ანუ: „შოკოლადი მარსიდან“, „შოკოლადი მარსიდან!“ ასე უცნაურად გამოხატა თანხმობა ჩემს წასვლაზე.

ქოლესტერინით სავსე ეს მხიარულება ცუდად მხდიდა. არადა, იგი მატულობდა და მატულობდა. ცხადად ვხედავდი იმ მომენტს, როცა ეს ვეებერთელა სხეული გულის შეტევით ჩემ წინ დახვავდებოდა.

როგორ უნდა ამეხსნა უფროსებისათვის ეს ამბავი? შევედი, ჩემს წასვლაზე დავუწყე ლაპარაკი და ამან მოკლა-მეთქი? კომპანიის არც ერთი წევრი ამ ვერსიას არ დაიჯერებდა. მე იმ ტიპის თანამშრომელთა რიცხვში შევდიოდი, ვისი წასვლაც მხოლოდ სასურველი შეიძლებოდა ყოფილიყო.

რაც შეეხება მწვანე შოკოლადს, ამასაც არავინ დაიჯერებდა. სად გაგონილა, კაცი შოკოლადის ერთმა ნატეხმა მოკლას, თუნდაც ქლოროფილის ფერისამ. მკვლელობის ვერსია უფრო დამაჯერებლად ჟღერდა. მიზეზებიც თავსაყრელი იყო.

მოკლედ, უნდა მელოცა, რომ ბატონ ომოჩის ჭირი არ წაეღო, თორემ იდეალური ბრალდებული ვიქნებოდი.

მოვემზადე ჩემი ლოცვის მეორე ნაწილის გასაგრძელებლად, რომ იქნებ სიცილის ტაიფუნს გადაევლო, მაგრამ სწორედ ამ დროს ზონზროხამ დააზუსტა:

- ჰოკაიდოს ფირმის თეთრი შოკოლადია, შიგ მწვანე ნესვი ურევია. სრულყოფილად აღადგინეს იაპონური ნესვის გემო. აიღეთ, გასინჯეთ.

- არა, გმადლობთ.

იაპონური ნესვი როგორ არ მიყვარდა, მაგრამ თეთრ შოკოლადთან შერეულმა მხოლოდ ზიზღი მომგვარა.

გაუგებარი მიზეზების გამო, ჩემმა უარმა ვიცე-პრეზიდენტი გააღიზიანა. ბრძანება ზრდილობიანად განაახლა:

- მეშიაგატე კუდასაი.

ანუ: „გთხოვთ მიირთვათ“.

მე უარი მოვახსენე.

მან უფრო დაბალ ენობრივ დონეზე ჩამოინაცვლა:

- ტაბეტ.

ანუ: „შეჭამეთ“.

მე უარი მოვახსენე.

მან დაიყვირა:

- ტაბერუ!

ანუ: „შეცეცხლე“.

მე უარი მოვახსენე.

მაშინ კი იფეთქა:

- სანამ თქვენი კონტრაქტი არ დამთავრებულა, უნდა დაემორჩილოთ ჩემს ბრძანებებს!

- თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, შევჭამ თუ არა?

- თავხედო! კითხვები კი არ უნდა დამისვათ, უნდა შეასრულოთ, რასაც გიბრძანებთ!

- თუ არ დაგემორჩილებით, რა იქნება? გამაგდებთ? კიდევაც გამიხარდება.

იმწამსვე ვიგრძენი, რომ გადავამლაშე. საკმარისი იყო, ბატონ ომოჩის გამომეტყველება გენახათ, უმალ მიხვდებოდით, რომ ბელგიურ-იაპონური თანამშრომლობა საფრთხის წინაშე იდგა. ინფარქტი გარდაუვალი ჩანდა. თავს უნდა მოვრეოდი.

- გთხოვთ, მაპატიოთ.

მან ძალა მოიკრიბა და დაიღმუვლა:

- შეცეცხლე!

ეს ჩემი სასჯელი იყო. ვინ იფიქრებდა, რომ მწვანე შოკოლადის ჭამა საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე ავიდოდა.

ხელი გავიწოდე პაკეტისაკენ, თან გავიფიქრე: ალბათ, ედემის ბაღშიც ასევე მოხდა- მეთქი: ევას სრულებითაც არ უნდოდა, ვაშლი ჩაეკბიჩა, მაგრამ ვეება გველმა მოულოდნელი და აუხსნელი სადისტური შეტევით შეაჭამა.

მოვტეხე მომწვანო კვადრატი და პირთან მივიტანე. ყველაზე მეტად ფერი მეზიზღებოდა. გავღეჭე: ჩემდა სამარცხვინოდ, უგემური არ მეჩვენა.

- გემრიელია, - ძალით ამოვღერღე.

- ჰა, ჰა, რას იტყვით, ხომ გემრიელია? კარგია, არა „პლანეტა მარსის“ შოკოლადი?

იგი გამარჯვებას ზეიმობდა. იაპონურ-ბელგიური ურთიერთობები ისევ აღდგა.

როცა გადავყლაპე ამ casus beli[10]-ის მიზეზი, ჩემი სათქმელი განვაგრძე:

- „იუმიმოტოს“ კომპანიამ არაერთი საშუალება მომცა, თავი გამომეჩინა. სამარადისოდ მისი მადლიერი ვიქნები. მაგრამ, ვაი, რომ ვერ აღმოვჩნდი იმ პატივის სიმაღლეზე, რომელიც მომაგეს.

ბატონი ომოჩი, ჩანდა, ცოტა დაიბნა, რადგან სრულიად დავიწყებული ჰქონდა, რისთვის ვიყავი მისული. მერე უცებ გადაიხარხარა.

როგორც ჩემი მიამიტობით მეგონა, თავს თუ დავიმცირებდი და მათ რეპუტაციას ჩირქს არ მოვცხებდი, თუ მორჩილებას გამოვხატავდი და საყვედური არ წამომცდებოდა, ამით მათ ზრდილობიან პროტესტს გამოვიწვევდი, მაგალითად, ამგვარს: „არა, რას ბრძანებთ, თქვენ მუდამ სათანადო სიმაღლეზე იდექით“.

აი, უკვე მესამედ, ყოველგვარი ზრდილობიანი პროტესტის გარეშე დამთავრდა ჩემი გამოსამშვიდობებელი სიტყვა. ფუბუკი არათუ არ შემკამათებია ჩემ ნაკლოვანებათა გამო, პირიქით, ისიც კი დამიზუსტა, რომ ჩემი შემთხვევა დამაფიქრებელი იყო. ბატონი საიტო შეწუხებული კი ჩანდა ჩემი უსიამოვნო ფათერაკების გამო, მაგრამ ჩემი თვითკრიტიკის მართებულობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია. რაც შეეხება ვიცე-

პრეზიდენტს, გაბათილება რა სათქმელია, აღფრთოვანებული მხიარულებით შეეგება.

ამ დადასტურებამ ანდრე მორუას სიტყვები გამახსენა: „ბევრ აუგსაც ნუ იტყვით საკუთარ თავზე, დაგიჯერებენ“.

ზონზროხამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლები მოიწმინდა და, ჩემდა გასაკვირად, ცხვირი ხმაურით მოიხოცა, რაც იაპონიაში უხეშობის უმაღლეს გამოვლინებად ითვლება. მაშ, იმდენად დაბლა დავეშვი, რომ ასე ურცხვად შეიძლებოდა ჩემ წინ ცხვირი დაეცალათ?

მერე ამოიოხრა:

- ამელი-სან!

მეტი არაფერი უთქვამს. დავასკვენი, რომ ჩემს საქმეს ამოწურულად თვლიდა. წამოვდექი, თავი დავუკარი და სიტყვის უთქმელად გამოვედი.

ღმერთთან შესვლაღა დამრჩა.

არასოდეს ვყოფილვარ ისეთი ჭეშმარიტი იაპონელი, როგორც მაშინ, როცა პრეზიდენტს ჩემი წასვლის ამბავი ვაუწყე. თავი მართლა უხერხულად ვიგრძენი, რაც დაძაბული ღიმილითა და უხმო ნერვიული სლოკინით გამოიხატა.

ბატონმა ჰანედამ უაღრესი თავაზიანობით მიმიღო თავის უშველებელ და ნათელ კაბინეტში.

- ჩემი კონტრაქტის ვადა იწურება და მსურს, სინანულით მოგახსენოთ, რომ ვეღარ შევძლებ მის განახლებას.

- დიახ, დიახ. მესმის თქვენი.

იგი პირველი იყო, ვინც ჩემი გადაწყვეტილება ადამიანურად მიიღო.

- „იუმიმოტოს“ კომპანიამ არაერთი შესაძლებლობა მომცა, თავი გამომეჩინა. სამარადისოდ მისი მადლი ერი ვიქნები. სამწუხაროდ, ვერ აღმოვჩნდი იმ პატივის სიმაღლეზე, რომელიც მომაგეს.

პასუხმა არ დააყოვნა:

- თქვენც კარგად იცით, რომ ეს მართალი არ არის. ბატონ ტენშისთან თქვენმა თანამშრომლობამ დაგვანახვა, რომ იმ სფეროში, რომელშიც ერკვევით მშვენიერი უნარი გამოამჟღავნეთ.

როგორც იქნა!

მან ამოიოხრა და დასძინა:

- ბედი არ გქონიათ, კარგ დროს ვერ მოხვედით. სწორად იქცევით, რომ მიდიხართ, მაგრამ იცოდეთ, თუ ერთ მშვენიერ დღეს აზრს შეიცვლით, ჩვენთვის სასურველი იქნება თქვენი მობრძანება. თქვენ მხოლოდ მე არ დამაკლდებით.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკითხში ცდებოდა. მაგრამ გული მაინც ამიჩუყდა. ისეთი დამაჯერებლობით, ისეთი კეთილი ხმით ლაპარაკობდა, ლამის სევდამ შემიპყრო, რომ აქაურობას ვტოვებდი.

დადგა ახალი წელი: სამი უქმე დღე, აუცილებელი და რიტუალური. ამდენი უსაქმობა ბევრი იაპონელისათვის თითქმის მომაკვდინებელია. სამი დღე-ღამის მანძილზე სამზარეულოში ფუსფუსიც კი არ არის ნებადართული, მხოლოდ ცივ კერძებს მიირთმევენ, წინასწარ ამზადებენ და ლამაზ-ლამაზ ყუთებში ინახავენ.

სადღესასწაულო საჭმელებს შორის არის ბრინჯის ერთი ნამცხვარი, ომოჩი, რომელიც ბოლო დრომდე გაგიჟებით მიყვარდა. იმ წელს კი, ონომასტიკური მიზეზებით, ყელში არ გადამივიდა.

როგორც კი პირთან მივიტანდი, მეგონა, დაიღმუვლებდა: „ამელი-სან!“ და ხაფი ხმით ახარხარდებოდა.

კომპანიაში მხოლოდ სამი დღით დავბრუნდი სამუშაოდ. მთელი მსოფლიოს ყურადღება კუვეიტისაკენ იყო მიმართული, ყველანი მხოლოდ 15 იანვარზე ფიქრობდნენ.

მე კი საპირფარეშოს შემინულ ღიობთან მიმდგარი მხოლოდ 7 იანვარზე ვფიქრობდი: ჩემი ულტიმატუმი ეს იყო.

7 იანვარიც გათენდა, ვეღარ დამეჯერებინა: იმდენი ხანი ველოდებოდი ამ თარიღს. მეჩვენებოდა, თითქოს „იუმიმოტოს“ კომპანიაში ათი წელი გავატარე.

მთელი ის დღე ორმოცდამეოთხე სართულის საპირფარეშოებში, რელიგიურ ატმოსფეროში, გავატარე. ყოველ უმცირეს მოძრაობას ღვთისმსახურის საზეიმო იერით ვასრულებდი. ლამის კიდევაც ვინანე, რომ არ შემეძლო, შემემოწმებინა მოხუცი კარმელიტი მონაზვნის სიტყვები: „კარმელის მონასტერში ძნელი მხოლოდ პირველი ოცდაათი წელია“.

ექვს საათზე ხელი გადავიბანე და იმ რამდენიმე პიროვნებას ჩამოვართვი, ვინც, სხვადასხვა ვითარებაში, მაგრძნობინა, რომ მეც ადამიანთა ჯილაგს ვეკუთვნოდი. ფუბუკის ხელს ეს ბედი არ ერგო. ეს მით უფრო დასანანი იყო, რომ მის მიმართ არავითარი ღვარძლი არ მქონდა: მხოლოდ და მხოლოდ თავმოყვარეობამ მაიძულა, არ გამოვთხოვებოდი. მერე და მერე ჩემი საქციელი სულელური მეჩვენა: ცუდი ანგარიშია, ამპარტავნება ამჯობინო სილამაზის ჭვრეტას.

შვიდის ნახევარზე ჩემი კარმელის მონასტერი უკანასკნელად მოვინახულე. ქალთა საპირფარეშო უკაცრიელი იყო. ნეონით განათებულმა უსახურებამ ხელი ვერ შემიშალა, გული შემკუმშოდა: შვიდმა თვემ - ჩემი ცხოვრებისამ? - არა, ამ პლანეტაზე ჩემი წილი დროი სამ - აქ გაიარა. სანოსტალგიოც რა უნდა მქონოდა, არადა, მაინც ყელში ბურთი მომებჯინა.

ინსტინქტურად შემინულ ღიობს მივაშურე. შუბლი მინას მივაყრდნე და მივხვდი - აი, ეს დამაკლდებოდა: ყველას არ არგუნა ბედმა ეს უპირატესობა, ორმოცდაოთხი სართულის სიმაღლიდან ქალაქზე ემბრძანებლა.

ფანჯარა საზღვარი იყო საზარელ სინათლესა და სანატრელ სიბნელეს შორის; საპირფარეშოებსა და უსაზღვროებას შორის, ჰიგიენურსა და გასარეცხად მიუწვდომელს შორის; წყლის ჩამოსაშვებსა და ცას შორის. რამდენ ხანსაც იარსებებს დიდი ფანჯრები, დედამიწის ზურგზე ყოველ ადამიანს თავისი წილი თავისუფლება ექნება.

უკანასკნელად გადავეშვი სიცარიელეში. თვალნათლივ ვხედავდი, როგორ ეცემოდა ძირს ჩემი სხეული.

როცა ფანჯრიდან ვარდნის წყურვილი დავიკმაყოფილე, „იუმიმოტოს“ შენობა დავტოვე. მას მერე იქ აღარავის ვუნახივარ.

რამდენიმე დღის შემდეგ ევროპაში დავბრუნდი.

1991 წლის 14 იანვარს წიგნის წერას შევუდექი, რომელსაც „მკვლელის ჰიგიენა“ დავარქვი.

15 იანვარს ამერიკელებმა ერაყს ულტიმატუმი წაუყენეს. 17 იანვარს ომი დაიწყო.

18 იანვარს, პლანეტის მეორე კიდეზე, ფუბუკი მორის ოცდაათი წელი შეუსრულდა.

დრო თავისი ძველი წესისამებრ მიედინებოდა.

1992 წელს ჩემი პირველი რომანი გამოქვეყნდა.

1993 წელს წერილი მივიღე ტოკიოდან. ტექსტი ასეთი იყო:

„ამელი-სან, გილოცავთ. მორი ფუბუკი“.

ამ ბარათმა, მიზეზთა და მიზეზთა გამო, დიდი სიამოვნება მომანიჭა, თან ჩემთვის ყველაზე გასახარელ ერთ დეტალსაც შეიცავდა: იგი იაპონურად იყო დაწერილი.

სქოლიო

[1] იაპონური.

[2] იგულისხმება ჟაკ პრევერის ლექსი „ნუსხა“.

[3] დიდნასვრეტებიანი ფინური ყველი.

[4] სამხრეთში გავრცელებული ბალახოვანი მცენარე, რომლის ბოჭკოსაგანაც მზადდება უხეში ქსოვილები, თოკი და სხვ.

[5] იაპონიაში გავრცელებული წიწვოვანი ხის ჯიში.

[6] იაპონური დამწერლობის იდეოგრაფიული ნიშანი, ჩინური წარმოშობის.

[7] ჩინურიდან ნასესხები იაპონური სიტყვაა, ნიშნავს მედიტაციას.

[8] ასე უწოდებენ მდინარე რაინის შესართავთან მდებარე რეგიონში მცხოვრებ ჰოლანდიელებს.

[9] ზომიერი, ფრთხილი, შენიღბული რევიზიონიზმი.

[10] მტრობის ან ომის გამომწვევი მიზეზი ან საბაბი.

www.facebook.com/groups/ellib